

619
1972



ננוהז

№ 3 80680 1972



ახალგაზრდა მექანიზატორი. ფოტო თარგვიძისა

კროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული

№ 3 (424) მარტი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

საქართველოს საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიბერალური
სამხატვრო უზრუნველყოფის
სამხატვრო უზრუნველყოფის

ბიბანჯის ვიკვალნი საიჯაი

ლორი წლით აღმა

დაადგებით თუ არა გორიდან თბილისისაკენ მიმავალ საავტომობილო გზას, იქვე, მარცხენა მხარეს, მაგისტრალს კიდევ ერთი გზა გამოეყოფა; იგი ჭერ სოფელ ბერბუჯში შედის, შემდეგ სვენეთის მინდვრებს გაივლის და მეჭვრისხევისაკენ გაემართება.

მეჭვრისხევი. 1970 წლის 5 იანვარი... პირველად ამ დღეს დაპყრეს. ბარი მშენებლებმა მომავალი ფაბრიკის საძირკველის გასაჭრელად. უოველდღიურად ოთხსაშედ კაცი იღვწოდა მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტის ასაგებად. იყო დღეები, როცა აქ ათასზე მეტი კაცი ტრიალებდა ხარაოებთან, ესენი იყვნენ ახალგაზრდები, გორიდან და მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული მუშა-მოსამსახურეები. პარტიის გორის რაიკომის და რაიონის აღმასკომის ხელმძღვანელები თითქმის ყოველდღე მიდიოდნენ მშენებლობაზე საკურო დახმარების აღმოსაჩენად.

მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება განსაზღვრული იყო 1974 წლისათვის, მაგრამ დენინის ორდენოსანი „თბილგვირაბშენის“ კოლექტივის ენერგოულმა შრომამ, საშენებლო ობიექტის საყოველთაო-სახალხო საქმედ გამოცხადებამ თავისი კეთილი ნაყოფი გამოიღო და 1971 წლის 28 დეკემბერს ფაბრიკა მწყობრში ჩაიდგა. ეს იყო შემოქმედებითი შრომის კეთილშობილად დიდი გამარჯვება.

XXIV ურილობის დირექტივებში აღნიშნულია, რომ კვერცხის საშუალო წლიური წარმოება ჩვენს ქვეყანაში უნდა ავიყვანოთ, სულ ცოტა, 46,7 მილიონად ცალამდე. ამ ამოცანის გადაწყვეტაში თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მეჭვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ ყოველწლიურად 42 მილიონ კვერცხს და 800 ტონა ქათმის ზორცს მიაწვდის რესპუბლიკას.

ფაბრიკას 80 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. მის კომპლექსში შედის ასოცურ მეტი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა.

ფაბრიკის მშენებლობა 10 მილიონი მანეთი დაჯდა. საამქროებში დამონტაჟებულია მილიონ ოთხასი ათასი მანეთის სამამულო და უცხოური მოწყობილობა.

ფაბრიკას აქვს ოთხი ინკუბატორი, თითოეული 50 ათასი კვერცხის ტევადობით. ინკუბატორების კვერცხით მოსამარაგებლად აშენებულია ოთხი საამქრო კვერცხისმდებელი ქათმებისათვის, ოთხი საამქრო კი ზორცის მისაღებად იმუშავებს.

ეს ციფრები ნათლად წარმოგვიდგენენ იმ დიდ მასშტაბებს, რომელიც მეჭვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკას გააჩნია.

პირველი წიწილის გამოჩეპა

ფაბრიკას მაშინ ვესტუმრეთ, როცა მისი ამოქმედებიდან მხოლოდ ერთი თვე იყო გასული. ვიცით, მომავალში ბევრჯერ გავგზარებთ თგი თავისი წარმატებით, ბევრი ღირსსახსოვარი დღე ჩაიწერება მის ისტორიაში, მაგრამ მათგან ყოველთვის გამოჩეული იქნება ეს პირველი თვე, როცა მან ფეხი აიდგა; ახლა გამოჩნდება როგორ გაამართლებს ახალგაზრდა კოლექტივი იმედებს.

და აი ჩვენ ფაბრიკის ტერიტორიაზე ვართ.

ირგვლივ ყველაფერი თეთრადაა გადაუნტილი, თოვლის სამოსელშია გავიწეული გზები და მინდვრები, სახლების სახურავები და ბებიები... ირგვლივ დიდი სიჩუმე დგას, თითქოს სულ ცოტა ხნის წინ აქ ექსკავატორებს არ ებუღრაოთ, არც მძიმე თვითმცლელებს და ბუღლოურებს შეეზანარებინოთ იქაურობა.

მარჯვნივ, გზის გაყოლებით ერთმანეთის მსგავსი ნაგებობები მოჩანს. ცივა. საკმაოდ გაუმჭვირვალე ნისლი დგას და ერთსართულიანი კორპუსების მწკრივები ამ ნისლში ისე თანდათან იკარგებიან, თითქოს უსასრულობაში ინთქმებიან.



მოწინავე ვეტფერმალი მერი ჯავახიშვილი.

ფაბრიკის დირექტორი ვახტანგ რთველიაშვილი ვიკითხეთ. მდივანმა ქალმა გვითხრა, ალბათ საწინილე საამქროში იქნებაო.

გასაგებიც არის. სწორედ წიწილამ უნდა დაიწყო ის დიდი საქმე, რომელსაც ამდენი შრომა დასჭირდა. ველარ მოვითმინე და მდივან ქალს შევეცითბე:

— უკვე იცავთ წიწილები?

— როგორ არა, გვყავს!

ეს სიტყვები ისეთი ჩემი სიამაყით იყო წარმოთქმული, რომ უშად მივხვდით — ამ დღეებში, როცა ფაბრიკა ბავშვივით პირველ ნაბიჯებს დგამს, დიდი სიხარულით არის მოცული ყველა — დიდიც და პატარაც, სპეციალისტიც და ტექნიკური მუშაკიც.



მალე ვახტანგიც გამოჩნდა, ფაბრიკის დასათვლიერებლად წავიყვანა.

— კვერცხების პირველი პარტია ჩვიდმეტ დეკემბერს ჩავაწყეთ ინკუბატორში, — გზადაგზა გვიყვება დირექტორი, — ჩავაწყეთ და მამაპაპურად დავლოცეთ, ბარაქა არ მოგაკლოს ღმერთმაო. შემდეგ ჩავრთეთ გათბობის მოწყობილობა, სულ მალე ინკუბატორში ტემპერატურამ 37,5 გრადუსს მიაღწია. დავიწყეთ დღეების თვლა, დღეებს კი არა, საათებსაც კი ვითვლიდით. ყველა ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა ზუსტად 19 დღის გასვლას, 6 იანვარს, იმ დღეს როცა პირველ წიწილას უნდა გამოემტვრია ნაჭუჭი და ჩვენთვის თავისი გამოჩევა ეხარებინა.

დადგა ეს დღეც. წიწილის გამოჩევა ვის არ უნახავს, რა დიდი სასწაულიც არის, მაგრამ ახლა სხვა იყო — გოგანტი სდგამდა თავის პირველ ნაბიჯს. ექვს იანვარს საინკუბატორო საამქროს მზიარული შექაბილები მოედო. კვერ-



მეფრინველეობის
სასწაული
მეფრინველეობა



მანქანები შეუფერხებლად მუშაობენ.

ფოტო შ. კუპულავასი

მთავარი ვეტექიმი ქართლოს კაპანაძე (მარჯვნივ) და სანიტარი თინა გინტური წიწილების აყრის დროს.

ცხის ნაჭუჭებიდან თავგამოყოფილი უსუსური არსებანი, თითქოს შველას ითხოვენო, ისე იგრძელებდნენ კისრებს...

საინკუბატორე საამქროსთან დირექტორი ერთი წუთით შეჩერდა და თქვა: — მაპატიეთ, მაგრამ შიგნით რომ არ შეიძლება შესვლა? ჩვენ ვედარაფერი ვუთხარით.

— მეც მხოლოდ იშვიათად შევდივარ, — განაგრძო მან, — ვფრთხილობთ, რაიმე ინფექცია არ შევიტანოთ, თორემ, მოგეხსენებათ, ერთი რომ დაავადდეს, შემდეგ მას ათიათასობით მიყვება.

— არც საწიწილეში შეიძლება? — იქაც საფრთხილოა.

— ნეტა ცალი თვალით მანაც შემეხედა... ნარკვევის დაწერა მაქვს დავალებული, და, მოგეხსენებათ, შენი თვალით თუ არ დაინახე, მაღლი არ ექნება. ვახტანგი მაწყვეტინებს, კარგი, შევიდეთ ერთი წუთით, მხოლოდ ეს თეთრი ხალათები უნდა ჩაიცვათო, — და წინ მიგვიძღვის.

მართლაც ერთი წუთით იღება ინკუბატორის კარი. შემდეგ საწიწილე საამქროში შევდივართ, იქაც ორიოდე წუთით.


გაისმის რაღაც საოცარი, ჭერდაუწერელი მუსიკა — წარმოიდგინეთ 24.900 წიწილა ერთდროულად წიფწივებს! აი, ესენი არიან სამოც ჰექტარზე გადაჭიმული ფაბრიკა-გიგანტის პირველი მობინადრენი. მათ დასტრიალებენ თავს ასე გულმოდგინედ და გაფაციცებით ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები, მომვლელები, ამცრელები, ტექტიკოსები...

მუდმივად, განუწყვეტელი გაისმის ეს საოცარი მუსიკა ნათელსა და სუფთა საამქროში...

გაივლის სულ ცოტა ხანი და ვიდრე ეს ნარკვევი დაიბეჭდება, ფაბრიკაში ფრინველთა რაოდენობა ალბათ 150 ათასს გადაჭარბებს, შემდეგ გაორკეცდება, გაათკეცდება ეს ციფრი და ფაბრიკა-გიგანტი მთელი სიმძლავრით ამოქმედდება.

ჭერ კი წიწილების მხოლოდ პირველი პარტიის უკლებლად შენარჩუნებისათვის ზრუნავენ მეჭვრისხეველი მეფრინველეები.

საწიწილეს ერთი კუთხე.



წიავ, წიავ, დედილო!

მე პოეტი ვარ და უღეჭსოდ არც აქ შემიძლია გავძლო; რაზედაც გინდა ვლაპარაკობდე, წიწილების ფერმა იქნება, თუ კოსმოსში გაფრენა — ლექსი უნდა მოვიშველიო.

მშვენიერი ქართული ფოლკლორის საუყარელ პერსონაჟთა შორის არის არა მარტო ვეფხვი, არამედ... წიწილაც. რამდენი ზღაპარია ამაზე შეთხზული! მაგრამ მარტო ფოლკლორის გმირი როდი გახლავთ წიწილა. ვუა-ფშაველა თავის ერთ ლექსს ასე იწყებს:

ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა „წიავ-წიასა!“
წიწილის თეთრი ბუმბული
ველად გაქონდა ნიავსა...
ღვარი წავიდა სისხლისა,
წალეკა მთა და ბარია,
არავეს გზა დაათმობინა
და გადათელა მტკვარიი.

ხედავთ, რა უბედურება დაატრიალა ქორმა! ამ გიგანტს ქორი ველარ გაეყარება, მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს განსაცდელი აღარსაიდან იყოს მოსალოდნელი.

ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან მეჭვრისხეველი ვეტექიმები, კერძოდ ფაბრიკა-გიგანტის მთავარი ვეტექიმი ქართლოს კაპანაძე.

— რას გვეტყვით თქვენი პაციენტების ჭანჭრთელობაზე? — ვეკითხებით ქართლოსს.

— ყველანი კარგად არიან და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მათ არაფერი შეემთხვავთ. გაგონილი გექნებათ ე. წ. ქათმის ქირი. ეს დაავადება მუსრს ავლებს ხოლმე არა მარტო ერთ ფერმას, მთელი რაიონების ფრინველსაც კი. პირველი რიგში, ჩვენც სწორედ მისი თავიდან აცილებისათვის ვიბრძვით.

წიწილებთან შესვლამდე ყველა თანამშრომელი, როგორც წესი, გაივლის ხოლმე აბაზანას, შემდეგ სადენინფექციო ხსნარით ვიბანთ ხელებს, აუცილებლად ვიცვამთ თეთრ ხალათებს და ისე მივდივართ მათთან. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სანიტარული წესების, კლიმატური პირობებისა და კვების რეჟიმის დაცვას. ელექტროენერჯის მეჭვრისხევის ქვესადგური გვაძლევს, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს შეფერხება, რამდენიმე საათით დაზიანდეს ქვესადგური. ამიტომ ტირიფონებისთანავე გვაქვს სარეზერვო ხაზი. მაგრამ ესეც არ ვიქმარეთ, ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მოვიმარაგეთ საკმაო სიმძლავრის დიზელ-ელექტროსადგური... საამქროებში მუდმივად უნდა იყოს ნორმალური ტემპერატურა, მცირე შეფერხებაც კი დიდ ზარალს მოგვითანს.



ქარში მივდივარ და მივბარბაცებ,
მე გზად მზისფერი მანთებს სასმელი,
ნაბიჯებს ვსინჯავ, როგორც მთამსვლელი
და ფრთხილად ვაღებ ახალ დარბაზებს.

წინ, შუქიანი რეკენ ზარები, —
ყაყაოსფერი ზანზალაკები,
აქ გავთენდები, გადავიკარები,
აქ სამულამოდ დავბანაკდები.

წავიდა, დაცხრა ოცნება ძველი,
და მე იმ ცისფერს ჩამოვრჩი სომოდლს,
აწ უკვდავების განაჩენს ველი, —
სიცოცხლის ფრთონას, სიკვდილის კვდომას.

მიწაო ჩემო, ვალი მაქვს შენი, —
გადმომატარე ქარებს და წვიმებს,
და მომაქვს ტვირთი ოფლით და ქშენით,
ჭიანჭველების ტვირთივით მძიმე.

აქ საფლავოდ დავბანაკდები

ქარში მივდივარ და მივბარბაცებ,
და ფრთხილად ვაღებ ახალ დარბაზებს.
გავხსენი მიწის ფურცელი ერთი
და შევავებე მხურვალე მკერდი...

აქ საფლავია, მოვიდა დედა,
შვილს გულზე აყრის ყვაფილებს ყვითელს,
და ყვითელია ცრემლი და სევდა,
რასაც კი დედის სიცოცხლე იტევს.

აქ საფლავია. ვაშა საფლავებს, —
დრომ და სიბნელემ რომ ვერ დაფარეს.
მე მზეს ჩავყურებ თვალბში ფრთხილად
და წითელ ტუჩებს ვუკოცნი დილას;

აქ სინათლეა. იგუგუნებს ცეცხლი...
გზას გაბყვანა იგი, შავს და ეკლიანს,
მისი სიცოცხლე, — გაფრენა მერცხლის, —
მიწის ცხელ მკერდზე ახლა ძეგლია.

დარდი და სევდა წაშლილა ძველი
მშფოთვარე, როგორც ქარში კივილი,
მწუხარე, როგორც ლაფარე სველი,
ყვითელი, როგორც დედის ტივილი.

ნაბიჯებს ვსინჯავ, როგორც მთამსვლელი,
მე გზად მზისფერი მანთებს სასმელი;
გაზაფხულს შევტვრი, შევტვრი მათსებს,
და ზაფხულს ცხელ სიღარბისსებს.

ქართლოსს შავგვრემანი, მკვირცხლი ქალიშვილი მიუახლოვდა, რაღაცა
პკითხა და გაიქცა. ხელში შპრიცი ეჭირა.

— წიწილების აცრას ვატარებთ, — აგვისხნა მთავარმა ვეტექიმიმა, — ამ-
ცრელთა ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა ვეტფერშალი მერი ჭავახიშვილი
ხელმძღვანელობს, დღედაღამ მუშაობს.

საწიწილე საამქროდან გავდივართ და სხვა კორპუსებს ვათვალიერებთ.
სხვანაირი მოწყობილობაა, არ ისმის ქათმების კრიახი, მამლების ყვილი...
ცარიელი კორპუსები მათს ტრიაშულს ელოდებიან. ეს დრო კი არც ისე შორს
არის, აგვისტო-სექტემბერში ყველა კორპუსი ჩასახლებული იქნება და მუმ-
ბარაქს იზეიმებს.

მეფრინველთა ეპიზოდებიან ერთიმეორას

ის ერთუზაში, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ნათელი, იმედიანი გან-
წყობილება რომლითაც გამსჭვალულნი არიან ფაბრიკა-გაგანტის მუშები, ციფ-
რობრივ მაჩვენებლებზე უკეთ მეთყველებს და გვამცნობს, რომ ისინი ყველა-
ფერს გააკეთებენ, რათა საქმე წინ წაიყვანონ, ხალხისა და პარტიის წინაშე
პირნათლად გამოვიდნენ.

ფაბრიკის კოლექტივი ჭერჭერობით მხოლოდ ასამდე კაცისაგან შედგება,
წლის მეორე ნახევრიდან სამსაორმოცდაათს მიაღწევს.

ფაბრიკაში უკვე შეიქმნა პირველი პარტიული, პროფკავშირული და კომ-
კავშირული ორგანიზაციები. მათ ახლა ბევრზე ბევრი საზრუნავი აქვთ და უკ-
ვე არაერთ სახარგებლო ღონისძიებას ატარებენ საწარმოს წინაშე მდგომი
სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ყველა აქაური მუშაკის ყურადღების ცენტრში — სოციალისტური შეჯიბ-
რებაა, ჩვენი წინსვლის ეს უტყუარი საწინდარი. მეფრინველეებმა იკისრეს
1972 წლის სოციალისტური ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ჩააბა-
რონ სახელმწიფოს გაცილებით მეტი კვრცხი და ფრინველის ზორცი, ვიდრე
გეგმით არის დასახული.

მეფრინველთა მეფრინველეები დიდად შრომისმოყვარე ადამიანები არიან.
მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ცხადია, დიდ ენერჯიას, მთე-
ლი ძალებს დაძაბვას დაისაჭიროებს. მაგრამ მათ ამისი არ ეშინიათ, ვინაიდან
ქარგად იციან, რომ ნამდვილი გამარჯვება დიდი ენერჯიის, მთელი ძალების
დაძაბვის გარეშე არ მოიპოვება.

ფაბრიკა-გაგანტი ჭერ სრულიად ახალგაზრდაა; საწარმოს თანდათანობით
ამოქმედების პარალელურად გრძელდება მუშახელის მიღება, კადრებით და-
კომპლექტება. ამჟამად გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიში მეფრინვე-
ლეობის დარგზე სწავლობს 32 ახალგაზრდა, რომლებიც სასწავლებლის დამ-
თავრების შემდეგ ფაბრიკაში იმუშავებენ. 28 ახალგაზრდა კი სოფელ ხიდის-
თავის მექანიზაციის სკოლაში იძენს მექანიზატორ-მეფრინველის სპეციალო-
ბას. მანამდე კი ფაბრიკის აღმინისტრაციამ თავისი ინიციატივით მოამზადა 30
მუშა — წიწილების მომვლელები, ლაბორანტები და სხვები. ფაბრიკის ხელ-
მძღვანელობა ამთავითვე ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთათვის ნორმალური
შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. გზის მარცხენა მხა-
რეს მეფრინველთა საცხოვრებელი ბინები შენდება. რამდენიმე ბინაში უკვე


იზეიმებს მუმბარაქი, ახლო მომავალში კი მეფრინველთა დაბაში 220 ოჯახი
იცხოვრებს.


უკვე აშენდა მაღაზია და საბავშვო ბაგა-ბაღი, შენდება სახადილო, საპა-
რიკმანტრო, კულტურის სახლი... გეოლოგებმა იზრუნეს საწარმოსა და საც-
ხოვრებელი დაბის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვისაც.

ყოველ დღეს, ყოველ საათს სულ უფრო მძლავრად შლის მხრებს ფაბრი-
კა-გაგანტი, სულ უფრო ახლოვდება ის დღე, როდესაც ყოველ საათში ფარ-
თოდ გაიდება ფაბრიკის რკინის ალყაფი, იქიდან ათითასობით კვრცხით და
დიდალი ქათმის ხორცით დატვირთული ავტომანქანები გამოვლენ და ჩვენი
რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებისა და ქალაქებისაკენ აიღებენ გეშს.

ალექსანდრე ტაბატაძე,
სოფ. მეჭვრისხევი

მარჯვნიდან — ფაბრიკის დირექტორი ვახტანგ რთველიაშვილი,
ინჟინერი გ. ქარქიშვილი და ვეტექიმი ქ. კახანაძე.





აული ჩოხი.

ფოტო
3. ჩხუშინისა

შემოდგომა მაჰაჩის ქალაქში

ნაპირს გოლიათის ჩრდილი დაეცა. მშვიდად ლივლივებდა კასპიის ზღვა. იყო მზე.

პეტრემ უზარმაზარი, რუხი ქვა დადო ბალახებში და ადილ-გაყის შამხალს გადაულაპარაკა: — რა საუცხოო ნავსადგური აშენდებოდა აქ? თანმხლებნი, დიდნი და წვრილნი, ჩინოსანნი, უმაღლესნი თუ მცირენი, იმ ქვას შეჰყურებდნენ, მერე თითოეულმა თითო ქვა მიიტანა იმ ადგილზე. მალე იქ გორაკი აღიმართა.

... ანჯიარკის მთაზე, იმ ადგილას, სადაც პეტრე პირველმა ერთი ქვა დადო, თურმე სიმაგრე ანჯიყალა გაჩნდა, 1857 წელს კი პორტი — პეტროვსკი. 1921 წელს, ამ ქალაქს, ლეგენდარული სამხედრო კომისრის — მაჰარ დაჰადაევის ხსოვნის უკვდავსაყოფად მაჰაჩყალა ეწოდა.

სექტემბრის მიწურულის ერთ მზიან ღამეს აქ, დალესტანის დედაქალაქში აღმოჩნდი.

დალესტანი მათა ქვეყანას ნიშნავს.

დალესტანის აულებს ეღერადი, ლამაზი სახელები აქვთ. ჩახუტებიან მთებს აულები — ოქრომჭედელთა და მეიარაღეთა, ჩუქურთმისმჭერელთა და მებალიჩეთა, ხის შემამკობელთა და თიხის ოსტატთა, მებამლეთა, მენაბღეთა და მეთუნეთა, აული მზეთუნახავთა და ბაგირზე მოსიარულეთა, აული მრლექსეთა — ყუბაჩი და უნსუქული, ბოთლიხი და პოწათლი, ამუზგა, ხარბუცი და სოგრათლი...

* „დროშის“ რედაქციამ შემოქმედებითი მივლინებით დალესტანში გაგზავნა ახალგაზრდა მწერალი-ქალი ლია ჭავჭავაძე. მან მოიარა მთელი დალესტანი, გაეცნო მოძმე ხალხის ცხოვრებას და დაწერა ნარკვევების წიგნი: „დროშის“ ფურცლებზე დაიბეჭდება ცალკე თავები ამ წიგნიდან. რედ.

... სექტემბრის თბილი, ოქროსფერი დღეები იდგა.

ვათვლიერებდი მაჰაჩის ქალაქს, ვეცნობოდი ადამიანებს. დავდიოდი ზღვაზეც, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როცა მზე ჯერ კიდევ უხვად ანათებდა. იქ, ბულვარზე დგას ძველი სულიმან სტალსკისა, ვისაც გორკიმ „მე-20 საუკუნის ჰომეროსი“ უწოდა.

... ვადიოდა დღეები.

აულებიდან დაბრუნებული, ვუსმენდი რადიოს და ვკითხულობდი აქაურ გაზეთებს. ასე გავიცანი

უგლან ასკუროვა — ტაბასარანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კომპოზიტორები მურად კაქლაევი და გოტფრიდ ჰასანოვი, ქირურგი რაშიდ ასკერხანოვი და მშენებელი საიფულა აბაკაროვი, მოქანდაკე ასკარ სარიჯა, მუსიკათმცოდნე მანაშირ იაკუბოვიჩი, ცეცვის ჯადოქარი მაჰმუდ ესემბაევი და სხვები.

მესმოდა კეთილი ამბები — იზბერბაშის მენავთობებმა გადაჭარბებით შესარულეს გეგმა, კრედენენ ხილს კაიტაგის მეურნეობაში, სხვაგან წარმატებით სრულდებოდა ნავიანევი მოსაელის მკა.

... მაჰაჩყალაში მწერალთა კავშირის ხშირ სტუმრად ვიქეცი, რადგან სწორედ იქ ვიყავი მივლინებული. მწერალთა კავშირის მდივანი ახმედ ხან აბუ-ბაქარი ჭკვიანი და გულითადი მოსაუბრე აღმოჩნდა. აქამდე მას ვიცნობდი რამდენიმე მოთხრობით. ამას გარდა, ჩვენ ხომ ყველას გვინახავს ფილმი „ადამ და ხევა“ — მისი წიგნის „თოვლის ადამიანების“ მიხედვით გადაღებული. და ალბათ გახსოვთ მუბურუმელი მესაფლავის ხაჯი-ბეჭირისა და მისი ცოლის ხევას-სასაცილო და ჩამაფიქრებელი ისტორია. გახსოვთ შერისხვა — ტალაკ-ტალაკ, ტალმი ტალაკ!

აბუ-ბაქარი იცინის. და ეს სიცილი ებრძვის დრომოჭმულ ადამებსა და ჩვეულებებს.

მაჰაჩყალაში მრავალი დალესტანელი მწერალი გავიცანი. დარბაისელი სახალხო პოეტი იუსუფ ხაპალაევი — „ვეფხისტყაოსნის“ მთარაგმნელი, პოე-



ესი პოსტა გაგაგაგაგა...

იოვლის გზაზე.



სწორედ ყველაზე უბრალოა ყველაზე დიადი. წვიმის ერთ წვეთში სინანვს წარღვანას.


რასულ გამზათოვი

სვენარი და სიცოცხლით სავსე ომარ-ჰაჯი შახტამანოვი (მწერალთა კავშირის მდივანი), ფერმკრთალი და ჩაფიქრებული ადალლო ალიევი, მალალი, მოლიმარი აღირზა საიდოვი, რომელმაც იქ ჩემი ლექსები თარგმნა, სახალხო პოეტი ფაზუ ალიევა, რამიდ რამიდოვი, ნიჭიერი სატირიკოსი ჯამილდინი, ხუმარა ნურადინ იუსუფოვი და სხვები.

მწერალთა კავშირშივე გავიციანი ცნობილი ყურნალისტი ერნსტ ჰენრი, კაცი ჰარმაგი და სიმპათიური. ნასამოვნები და გახარებული იყო, რადგან აესრულებინა დიდი ხნის სურვილი — აქედან მიჰქონდა ანდლური ნაბადი და ყუბაჩური ხანჯალი. იგი ალტაცებული იყო ყუბაჩის ნახვით.

29 სექტემბრის წვიმან: დღეს აქვე პირველად ვნახე ვარშაველი ცოლ-ქმარი მილოშები, პოლონური ყურნალ „პერსპექტივას“ სპეციალური კორესპონდენტები. თურმე კავკასიაზე წერენ წიგნს, ამას ვარდა, ავროვებენ მასალებს დაღესტან-პოლონეთის ურთიერთობაზე. ანჯგი მალალი, წითური, კუნთმაგარი, ორმოციოდე წლის კაცია, მხნედ გამოიყურება; ცისფერთვალემა და ტანწერწერა გრავინა სივარტის აბოლებდა და ახმედ-ხანს კითხვას კითხვავ აყრიდა. მაშინ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ დაღესტნის მრავალ კუთხეს სწორედ მათთან ერთად ვნახავდი. მერე, ჩემი ყური შეეჩვია მის სწრაფ და მკლერ პოლონურს: ცო? კობანე, ბენჯე, შიბკო, ალე!

თბილისიდან სულ ახლახან გამომგზავრებულ-



ლებს ქართველის დანახვა ესამოვნათ — საქართველო ძალიან მოსწონთ თურმე, სიყვარულით ახსენეს ქართველი მწერლებიც.

მილოშების ჩამოსვლა ლოძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლებს დაემთხვა. პოლონელებმა მალე მიაშურეს აყუშის რაიონს და იქ დიდი კონცერტი გამართეს. ეს თითქოს საპასუხო მეგობრული ვიზიტიც იყო — არც თუ დიდი ხნის წინ აყუშის ხალხური ცეკვისა და სიმღერების ანსამბლმა ზაკობანეს საერთაშორისო ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავა.

პირველად აქ, მწერალთა კავშირში გავიგონე დარღოული სიტყვა „დერბახ“ — სადღეგრძელო, რაც მეტად მრავალმნიშვნელოვანია: იგი ნიშნავს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, წარმატებას, ერთი სიტყვით, ყველაზე საუკეთესოს, რასაც კი ერთი ადამიანი მეორეს უსურვებს. მერე უკვე არაერთხელ მსმენია იგი დაღესტანში.

ოქტომბრის ერთ დღეს, აქვე გავიციანი სახალხო პოეტი რასულ გამზათოვი — რასულ ჰამზათი-

ლი, მწერალთა კავშირის პირველი მდივანი; ესაა მომხიბლავი და სათნო მთელი ქალის კანტულაისა და დაღესტნის სახალხო პოეტის — ჰამსათ წადასას შვილი. მაჰაჩყალაში, ლენინის მოედანთან ახლოს, ლამაზად დაჩრდილულ სკვერს წადასას სახლის ფანჯრები გადმოსცქერის. სკვერში რასულის მამის — ჰამსათის ძეგლი დგას, აქ დაუქრძალავთ იგი, მაგრამ წადასელ მოხუცებს იღუმალ ამოუთხრიათ იმავ ღამეს, წადას წაუხსენებიათ და მშობლიური მიწისათვის მიუბარებიათ მისი ნეშტი. ამ პატიოსან კაცს უყვარდა ადამიანები, იყო ბავშვების დიდი მეგობარი.

... პირველი შეხვედრა მწერალთა კავშირში. რასული ახლახან ჩამოსულა ბულგარეთიდან, მერე რესტორან „ტულაში“ მისი სტუმრები ვართ. აქ არიან ცოლ-ქმარი მილოშები, დაღესტნელი პოეტები და მწერლები.

ჩემი შეცბუნება. მთლად გათვრებული კაცი დავინახე. რასული ხშირად ხუმრობს, ლექსებს ამბობს, ხმამაღლა იცინის. ბოხი, გულისმიერი ხმით ლაპარაკობს. არა, კი არ ლაპარაკობს, ბრღვენივს ლომით. სულის აჩქარებული, ქარიშხლისებური რიტმი... შავი თვალები უელავს. ეს სული — მოქმედი ვულკანია. სიკვდილისმიერი შხამისა და დამბუგველი ცეცხლის ნაცვლად ამ ვულკანიდან ნათელი ამოდის — ლომისებური ბრღვენივაც და დაჭრილი ირმის უმწეო ძახილიც; აქ იბადება სიხარულიც და ვინ იცის, რამდენი მწუხარე მოთქმაც და როგორ შედუღაბებია ამ ჩასხმულ, გათვრებულ კაცში სიხარული და მწუხარება, ღიმილი და ცრემლი, რისხვა და სინაზე, სითბო.

ამ ვულკანს ერთი სახელი აქვს — პოეტი. შევხედე. ჩაფიქრებულა, წამიერად გარინდებული. ვინ იცის, რაზე ან ვისზე ფიქრობს ახლა, ამ წამს? იქნებ, ომის ქარცეცხლში დაკარგულ ძმაზე ფიქრმა გადახაზა მძიმედ მისი შუბლი? „ახილ-ჩი, ახილ-ჩი, დედა გეძახდა წვიმაში, ქარში, რამდენმა ხანმა გაიარა, რაც არ ვართ ერთად, ჩვენ არ მოგვსვლია წერილი და ბარათიც ღია. ახილ-ჩი, უგზოუკვლოდ, ძმაო, დაკარგულო“.

შევხედე. განათებია სახე. ახლა რაზე ან ვისზე ოცნებობს იგი? რა იღუმალი ნეტარებით უბრწყინავს კვლავ თვალები.

სატრფოზე თუ ოცნებობს? „მე ასმა ქალმა მომხიბლა, ასშივე ასი შენა ხარ“.

კვლავ ჩურჩულებენ ბავები. „ადამიანი — საოცარი ბავშვია, მამავ“. ალბათ, შენ გელაპარაკება ახლა შენი შვილი, პატიოსანო კაცო — ჰამსათ წადასა!

„მარადიული ბავშვის“ ბავშვურ თავმომწონობასა და ექვთან ერთად, მოეღვარე თვალებიდან ტკივილი იხატება და წამიერად ვხედავ გათვრებულ თავს ყველაზე ერთგულ და თბილ ხელებზე — კანტულაის ხელებზე და ტკივილამდე ვგრძნობ, როგორ გაატანა ცხელმა ცრემლებმა თითებში, როგორ გაშანთა ხელები.

... ამოდის ვულკანიდან კეთილი ცეცხლი. იგი ცეცხლის ქვეყანაში დაბადებულა, წადა ხომ ცეცხლს ნიშნავს და იქიდან მოჰყვა საგზლად უკვდავი ნათელი.

ამ კაცს ერთადერთი გზა აღუჩნევია, მიდის იგი ადამიანებისავე — „მალალი ვარსკვლავებისავე“, როგორც მან თქვა — „ადამიანებო, ადამიანებო, მალალო ვარსკვლავებო, ნეტამც მომალწევია თქვენამდე“.

თბილისში, ჩემს საწერ მაგიდაზე რასულის ნაჩუქარ ბალხარულ დოქში დაღესტნიდან ჩამოტანილი არწივის ფრთა მიდევს და ყოველ შეხედვისას მაგონდება „გზა ვარსკვლავებისავე“.

იმ „მალალი ვარსკვლავებისავე“ ყველას თავისი გზა აქვს, მეც ვიცი ჩემი გზა. მე იმ გზის ერთ-მა ბილიკმა შენს დაღესტანში მომიყვანა, რასულ!

ოცდაშვიდი სექტემბერი. არ ვიცოდი, რომ ეს დღე სიურპრიზს მიმზადებდა.

საღამოს, ლაკი პოეტის აბუტალიზმ გაფურთვის პატარა, უბრალო და სტუმართმოყვარე სახლში აღმოვჩნდი. საბავშვო მწერალი, ლაკი ნურადინ იუსუფოვი და ექიმი-გერონტოლოგი რამზან ალიქიშვივი — აბუტალიზმს მეგობრის შვილი მახლდნენ თან.

აბუტალიზმი... დაღესტანში მას უგვაროდ იცნობენ.

ეს ის აბუტალიზმია, რომელიც ჩვენთან, საქართველოში (ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც) ათასობით ადამიანმა გაიცნო და შეიყვარა რასულ გამზათოვის ცნობილი წიგნის „ჩემი დაღესტნის“ შემდეგ; წარსულში მკალავი, მწყემსი და მეზურნე, აწ ორდენოსანი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახალხო პოეტი, 30 წიგნის ავტორი (თუმცა ზურნა და სალამური დღემდე არ მიუტოვებია). ემელიან იაროსლავსკიმ მისი ლექსის სტრიქონებით გახსნა პარტიის მე-17 ყრილობა.

მაგრამ... მაგრამ უმაღლესი მისი ნაკვესებითაა ცნობილი ეს დაღესტნელი მოლა-ნასრედინი. აბუტალიზმის ხუმრობაზე იცინის მთელი დაღესტანი.

... ვაზის რტოებით მოჩრდილულ პატარა ეზოში შევედი, აბუტალიზმი შუშხანდში, ფართო ტახტზე გადაფარებულ ცხერის ტყავზე, აღმოსავლურად ფენმორთხმული იჯდა, შილიფად ჩაცმული, თავზე შავარშიანი პაწია ფესკა ეხურა; 90 წელს გადაცილებულს სულაც არ ჰკავდა, მალალი, თეთრწვერულვაშა, შუბლზე ფიქრთა თხელი ბადით და ცოცხალი, შავი თვალებით. გრძელი თითებით რვეულს ფურცლავდა.

იქვე თუნგულა და საბუქდი მანქანა იდგა, კუთხეში — უნსუქტულური ჯოხი. ფანჯრის რაფაზე — სათვალე და ბალხარული დოქი, შუშხანდის ერთ კუთხეში დიდი, ძველი სავარძელი იდგა, იქვე, ტახტთან, მაგიდაზე ეწყო ქალღაღები და წიგნები.

— ბოლო ხანებში შეუძლოდაა, — ჩუმად შეუბნება ნურადინი.

ყრუდ ახველებს მასპინძელი, თვალებდახრილი აბუტალიზმი უტეხ თავს ზემოთ სწევს და შესცქერის სტუმრებს.

შემოგვეგებნენ მისი მეუღლე რაჰიმათი, პატარა, თეთრი ქალი, მისი ქალიშვილი და სიძე.

ირგვლივ ბაღლები დაცუქტულებენ და ცელქობენ.

გააცენეს ჩემი თავი აბუტალიზმს.

დავინახე, როგორ ათამაშდა სხივი წამისწინ ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ სახეზე, ღიმილმა როგორ გაუნათა თვალებში მოლოლი ბერიკაცს. მაგიდასთან მივიწვიე. დავსხედით, ვსაუბრობთ. ვლაპარაკობთ რუსულად, ოღონდ ხანდახან გაისმის ლაკური — ეს რაჰიმათი უცაცხანებს ცელქებს, ან ნურადინი ჩაულაპარაკებს რამეს მასპინძელს. ექიმი-გერონტოლოგი დროს არ ჰკარგავს. თან ლაპარაკობს და თან აბუტალიზმს ხატავს, ნურადინი აბუტალიზმის ბოლო ლექსს მიკითხავს, მერე მის ლექსს ლენინზე; „გლეხი ხნავს მიწას და თესლს ახნევს... ლენინმაც მოახინა თესლი კეთილი მთელ ქვეყანაზე. სადაც თბილა, იქ სწრაფად იწყებს ამოსვლას, სადაც ცივა — იქ ცოტა იგვიანებს, მაგრამ იქაც, ზოგიერთების სურვილია საწინააღმდეგოდ, მიინც ამოდის და იზრდება. სადაც მზე არაა, იქაც სულ ნელ-ნელა იწყებს ამოსვლას, ასე ხალხი თანდათან წინ მიდის მთელს დედამიწაზე“. ასეთია ამ ლექსის შინაარსი.

პოეზიაზე და საერთოდ ხელოვნებაზე ჩამოვარდა სიტყვა.

— ერთი ის იგავი თქვი, აბუტალიზმ, სთხოვს



ბაზარი მაპაჩალაში.

ნურადინი. და აბუტალიბი ჰყვება საუღლე ხისათვის ტყეში წასულ ორ კაცზე: ერთმა კარგად შეათვალა და მოჭრა ხე, მერე ისადილა და გამოიძინა კიდეც, მეორე სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ტყეში, დაბოლოს დაღლილი, მშვიერი, დაკაწრული და ხელცარიელი დაბრუნდა.

— ცხოვრება კი ჩვენს გვერდზეა, სულ ახლოს, იმ საუღლე ხესავით, პირველმა კაცმა რომ მოჭრა. ნეტავ რას ეძებდა მისი ამხანაგი?

თქვა აბუტალიბმა და ისევ განაგრძო: — ეს ამბავი იმასაც ამბობს, შვილო, რომ ზოგი მთელი სიცოცხლე იმის ფიქრშია — რა სიკეთე გავაქეთო, როგორ გავაქეთო, და ასე გადის მისი წუთისოფელი. მეორე კი აკეთებს კეთილ საქმეს და არც ბევრს ლაპარაკობს ისე აკეთებს, — დაასრულა შეგონება აბუტალიბმა.

და უეცრად მესმის ქართულად ნათქვამი.

— გამარჯობა. სადაური ხარ, შვილო?

როგორა ხარ?

შენი სოფელი თიფლისია?

დედ-მამა გყავს? ძმა? და?

?!
?

პირველად ხმას ვერ ვიღებ. ნურადინი და რამაზანი იღიმებიან. მათ არ უვივით. აბუტალიბი თურმე მრავალ ენაზე ლაპარაკობს (და ლექსებსაც კი წერს).

— ქართული იცით? — სიხარულს ვერ ვფარავ.

— საქართველოში ყოფილხარ? სად?

— ქართული ვიცი? ჰო, ვიცი, ვიცი, — მეუბნება აბუტალიბი და განაგრძობს:

— რა ამბავია იქ? პური ხომ არი? მშვიდობა არი გურჯისტანში? როდის მოიდა? როგორ არი? როგორ გინახავს ჩვენი დაღესტანი, კარგია? დამავიწყდა ქართული, პატარობაში კარგად ვიცი იყო, ეხლა დამავიწყდა. სად ვყოფილვარ? შილდაში, ყორღელში, ინსულში, თილავში იყავ... ბევრი ჩოჩხალი ჰქამა იყო, ბევრი, ბევრი იყო...

წივილიც ბევრი იყო, ეხლა ხომ არ არი? ხომ შვილობა არი?

გასასუხობ შეკითხვებზე და მეღიმება, სრულიად ახალგაზრდას მოუვლია აბუტალიბს — მკალავს — თითქმის ნახევარი საქართველო.

... რაპიბათმა სუფრა გააწყო, მერე ღვინო შემოიტანა, თამადა აბუტალიბია.

ვალდებურძელთ სამშობლო, სახლი, დიასახლისი, დედ-მამა.

მამაკაცები პაპიროსს სწევენ, კვამლის იისფერი ზოლი მიირწყვა ზევით.

ნურადინი და რამაზანი რაღაც სასაცილოს მიყვებიან და ისმის მალიმალ — აბუტალიბმა თქვა, აბუტალიბმა თქვა...

აბუტალიბი არაფერს ამბობს. მხოლოდ ხითხითებს ჩუმად და თვალებს წკურავს. მალაღი, ქათა მთვარე იჭირება სარკმელში.

შუშაბანდში აბუტალიბის შვილიშვილები დარბიან.

მესამე კვირის შემდეგ აბუტალიბმა ჩაილიღინა:

მე არ მინდა აბაზი,

ქალი მინდა ლამაზი.

არ მინდა მე დუქანი,

ქალი მინდა ჯუჭანი.

— მართალია? — მეკითხება.

გულიანად მეცინება. ახლა ნურადინისა და რამაზანის გაკვირვების წუთიც დადგა.

...თამადა ლაპარაკობს კვლავ, ჰყვება (რუსულად) მაპაჩალაზე, რევოლუციამ. იტყვის რაიმეს რუსულად და მერე ისევ ქართულს უბრუნდება, ისევ საქართველოზე მექართულება მოხუცი.

— ქართული ძალხი ძალიან კაი ძალხი იყო.

— დაჯე კაცო, ჰამე პური.

— იმისთანა პური იყო იქით, შილდაში, როგორც შამილის შაშკა.

— ჩვენი ძალხები ძალიან ჰგავს ხასიეთით, თამაშებშიაც ჰგავს, როგორც ჩვენი ძალხის ხასიეთით, კაი იყო ძალიან, კეთილი, ძალიან კაი ხასიეთი იყო. მე ლეკი ბიჭი იყო.

იტყოდენ: — მოდი, ლეკი ბიჭო, ხინკალი გააქეთე და მერე დაჯე, კაცო!

— შემამულე ჰევევაძესთანაც ვყოფილვარ (რუსულზე ვაღვივებ) — ეს შორსაა თბილისისგან, იქ კარგი ბაღები იყო, ლამაზი მიწიერი ადგილები.

ფუყურებდი აბუტალიბს და ვფიქრობდი: ამ კაცს არ დაჰვიწყებია ქართული პურ-მარილის მადლი, ქართველი კაცის სიკეთე და სითბო და რაც მთავარია, მას ენა ახსოვს, ქართული ენა.

— ალბათ დაგლაღეთ? — ვკითხე მას. არ ვიცოდი, როგორ მიმემართა. ბატონო — არ ვარგოდა, არც პატივცემულო, არც — შენ. იქნებ ასე — პაპა აბუტალიბ? ან იქნებ ყველას პირდაპირ აბუტალიბი სჯობს?

— არაო, — ჩაიღიმა, — ცუდი კაცისგან ნახევარ საათში ვიღლები, კარგისგან — მთელი ღამეც არ დავიღლები. თუ თქვენ არ იქნებით, აი, მაშინ კი დავიღლები.

ოდნავი წასიმღერებით, ღიღინით ლაპარაკობს ჩვენი ენაწყლიანი, გულთბილი მასპინძელი. ღიღინით კითხულობს ლექსებსაც.

ბევრი სადღეგრძელო შესვა, ბევრი რამ ითქვა. როგორ ეწყინა ჩვენი წასვლა, რაღაცას ამბობ-

და ლაკურად, მერე ნურადინმა მითხრა: — დიდი ხანია, ასეთი გახარებული აღარ მინახავსო აბუტალიბი. ასე უთქვამს — რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემთან ოდესმე ქართველი ქალიშვილი მოვიდოდაო სტუმრად.

წამოსვლისას ვახტანგ ონიანის კედურობის დიდი ფოტო ვაჩქეე, მასზე მოხუცი სვანია თავის ბადიშთან ერთად, აბუტალიბს ძალიან მოეწონა.

ვთხოვე, რამდენიმე სიტყვა ეთქვა ჩვენი ყურნალის მკითხველუბისათვის, აბუტალიბმა ლაკურ ენაზე, არაბული ასოებით დაწერა ეს ბარათი (50 წლისას უსწავლია რუსული წერა-კითხვა, ადრე არაბულად წერდა და ჩვეულება რუსულზე უმტკიცესიაო, ხომ მოგეხსენებათ... სამი ანბანი იცის დაღესტანმა — არაბული, ლათინური და ბოლოს რუსული — ნაციონალური თავისებურებათა გათვალისწინებით; რაღა თქმა უნდა, იყო უძველესიც, რომელსაც არქეოლოგები ეძებენ და პალეოგრაფები იკვლევენ).

რამაზანი თარგმნიდა — ჩიჩა, ჩიჩა (წერე), ეუბნებოდა მოხუცი, აი, ისიც.

„მე ძლიერ გამახარა ქართველმა ქალიშვილმა ლიამ, რომელიც ქართული საღმრთო ჩამოვიდა დაღესტანში, სიხარულით გული გამიახალგაზრდავა. თითქმის დღევანდელი დღე იყოს, ისე მახსოვს ქართველი ყმაწვილები და მეგობრები, რომლებთანაც ერთად ბავშვობაში პური მიჭამია, ჩემი გულიდან არ იშლებიან ისინი.“

დიდი მადლიერების გრძნობით ვუგზავნი დაღესტნურ საღამს ყველა გულითად ქართველ მეგობარს.

27 სექტემბერი, 1971 წ. აბუტალიბი“.

მერე უცებ მომიბრუნდა და ქართულად მითხრა:

— მე ირაკლი აბაშიძეს ვიცნობ. ჩემი მოკითხვა ირაკლის.

ღამიერი ქალაქის მშვიდი ქუჩებით ვბრუნდებოდით, ნურადინი და რამაზანი მხიარულად ბასობენ. მე კვლავ ჩვენს მასპინძელზე ვფიქრობ. გამომშვიდობებისას აბუტალიბს თვალები უტიწინდა, მაგრამ თვალთა უბეგბათი იდუმალი სევდა შეენიშნე, ნურადინის მონაყოლი გამახსენდა.

ამასწინათ აბუტალიბთან მისულა იგი. მოხუცი კუთხეში მიკუნჭულიყო.

— აბუტალიბ, მანდ რას აკეთებ?

— სიბნელეს ვეჩქევი, — გამოსძახა აბუტალიბმა.

???

— ჩემო ნურადინ, მალე იქით ვაპირებ გამგზავრებასო, — და ხელი დასავლეითსკენ გაიშვირა.

ეს სევდიანი, ბრძნული ღიმილი აბუტალიბისათან მიმყვება.

ლაკურ ენაში არის ერთი მრავლისმთქმელი სიტყვა. იგი ნიშნავს პატიოსნებას, სიკეთეს, ნიშნავს ადამიანურ ვალს — ვალში არ დარჩეს სხვა ადამიანთან. ეს სიტყვაა იახ.


შენ, აბუტალიბ, ვალში არ დარჩენილხარ არავის, მწყემსო და მკალავო, მეზურნე და პოეტო, მამე და პაპე, გონებაშხვილო კაცო, შენ თავად ხალხი ხარ, დაღესტანი ხარ შენ. შენი სიცილი მომავლისაკენ იმზირება, რადგან იმ იახის შუქი განათებს. იცოცხლე, მოხუცო! ილდებრძელო!

ვფიქრობ და კვლავ მალიმალ რეკავს აბუტალიბის კითხვა:

— გურჯისტანში ხომ შვილობა არის! შვილობა!

ღია ჰამზამაძე

ყუბარელი ოსტატების ნამუშევრები



ნაჩუქარი ნიბნები

გულწრფელად მოგახსენებთ: მე არ მიყვარს უკვე თქმულის განმეორება, მაგრამ იგივე არასოდეს მაიწყებდა განვიმეორო — უმძიმესი პროფესია გახლავთ მწერლობა. ჩემს აზრით, მეშახტეობა თუ შედარება მას. ახალგაზრდებს არ ესმით ეს მტკილიად. 98 წლის ბერნარდ შოუ აფრთხილებდა მათ: ერიდეთო პროფესიულ მწერლობას. დიდთა შორის მხოლოდ გოეტემ შეირგო ეს პროფესია ნორმალურად.

სებედენიერი ლორდი იყო ჯორჯ ბაირონი. ჩემის აზრით, უსაზნაო ამბავი იყო მისი დაღუპვა მისოლოგში დიზენტერიით.

პიპოზონდის მსხვერპლი გახდა ეს დიდი კაცი და დიდი მწერალი.

მწერლობა, როგორც პროფესია, ჩვენი საუკუნის სენია. რამდენი წესიერი კაცი აცდა ინტინის, ექიმის, ბუხალტერის ხელობას. ასეთნი სწერენ, სწერენ და სიცოცხლის დასასრულს ხელმოცარულნი რჩებიან.

დიდი პოეტები: მაღარმე, ბოდლერი, ედგარ ალან პო, რილკე პროფესიამ დაღუპა.

მე პირადად სერიოზულად არც კი მქონდა განზრახული პროფესიული მწერლობა. ჩემი ოცნება იყო გენერლობა, ან დიპლომატობა, ანდა მსოფლიო მთავრობის კარიერა.

ამიტომაც დიდძალი ენერჯია შევსწირე ენების შესწავლას. ბოლოს პროფესორობა მომანიჭეს. მე თავათ მივხვდი, რომ პედაგოგობა არ იყო ჩემი საქმე.

ხელი მივყავი თარგმანს. არადადამიანური შრომა მოითხოვა ამ საქმემ. 14.000 სტრიქონის სიტყვა-სიტყვით გადატანა ქართულიდან ფრანგულად დაშორებულ ენიდან. ამას ყოველივეს ისე ვგაგონებ, როგორც კატარლას.

თავის დროულს ეს შესძლო ევროპელთა შორის მხოლოდ ომანეს საქსონისი-მეფემ. მან თოთხმეტმარცვლოვანი ურითმო ლექსით ბრწყინვალედ სთარგმნა „ღვთაებრივი კომედია“.

ზოგჯერ კრიტიკოსი მოიწადინებს ხოლმე ამა თუ იმ მკვლარე-შობილი წიგნის „გაცოცხლებას“, მაგრამ ამაოდ. ეს ამბავი მარტო საქართველოში როდი ხდება, მთელ მსოფლიოშიც. არავინ უწყის ამის მიზეზი. ნაწარმოები ზოგჯერ „ხუთჯეა“ დაწერილი, ყველა კომპონენტი თავის რიგზე: მსოფლგაგება, სიუჟეტური ქარგა...

მაგრამ რაღაც აკლია და ამის გამო ეს ნაწარმოებები რჩებიან გაუთხოვარი ქალის ანტურაჟში.

მე დამამახვარდა ლიბიკიელი ჩემი პროფესორის ვუნდტის ნაბრძანებით: „თქვენა გგონიათ, მე ყველა წიგნს თავიდან ბოლომდე ჩავიკითხავ. ჭერ ვნახავ პირველ გვერდს, მერმე შეუთანა გვერდებს გავჩხრიკავ, ხოლო დასასრულს რამდენიმე გვერდს და მე უკვე ვიცი, ესა თუ ის ავტორი რა ღირებულებასა“.

მე არ ავეყვი ჩემი საყვარელი მასწავლებლის რჩევას. თითქმის ყველაფერს ვკითხულობ შეძლებიანამებრ, წარამარა თვალყურს ვადევნებ ხოლმე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ისე დასავლეთის პრესასა და ლიტერატურას. ხშირად საოცარი უმწეობა და უგემოვნება გეცემა თვალში.

შარშან ერთ-ერთ სიმპოზიუმზე ცნობილმა მწერალმა პრისტლიმ განაცხადა: რომანი ვეღარ დავწერო.

განა მარტო ჩვენს საუკუნეში, XVIII და XIX საუკუნეებში სულ რამდენიმე მწერალმა შესძლეს ნამდვილი რომანისა და ნამდვილი ნოველის დაწერა.

უნიკო მწერალი დანდობილა ამოსულ ლობიოსა ზგავს, თუ სარი არ დაუყენე, უთუოდ წაიქცევა.

ხოლო კარგის ქებას ორნარი ნირი აქვს. ზოგ ხელოვანს ქება შემოქმედების ახალ მწვერვალზე-

ბისაკენ აიყვანს, ზოგსაც აგოებს, იგი უკვე ზევიდან დახედავს თავის კოლეგებს.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც მე ვაპირებდი ზოგიერთ ჩემი თანამედროვეთა ნაწერების შეხებას. ხან მოუცდელივით შემიშალა ხელი, ხან ავადმყოფობამ.

ეს წერილი ეხება ჩემი ძველი მეგობრის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას. ზოგიერთს თვალში ეცემა სიტყვა „მეგობარი“, მე აქვე უნდა განვაცხადო: მე არასოდეს მიმეგობრია უპრინციპოდ და ხელაღებთ. ან რა მაიძულებს. ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგების გარდა, მე არავის მომველებდა და დახმარება უკვე აღარ დამჭირებდა.

შარშანწინ ბერლინში შემხვდა ვენელი ერთი უურნალისტი, რომელმაც საუბარში ასეთი რამ მითხრა: ტფილისიდან ჩამოსული მწერლები და უურნალისტები მიმტყიცებდნენ: თქვენი კონსტანტინე ლორთქიფანიძე შესანიშნავი მწერალია, მაგრამ ფრიალ ჭიუტი და სასტიკი, როგორც რედაქტორი და გამომცემელი.

მე მას თითქმის დავეთანხმე, დიას, ეს ამხანაგი სასტიკია-მეთქი, და ჩემის აზრით, ეს ამშვენებს-მეთქი მას. აბა რა გამოვა, თუ ყოველ თანამოკალმეს ბალი ალა უძახე.

ამ უპრინციპო შექებას და თავის ქიცინმა წარმოშვა-მეთქი ეს მოზღვავებული მანაკების კრებული, რომელნიც ჩვენს თვალწინ ბილწავენ ნამდვილ ხელოვნებას.

გულწრფელად ვაღიარებ, 20-იან წლებში მე არ ვფასებდი კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას.

იმავე წლებში კ. ლორთქიფანიძე დაგვეჩახებოდა ხოლმე მე და პოეტს კ. ჭიჭინაძეს; ერთ პლენუმზე იგი განსაკუთრებით გაავებული შეგვიბრძოლა.

მთელი პლენუმში ჩვენი პოლემიკის ატმოსფეროში მიდიოდა. იაკინთე ლისაშვილმა განაცხადა:

— ეს რა პლენუმია, ეს კონსტანტინეების ჩხუბს უფრო წაგავსო.

გასული წელი ჩემთვის უნაყოფო იყო, იმ მიზეზის გამო, რომ მე მწუხარებამ და ავადმყოფობამ დამძლიეს. ლოგინად ჩავარდნილი მინც ვკითხულობდი.

გადავიკითხე კონსტანტინეს სამი წიგნი. განსაკუთრებით დაკვირვებით: „ერთი კარგი წელიწადი“.

ჩინებული ნოველებია მასში მოთავსებული: „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, „მოხუცი მებაღურის სიკვდილი“.

ამ ნოველის შესახებ მე გულახდილად განვაცხადე ჩვენი მდივანის სერგი ჭილაისა და სხვა ამხანაგების გასაგონად:

ეს ნოველა უეჭველად მირჩევნია ჰემინგუეის ცნობილ ნოველას; აბა თქვენ თავთ ბრძანეთ: რა ტრაგედიაა ასეთ სიტუაციაში: მოხუც მთევგურს სადღაც უწარმარარი თევზი დაუჭერია, ნავის ქვი-ნტზე მოუბამს. ვეშაბი უკან მოსდევს. ბოლოს ეს უბედური მოხუცი ნაპირზე მიიტანს ცარიელ ჩონჩხს თევზისას.

ჰამბაგ — წამოიძახებდა ალბათ არა ერთი ინგლისელი, ან ამერიკელი მკითხველი.

მე შორიდან ვამჩნევ, დასავლეთის მწერლობას საფანელი შემოვლიდა.

როცა ჰემინგუეის სიკვდილი მთელ მსოფლიოში გახმანდა, თვით მისი მახლობელი მკითხველები არწმუნებდნენ ხალხს, თოფი გაუვარდაო.

მე 50 წელზე მეტია თოფს ვიყენებ სანადიროდ განა თუ ერთს, სამი თოფი მაქვს. არც ერთი არ გამვარდნია.

ერთი წლის შემდეგ ჰემინგუეის მეთულემ ალი-

არა: ჩემმა მეთულემ გაურკვეველი მიზეზის გამო თავი მოკლაო.

მე რომ 1928 წელს პარიზში დავრჩენილიყავ და სამშობლოში არ დავბრუნებულყავი, უთუოდ ჰემინგუეის ბედს ვეწეოდი.

თუ მწერალს დიდი მწვავე იდეური „ანთება“ არ შეეყარა, იგი ვერაფერს შექმნის საიმედოს.

ჩვენი მეგობარი კონსტანტინე მუდამ მაგონდება, როგორც ალგუნებული მწერალი და ადამიანი.

1929 წელს მე სამშობლოში დამაბრუნა საბჭოურმა ხელისუფლებამ.

ბუნებრივია, პირველ წლებში არავინ მანებიერებდა, „რაპის“ პერიოდში ჩემთვის საღამოს მოცემას ერიდებოდნენ ზოგ-ზოგი კოლეგები. მე თავთ თითქმის ვშიშობლობდი.

ერთხელ სახაშუში ვიქეცი.

შორი-ახლო ორი მთვრალი კაცი იჭდა და კიტრის ნაფტკვენებს მესროდნენ.

მე მივედი მათ მაგიდასთან, ჩემი სატევაირი, რკინისა და ძვალთა მტკელი, გავაშიშვლე და მივეძიერი მთვრალებს.

ერთი აყვირდა: მე მომკალი, ოღონდ ჩემი სტუმარი დაზოგოო.

ბოლოს ისინი გაიქცნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდნენ კონსტანტინე და ორი ამხანაგი მისი. დახედნენ და ნებიერად მიირთმევდნენ საუშმეს.

კონსტანტინემ მარჯვენა მიიჩრდილა თვალმწე.

ბოლოს მე მომტკრა, მძურად გადაშოცნა და თავის სუფრაზე მიმიწვია.

ასეთი გულთფილი იყო იგი ჩემს მიმართ, თუმცა მე იმ ხანებში ეს არ დამიმსახურებია.

ჩვენმა კონსტანტინემ სახელი გაითქვა, როგორც საბჭოეთში, ისე ევროპაში. ჩემის აზრით, მწერალთაგანი, განსაკუთრებით პროზაულ ქმნილებათა ავტორი, კავკასიონს თუ ვერ გადაცდა; იგი ამაოდა დამშვრალი შინაც.

კონსტანტინემ უცხოეთშიც გაითქვა კარგი, შესანიშნავი სახელი და მისმა ნოველებმა და რომანებმა რეზონანსი იპოვნა.

მე დიდ როლს ვაკუთვებ მწერლის ენას.

საერთოდ, მე მომწონს კონსტანტინეს ენა. ბუნებრივია, აკაკი წერეთლის იმერულმა ბრწყინვალე იდიომმა ბევრი რამ გადმოსცა მომდევნო თაობებს.

ალაგ-ალაგ მე არ ვიზიარებ კონსტანტინეს მართლწერას. იგი „მერმეს“ ნაცვლად „მერგს“ ხმარობს. ეგ არაა ნორმალური ამბავი ისეთი მწერლისათვის, რომელიც ფრიალ სკრუპულოზურად ექცევა მართლწერას.

ამ მცირე შენიშვნას არავითარი პრეტენზია არ მოეპოვება კ. ლორთქიფანიძის ტომების განხილვისას.

თავის პირველ ტომში მას ლექსების თარგმანებიცა აქვს.

მე მომხიბლა მისმა შესანიშნავმა ლექსმა „მერი“, რომელიც მიძღვნილია მისი სანაქებო მეთულისა და თანამესაგრე მერი ლორთქიფანიძისადმი.

არ დაგვაიწყდეს კ. ლორთქიფანიძის დიდი ღვაწლი მწერალური ახალი თაობის აღზრდის საქმეში.

ასეთივე დამსახურება აქვს მას, როგორც გამომცემელს. იგი არაფრით არა ზგავს ზოგიერთ გარედაქმნებულ ავტორს, რომელიც თავის თანამდებობას ბოროტად იყენებს.

მე ვუსურვებ ჩემს მეგობარს, კონსტანტინეს უფრო და უფრო განავრცოს თავისი შრომები ქართველი მკითხველისა და საერთოდ ქართული კულტურის დასამშვენებლად.

კოლხური კოშკი.
1972 წ.

ეზრონობჟუა

ნაწილი პირველი

მე დავიხადე ათას ცხრაას ორში. მას შემდეგ ჩემს ნააყვნარში არასოდეს დავბრუნებულვარ. მძულს დაბრუნება.

სამი წლისა როდესაც გავხდი, მე აღეპოში მცნობდნენ, როგორც ფაშის შვილიშვილს. ცხრაამეტი წლისა მოსკოველი სტუდენტი გახდით, კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლისა.

ორმოცდაცხრისა კვლავ მოსკოვში, ცეკას სტუდარი. თოთხმეტი წლიდან პოეტის მსახურად მთვლიან.

წოგმა ბალახთა სახეობა იცის ბევრგვარი,

წოგმა თევზების სახეობა იცის ბევრგვარი,

მე კი — ათასი სახეობა ჭანშორებისა.

წოგმა ვარსკვლავთა სახელები იცის ზეპირად,

მე ვიცი მხოლოდ სახელები ვამოთხვეების,

დიდ ცისებშიც მიძინია, სასტუმროებშიც.

მგონი, ვაფსინჯე ყოველგვარი კერძი ამქვეყნად,

და, სხვათა შორის, ვიცი ყველა შიმშილის ფემო,

და, სხვათა შორის, ვიცი ჭემო შიმშილობისა.

სამ ათეულის რამ შევსრულდი, გასანთლულ თოკით

უნდოდან ჩემი დაკიდება და არ დამკიდეს.

ორმოცდარვისას საურდათ ჩემი დაჯილდოება

მშვიდობის მდელით და ეს ჯილდო მარჯუნეს კიდევ.

ოცდათექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც საკნის

სულ ოთხი მეტრი გავიარე ნახევარ წელში.

ორმოცდაცხრამეტი წლის ვიყავი, როცა პარლიდან

თვრამეტ საათში შავანამდე გადავადურინე.

ლენინი ცოცხლად არ მინახავს, ვერ მივუწვარი.

ოცდაოთხ წელში საბატო გუშავად ვიდექი,

სამოცდადარისი განვავარდობდი სიარულს მასთან,

მისი წიგნების მავწოდებში.

ღამობდნენ ჩემი პარტიიდან ჩემს მოშორებას,

არ გამოვიდა.

იღუწებოდნენ კერპები და მე მათ ნამსხვრევებს

ქვეშ არ მოვყევი.

ათას ცხრაას ორმოცდათორმეტს,

ჩემს ახალგაზრდა ამხანაგთან ერთად ვხედავდი

უემველ სიკვდილს და ვილტვოდი მინც იმისკენ.

დამსხვრეულ ფულით,

ათას ცხრაას ორმოცდათორმეტს,

ოთხ თვეს ვიწევი გაუნძრევლად, ველოდი სიკვდილს.

მიგრძენია ეჭვი საშინელი

სატრფოთა მიმართ,

და სხვათა მიმართ არ მქონია შური აროდეს,

თვით ჩაბლინისაც.

ხანდახან ქალებს ვატყუებდი, მაგრამ მეგობრებს,

არასდროს არა!

ვსვამდი, ღოთი კი არ გავმხდარვარ.

პური არსობის, მადლობა ღმერთს, მხოლოდ და მხოლოდ

ჩემი გარჯით და ჩემი ოფლით შემძინია.

ვცრუობდი, რადგან მე მრცხვენოდა მაგიერ სხვისა,

ვცრუობდი, რათა არ სწყენოდა რაიმე სხვისა,

ვცრუობდი, წოგჯერ მე ყოველგვარ მიწებს გარეშე.

ვმოგზაურობდი მატარებლით და თვითმფრინავით,

ადამიანთა მეტწილს რისიკ არა აქვს ფული.

მე დავდიოდი ოპერაში,

თუმცა ეგ სიტყვა

ადამიანთა მეტწილს არც კი გაუგონია.

სანაცვლოდ ამის ათას ცხრაას ოცდაერთიდან

არა ვყოფილვარ, სადაც დადის უმეტესობა, —

ეკლესიებში, მეჩეთებში, მარჩილებთან,

თუმცა იყო დრო, მეც ყავაზე ვმარჩილებოდი.

მე ვიბეჭდები ოცდაათ თუ ორმოც ენაზე,

ოცდაათ-ორმოც ქვეყანაში.

ჩემს თურქეთში კი, ჩემს ენაზე, ჩემი დაბეჭდვა

აკრძალულია.

არა, კიბოთი არ ვყოფილვარ ავად არასდროს,

თუმცა ეს არ არის სავალდებულო.

არა, მინისტრი არ ვიქნები, გამოგიტყდებით

არც მაქვს სურვილი მინისტრობის.

ოში არ ვიყავ,

თავშესაფარში არ ჩავსულვარ, არ ჩამიხედავს,

არ გავქცევივარ მოპიკირე თვითმფრინავს შიშით,

სამაგიეროდ გავმიჯნურდი სამოცი წლისა.

მოკლედ რომ მოვჭრა, ამხანაგებო,

დღეს თუ ძალღვივით მე ვიხრჩობი განშორებისგან,

ქვეყნად ვცხოვრობდი ისე, როგორც ადამიანი

და კვლავ ვიცხოვრებ,

და ვინ იცის, რას მოვგვწრები,

ან რას გამოვცდი!

ამ დღეებში შესრულდა შესანიშნავი თურქი პოეტის, დრამატურგისა და პუბლიცისტის — ნაზიმ ჰიქმეთის დაბადების 70 წლისთავი.

მე მქონდა ბედნიერება ბევრჯერ შევხვედროდი ნაზიმ ჰიქმეთს, შევხვედროდი მოსკოვშიც და საქართველოშიც.

გავიცანი მაშინ, როცა მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა მოთხოვნით თურქეთის მთავრობამ ციხის კარები გაუღო ამ გატრეხელ რევოლუციონერს და იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქს ეწვია.

უფრო ადრე საგანგებო მიტინგზე, რომელიც მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში შედგა, პოეტმა-მთარგმნელმა ნაზიმ გრებნერმა წაითხა ჩემი ლექსი „იხსენით იგი!“

მერცხალს ცა უნდა საასპარეზოდ,
გემს — ოკეანე ღურჭლად გაშლილი,
აყვნის თავს — დედის ხმა სააღერსო,
გულს — მეგობრობის მძლავრი კავშირი,
სიმღერას — სივრცე, ცასავით ფართო,

პოეტს — მათრი და გააფხუული! —
ის კი მადალი აზრის მხაზური
ოთხ კედელს შუა რადა ზის მარტო?
რად ზის დიღეში თორმეტი წელი?
რატომ სდარაჯობს კარებს ასკერი?
ხალხო მართალო, ასწიე ხელი
და შენ სთქვი სიტყვა უკანასკნელი.
ამ სიტყვას უსმენს ჰიქმეთის გული,
მღელვარე გული იხსენით ჩქარა,
უთხარით ძმობა და სიყვარული
მას, ვინც ძმობისთვის იბრძოდა მარად.
ვისაც თავისი ბავშვობა ახსოვს
და ახსოვს ღიქსის თუნდ ერთი ბჭყარი,
წამოდგეს ახლა, ხმა აღმიმადლოს
და დაიძახოს: — გაუღეთ კარი!

1950 წელს ეს ლექსი ლენინგრადის ეურნალმა „ზევზამ“ გამოაქვეყნა.

მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალური სახლის იმავე დარბაზში, სადაც ჰიქმეთის ტყვეობის წინა-აღმდეგ ხმა აღმიმადლოს საბჭოთა ლიტერატურის

წარმომადგენლებმა, გავიცანი იგი; ხელი ჩამოვართვი იმ კაცს, ვინც სხვადასხვა დროს 17 წელი გაატარა საბატორში და მის ვიწრო კედლებშივე შექმნა საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები „ადამიანური პანორამა“, „ლეგენდა სიყვარულზე“, „იოსებ შშვენიერი“...

მაღე ნაზიმ ჰიქმეთი საქართველოსაც ეწვია. სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მეც შევხვდი მას. მეც სიყვარულით წარმოვთქვი მისი სადღეგრძელო და ამ სადღეგრძელოში ბრწყინვალე თურქი პოეტისადმი ჩვენი ხალხის ღრმა პატივისცემის გრძნობა გამოვხატე.

ნაზიმ ჰიქმეთს საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. მე აქ არ ვილაპარაკებ ამის შესახებ, რადგანაც მისი ლექსი „ავტობიოგრაფია“, ქართულად ჩემს მიერ თარგმნილი, უკეთ გავაცნობს ავტორის — მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის მშფოთვარე ცხოვრებას. დაუშვამებ მხოლოდ იმას, რაც მის ლექსში არ არის აღნიშნული: 1963 წელს შეწყდა გულისცემა 61 წლის მეგრძობლი პოეტისა.

ხუტა ბერულაშა



ერთგული ისევ, დღესაც უცდომლად
 მზე შემოვიდა დილაზე ადრე
 და ზაფრანისფერ აღმავლელ ზოლად
 გაწვა ფარდიდან ჩემს დივანამდე.
 მზემ გადაღება მხურვალ ოქროთი
 სოფლის სახლები, მერვობელი ტყე,
 ჩემს სველ ბალიშზე ზითქოს მოგროვდა
 და გააღვივა საწოლის კუთხე.
 მე მომაგონდა, ასე ცივი და
 სველი რად იყო ჩემი ბალიში:
 მესიზმრა, რომ ჩემს გასაცილებლად
 თქვენ მიჰყვებოდით ერთმანეთს რიგში.
 თქვენ მოდიოდით ჭკუფად იმ ძველ გზით;
 უცებ ვიღაცამ თქვა და ენიშნა:
 დღეს არის ძველით აგვისტოს ექვსი,
 ფერისცვალება ღვთისა ჩვენისა.
 ნათელს გამოსცემს თაბორი ამ დღეს,
 მთიდან აშუქებს სხივი უაღლო,
 და შემოდგომას, როგორც ნიშანსვეტს,

ქარა



თვალს აპყრობს ყველა, უნმოდ უგალობს...
 თქვენ გადასტყვით მთროლო საფლოსივით
 საცოდავი და თხელი თხემლნარი;
 ტყე ენთო სოფლის სასაფლაოსი,
 როგორც შაქარი წითლად შემდნარი.
 ხეთა გარინდულ კენწეროს ისევ
 ემიჯნებოდა ცა მდელიდურად
 და მამლის ხმაზე — გაშლილი სივრცე
 გადაჰყვებოდა სივრცეს გაბმულად.
 მიწისმზომივით ცივად მელოდა —
 იდგა სიკვდილი საფლავის ბჭესთან
 და მკვდარ სახეში შემომტკეეროდა,
 რომ ჩემი ზომის ორმო გაეჭრა.
 ყველას ესმოდა, როგორც ბოლოთქმა,
 იქვე ვიღაცის სიტყვა ხშიერი.
 ეს იყო ჩემი უწინდელი ზმა,
 ხელმეუბები სრწნადობის მიერ:
 „მშვიდობით, ცაო ფერისცვალების
 და ოქროსფერო მაცოცხრის მხარევი!
 დამიცხრე ქალის ბოლო აღერსით
 საბედისწერო წუთის სიმწარე.
 მშვიდობით წიღებო მწელებლობაო,
 მშვიდობით, ქალო, ვინც არაერთგზის
 შებმინარ ურიცხვ დამიცერებათა!
 შენი ამბოზის ვარ ასპარეზი.
 მშვიდობით, გაშლილ ფრთის სასწაულო
 და ღილი ქროლვის შეუბოვრობავ,
 და ქვეყნის ხატო, სიტყვაში თქმულო, —
 შემოქმედებავ და ჯადოქრობავ“.

შენ ცოცხლობ, მე კი აღარ ვარ მეტად.
 და ქარი მოთქმით და სამდურავით
 არწევს ტყესა და სახლის სახურავს.
 ის თითო ფიჭვს კი არ არხევს კენჭად,
 მთელ ტყეს ერთბაშად შეაბამს ზარებს
 და შეაქანებს სივრცესთან ერთად,
 როგორც აფრიან გემების ძარებს
 ზღვის წყნარ ყურეში, ნავსაყუდელთან.
 და ამით კი არ ვაქაცობს განგებ,
 და არც უმიზნო რისხვით იმდევრება, —
 სევდაში ეძებს სიტყვებს და მანგებს,
 იგნანის რომ გიხსრას სიმღერა.

თარგმნა გურამ ძანბაძემ.

აქაი შინძე

„ღამხედ“ ქართლის მაგნიანუმი

ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი ერთგან იკითხებ-
 ბა: „ვიდრედა იყო ბაგრატი საბერძნეთს, ითხოვა ლიბარტი ძე ბაგრატიის გიორგი მეფედ და მხედ. მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა“.¹

„ქართლის ცხოვრების“ კრიტიკულ-მეცნიერულ გამოცემაში, სადაც ყველა ხელნაწერის ვარიანტებია გათვალისწინებული, სათანადო ადგილი ძირითად ტექსტში ასე დაიბეჭდა: „ვიდრედა იყო ბაგრატი საბერძნეთს, ითხოვა ლიბარტი ძე ბაგრატიის, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა“² ხოლო ქვეშ ჩატანილი ვარიანტებია: ვიდრედა (AC), ვიდრე cet; მეფედ CMm) + და მხედ (E და მხედ), მტედ უ ო რ დ. ქრ. I, 198; რათა C<cet; მოსცეს) და მოსცა Mm; მისმან <Mm.

როგორც აქედან ჩანს, „და მხედ“ არ მოიპოვება CMm-ში. სხვა ხელნაწერთაგან ყველაში ყოფილა და ერთ მათგანში (E-ში) შეერთებით დაწერილი („და მხედ“). ამას გარდა, „რათა“ მართლ C-ში ყოფილა, ხოლო „და მოსცა“ Mm-ში. ამგვარად, აღდგენილ ტექსტში ანასეული ხელნაწერის (და სხვების) „მოსცეს“ დარჩენილა, მაგრამ C ხელნაწერიდან შემოტანილი „რათა“ კავშირის წყალობით მას სხვა გრამატიკული მნიშვნელობა შეუტენია: წვეტილიდან II კავშირებითში გადასულა და მრავლობითიდან მხოლოდობითში (მოსცეს მათ > რათა მოსცეს მან). ამას გარდა, ძირითად ტექსტიდან სულ მთლად დაიკარგა „და მხედ“. აქვს კი ასეთ ოპერაციას გამართლება? მე მგონია, არა. იმიტომ რომ და მხედ (უნდა დაიწეროს ერთად!) ძველი ქართულის ჭუთვნილი სიტყვაა, იგი „ქართლის მათიანის“ ტექსტში თავის ადგილს არის და ძირითად ტექსტში უნდა მოხვედრილიყო და არა ვარიანტებში ჩეტანათ.

და მხედ ზმინედა (წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ფორმა ზედსართავისა) და ამას ნიშნავს: „მდაბლად“, როგორც შემდეგი მაგალითები გვი-

ჩვენებს: „და ესრეთ აღდგა იობ, დაიბო სამოსელი თჳსი და და მხედ თაყუანისცა უფალსა პირსა ჴედა თჳსსა“ (იობ 1, 20); და დაფარდა დავით, და მხედ (Xamat) თაყუანის-სცა მას (I მეფ. 24, მ ოპ-ათონური ხელნაწერის მიხედვით); ესე უოველი მიგცე შენ, უკეთუ დაჰვარდე და და მხედ თაყუანის-მცე მე“ (სვან. მრავალთავი, 400ა).

როგორც მოყვანილი მაგალითების ორთოგრაფიიდან ჩანს, და მხედ ხანინის სიტყვაა, მაგრამ ი. პეტრიწის ნაწერებში სათანადო ზედსართავი მოყვანილია ორივე ბარისბის ფორმით: დადებითი ხანით (და მხედ), უფროსობითისა ქართი (უღამქეეს); „შესთა და და მხედ“ (II, 58, 4), „რომელიმე და მხედ და უშორესრე თჳს“ (II, 67; 16); რააზომ უღამქეეს იყოს ძალითა“ (I, 80, 27). როგორც I ტომის გამოცემელი ს. ყაუხჩიშვილი³ აღნიშნავს ამ ტომზე დართულ ქართულ-ბერძნულ ლექსიკონში (გვ. 186), და მხედ გადმოგვცემს ბერძნ. ἡπιον-ს (და მხედ და უშორესრე), უ და მქეეს კი — ἰππεμενος-ს ს.-ს. ორბელიანი სწორედ „იპეშირის“ იმეწმებს და ასეთ ახსნას იძლევა: და მხედ — დაბლა, ზეშთა — მაღლა.


„ღამხედ“ სიტყვის ეტიმოლოგია ნათლად არ ჩანს, მაგრამ რომ იგი ძველის-ძველად ხანით გამოითქმოდა ეს თითქო უტყველი არ უნდა იყოს.

ზემო თქმულის შემდეგ „ქართლის მათიანის“ მოყვანილი ნაწვეტი შეიძლება ისე დავტოვოთ, როგორც ანასეულ ხელნაწერშია, ოღონდ „და მხედ“ უნდა შევაერთოთ. გვექნება: „ვიდრედა იყო ბაგრატი საბერძნეთს, ითხოვა ლიბარტი ძე ბაგრატიის გიორგი მეფედ და მხედ. მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა“ აქ „ითხოვა... მეფედ და მხედ“ ნიშნავს: „მეფედ ითხოვა ძალიან დაბლა თავის დადრეკით“, ე. ი. ძალიან უხევეწნით. შეიძლება თავდაპირველად უფრო გარკვევითაც იყო მოთხრობილი: „ითხოვა... მეფედ თაყუანისცემითა და მხედ“ (ან როგორმე სხვაგვარად, ვთქვათ ასე: „ითხოვა... მეფედ და თაყუანის-სცა და მხედ“). მაგრამ გადამწერი ვერ გატყვა ტექსტში და „თაყუანისცემითა“ გამოტოვა. ან შეიძლება დედანში მთელი სტრიქონი იყო „მეფედ“ სიტყვასა და „და მხედ“-ს შორის, მათი ერთნაირი დაბოლოების გამო თვლი დაუტურდა ტექსტის გადამწერს და გამოჩა სიტყვა ან სიტყვები. ყოველ შემთხვევაში „ქართლის მათიანის“ მოყვანილ ნაწვეტში „და მხედ“ საჭირო სიტყვაა და მისი ძირითად ტექსტში აღდგენა აუცილებელია.

¹ ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1942, გვ. 189.

² ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955, გვ. 304.

³ ბაქარისეულ გამოცემაში ამის ნაცვლად იკითხება: და დაფარდა დავით მიწამ დე (მის თჳსი) პირთა მისითა და თაყუანის-სცა მას.



წინა პარაფრაზი

მ. მ. ბ. მ. ბ.

დღეს ცრემლები მოგვარა ზვილის განზრახვამ. ეს სიხარული ცრემლები იყო. მშობლისათვის ხომ დიდი ბედნიერებაა, როცა ხედავს, რომ მის ამაღს ტყუილად არ ჩაუვლია. მისი ზვილი სხეულებით ვუყავია, ძალ-ღონე ერჩის, ქვეყნის სიყვარულით ამგვარებული გული ფრონტზე მიუწევს, ამ გაჭირვების უამს სურს საშობლოს ემსახუროს.

სამედიცინო კომისიამ იმედის სურვილი დააკმაყოფილა და ჯარში გაიწვიეს. ბიჭს თითქოს ძალი მოემატა, მის გონებაში ნელ-ნელა ამოცვივდა აზრი, რომ ის სულაც არ არის ვინმეზე ნაკლები!

ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ იმედის სითამამე ეყო და პატარა ციკლოპს ხელით ირინეს ბარათი გაუგზავნა, ორი წუთით გზაზე გამოდი, მინდა გამოგვთხოვო.

ვინ იცის იქნებ შინ ვეღარ დაბრუნდეს. მაშ, რატომ არ უნდა გაანდოს ირინეს თავისი ზვანადი. მერე ეყოფა გამბედაობა, რომ უთხრას ყოველივე ის, რასაც გრძობს, რასაც განიცდის? მაშ, საოცრება არ არის! გასცვივების ღრუბლებში მავალ მთვარეს და, ასე ჰგონია, რომ ისიც მას უტყურობს ირინეს შოშინარე თვალბით. მდინარის ჩხრიალში კი მისი მოკისის ხმა ესმის.

არც კარი იგაჭირალებულა, არც ფეხის ხმა გაუგონია, ისე იგრძნო, რომ ირინე გზაზე გამოვიდა. იმედა ერთბაშად შეტრიალდა. ქალიშვილი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას.

— ეს შენ ხარ?! ვეღარ გიცანი! — შორიდანვე უთხრა ირინემ.

- ჰო, მე ვარ!
- რატომ დამიძახებ?
- მინდა გამოგვეშვიდობო!
- რა სულსწრაფი ყოფილხარ, ხვალ არ მიდინარ?

— სათქმელი მაქვს!
— გისმენ, მითხარი!
იმედის კრიკა შეტყრა, ვერაფრის თქმა მოახერხა. ისევ ირინე ალაპარაკდა:

— აბა, შენ იცი როგორ იბრძობებ, იქნებ თავიც ისახელო! — და რატომღაც იცინა, მაგრამ ეტყობა მისვლა, რომ ეს სრულიად ზედმეტი იყო, მაშინვე დაუმატა: — ვისზე რა ნაკლები ხარ! შენც შეგიძლია ბრძოლაში თავის გამოჩენა!

— გამოდობი!
— მაშ, ხვალამდე! — და ირინემ ხელი გაუწოდა.

იმედა დაიბნა, ვეღარაფრის ახერხებდა, ენას პირში ვერ იბრუნებდა. ემ, რამდენს ოცნებობდა ამ ნეტარ წუთზე, რა ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი?! მან კი ესეც ძლივს მოახერხა:

— ირინე მომისმინე!
— რიღას თქმა გინდა! — გაიოცა ირინემ.
ბიჭს თვალში დაუბნელდა, მუხლი მოკვეთა. ალბათ წაბოროტებდა, რომ ქალიშვილისათვის მკლავში ხელი არ წავედლო.

ირინემ იწყინა ეს, იკანზე გაიწია.
— იცი რა... იტხოვ, იტყვი, ნება მომცე, შენი ხელი იგულში ჩავიკრა.

— ამას როგორ ბედავ, ვინა იგონივარ!
— ირინე, ვათუ ვეღარ დავბრუნდე. მინდა რომ ჩემს თითებს შენი ხელის სითბო შემოჩრჩეს, უფრო შენი ხმა ჩამისმოდეს, გულში შენი სიყვარულის ნაპერწკალი დვიოდეს.

— კარგად ბრძანდებოდე, ვისურვებ წარმატებას, შენ უფროსად დაბრუნებას! — ირინემ ერთბაშად ზურგი შეაქცია და წინსაკენ გასწია. თან ეს ყველაფერი ისე იცავდა, ვითომ აღფრთოვებული იყო, იგულში კი უხაროდა, რომ იმედაც კი ასე მოხიბდა. ის კი არ იცოდა, ან საიდან შეეძლო სცოდნოდა, როგორ მოსპო და გაანადგურა ისედაც დაბერებული ბიჭი.

„მე კეთილი, სათნო ადამიანად გთვლიდი, შენ კი, თურმე, როგორი ყოფილხარ!“ — უნდოდა ეთქვა იმედს, მაგრამ კრინტი ვერ დასძრა. უძრავად იდგა და ერთი ფიქრი უტრიალებდა — ოჰ, ნეტავი მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოსო.

* * *

მოწინავე პოზიციაზე მიმავალი რაშიმ ტყისპირას შეჩერდა, წაძვის ტოტებით შენიღბულ, მიწურთან, სადაც ბატალიონის მეთაურის სათვალთვალო პუნქტი იყო. მებრძოლებმა წუთით ჩამოხსლეს, მაგრამ თამბაქოს იგახვევაც ვერ მოასწრეს, რომ ლიტენანტმა მარჯვენა ხელი გაიშვირა და ბრძანა: — დადგით!

მეორეები რომ დამწკრივდნენ, მიწურის ჩახაძროში ჭერ შავი ფაფაში გამოჩნდა, მერე თეთრ-ქურქიანი ბრვე ვაჟაკი ამოიხაროდა.

მაიორმა რაშიმს გასწვრივ გაიარა, თან ისეთი ცნობისმოყვარეობით აცქერებდა ჯარისკაცებს, თითქოს ცდილობს თითოეული მათგანის სახის დამახსოვრებასო.

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 2.

და ის იყო, მაიორს წინა ხაზიდან მოსული მეკავშირე ჯარისკაცი შეეფთა თვალბში, ბატალიონის მეთაურს გამოეკიმა და სთხოვა, ნება მომეცით მოგახსენოთ; მაიორის თანხმობის შემდეგ მან დაიწყო:

— ამხანაგო მაიორო, პოლიტბელმა დამავალა გადმოგცეთ, რომ ოთხი მებრძოლი გამოჰყოთ, ტანკების გამანადგურებელთა ჯგუფში გასაგზავნად! მაიორი ლიტენანტს მიუბრუნდა:

— ოთხი მებრძოლი გამოჰყავით... სიტყვა ტანკი იმამად შეტისმეტად შემზარავად ისმოდა. როცა ლიტენანტმა ჯარისკაცებს მიმართა, ვის ვსურთ ტანკების გამანადგურებელთა ჯგუფში წასვლას, არც ერთს ხელი არ აუწევია.

„ისეთი ბედი მაქვს, ნამდვილად მე გამაწვეს ბენიო!“ — ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო იმედამ, რომ ლიტენანტმა ბრძანა:

— მიწურის ბოლოდან ოთხი ჯარისკაცი ორი ნაბიჯით წინ!

მიწურის სიმაღლით არავის დაუყენებია, მაგრამ ჩვეულებისამებრ, რაილა იმედა დაბალი იყო, ყველთვის თვითონ დგებოდა ბოლოში, ეტყობა ასევე იქცეოდნენ წინ გამოსული ჯარისკაცები — პროსკურინი, პეტროვი და ორლოვი, მასვით დაბალტანინები რომ იყვნენ.

მაიორმა მოუწონა ლიტენანტს გადაწყვეტილება, ტანკების გამანადგურებელთა ტანდაბალი ჯარისკაცები უფრო ივარგებენ, სანჯარშიც ადვილად დაიმალებიან, ტანკებსაც შეუმჩნევლად მიუპარებიათ.

მეკავშირემ ტანკების გამანადგურებელთა ჯგუფში გამწესებული მეორეები ვიწრო ბილით ოციოდე წუთი ატარა და გზის პირას პატარა მიწურთან მიიყვანა.

მიწური ისე დაბალი იყო, ჯარისკაცებს უჭირდათ წელში გამართვა, ამიტომ მხედრულად კი არა, ისე, ჩვეულებრივ მიესალმნენ მეთაურს, ჩამქრალ ღუმელთან რომ იჯდა.

— გამარჯობა! — მიუგო ლიტენანტმა და ხელები მოიფშვინა. — იცით რას გირჩევთ, ბიჭებო, დაწვეით ნარზე, დაისვენეთ. მერე ყველაფერს ავიხსნით და საგუზავოზე გავალთ. გასაგებია?!

— გასაგებია! — მიუგო პროსკურინმა ყველას ნაცვლად.

ნარი მიწისა იყო, ზედ ნაშა გაეფინათ. ჯარისკაცები ნარზე აუფლდნენ და ერთმანეთის გვერდით დაწვეს.

ჯარისკაცმა ორლოვმა, ამხანაგებმა ძილის გულდა რომ შეარქვეს, დაწოლისთანავე ისეთი გემრიელი ხვრინავა ამოუშვა, თითქოს ბუმბულის ლოგინში ნებიერობსო.

იმედა გულში შენატროდა ორლოვს, თვითონაც ცდილობდა ჩაეძინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

მაშ, ეს საქმე? თავლები ებლიტებოდა, ზეზეულა თვლებმა, ახლა კი ნარზე წევს და ვერ იძინებს. ემ, ან ასე უცებ როგორ დაეძინება.

მალე მტრის პირისპირა დადგება. ნუთუ მარტო მოუწევს საგუზავოზე ყოფნა. ისე კი, იმას არაფერი სჭოხია, გვერდში ამხანაგი რომ იდგებოდა.

ტკბილ ბურანში წავიდა, დათბა, სახსრებმა შეება იგრძნეს, ესინარა ვითომ შინ იყო, თბილად და რბილად იწვა საწოლზე, ახალი გამოცხვარი ზაქაპურის საშაო სუნე ტრიალებდა ოთახში. დედის ხმავე შემოესმა: „შვილო, სკოლაში გავვიანდებ, ადგილი. ის კი არ დგებოდა, შეტისმეტად ტკბილი, საამო იყო დილის ძილი. „ადეკი“ — ამჭერად ვიდაცის ყვირილი იგაგონა, ვინ უნდა იყოს? დედა ხომ არასოდეს არ უყვიროდა? იმ დროსაც ფეხში ხელი სტაცა და საწოლიდან ითრგვს.

— ეს რა მძინარე ყოფილხარ, ძლივს არ გაგადვიდე! — ამბობდა ლიტენანტი.

ისედაც სიბნელეს შეჩვეულმა იმედამ გარკვევით დაინახა მეთაური. იგი გამხდარი, პირხმელი ახალგაზრდა კაცი იყო. ცრემლი ბაქნებარდები და პატარა კონტა უღვაშები ჰქონდა. დინჯი, შებოხებული ხმით ლაპარაკობდა.

ყველას უკვე დევძია, მეთაურმა მიწურის კუთხეში მიდგმულ ყუთიდან სითხით სავსე ბოთლი აიღო, ჯარისკაცებს უჩვენა და შეეკითხა:

- ვინ მიპასუხებს ეს რა ხილია?
- სპირტია, ამხანაგო მეთაურო! — თქვა გაუბედავად ბოლოს ორლოვმა.
- ვერ მოგართვს.
- აბა, მაშ, რა არი?
- რა და... — მეთაური შეჩერდა, თითქოს სიტყვის შეშველებას ელოდებო, მაგრამ ჯარისკაცები დუმლით შესცქეროდნენ ბოთლს და გაკვირვების ნიშნად თავს აქნევდნენ.
- რა და... — კვლავ გაიმეორა ლიტენანტმა და მერე ყოველი ასოს შეაფიო გამოთქმით თქვა: — განსაკუთრებული საწვავი სითხეა! ამით მტრის ტანკები უნდა დაწვეთ. ეს ასე კეთდება... რაილა ტანკები მხოლოდ გზებზე მოიწვევენ წინ, ჩვენ გზის პირას სანჯარებში ფუსაფერდებით მათ. მტერმა ვერ უნდა შეგვიზნოს, ისე კი, იცოდეთ, ტანკისტები

ვიწრო ხვრელებიდან ვერაფერსაც ვერ ხედავენ. დაიხ, დაიხ, ამაში თქვენ თვითონაც დარწმუნდებით. ტანკი რომ მოგახლოვდებოდა, არ უნდა შეშინდეთ, არ უნდა შედრკეთ, ყოჩაღად წამოხტეთ, სახსლეთი გამოსწიოთ და ბოთლი ესროლოთ. ასანთივით ისე ერთბაშად აპრიალდებო, რომ თავზარდაცემული გერმანელები სარკველის ახდას და გადმოხტომას ვერ მოასწრებენ. იცოდეთ, დილაზე მოსალოდნელია შეტევა. კვლავ გიმეორებთ, არ შედრკეთ, არ შეშინდეთ, უკან არ დაიხიოთ!

ამასობაში ათეულის მეთაური მოვიდა, მიწურში არც ჩასულა, ისე ჩასძახა: — ამხანაგო ლიტენანტო, ცვლა გამოვიდეს!

— ახლავე! — უპასუხა მეთაურმა და ჯარისკაცებს მიმართა: აბა, უოჩაღად, ბიჭებო, მთავარი ჩიიცვით, ჩაუხტებო დაიხტებო. ათეულის მეთაური წაგვიყვანთ საგუზავოზე.

კა უფრო მოლოდინულიყო, თან ისეთი ნისლი იდგა, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ყინვას მოემატა.

ისინი ტოტებდამსხვრეულ ნორჩ ნაძვის ტყეში მიდიოდნენ. აქეთ-იქით წანამტრული ნაუშობარევი ორმოები იყო. მტრფესვიანად ამოგლიჯილ ხეებს ალაგ-ალაგ ბილიკი რომ ჩაუხტებოდა, გზას უქცევდნენ და მუხლებდამდე თოვლს მობარდევდნენ.

— აფერ, იმ ნაძვთან ორბა, — თქვა ათმეთაურმა და ხელი გაიშვირა, — მთავრე ორმო კი, მის მარჯვენა მხარეს, ოლონდ ოღნავ წინ, თოვლის პატარა გორაკთანაა. ხედავთ, არა?

— ვხედავთ, — მიუგეს ჯარისკაცებმა.

— მაშ ორი აქ დაჩიოთ. თქვენ კი მომეყვით, — და პროსკურინსა და მორჩილადქს დაადო ხელი.

პირველ ორმოსთან ორ ნაბიჯზე რომ მივიდნენ, მხოლოდ მამინ დაინახეს, შიგ სიცივისაგან გათოშული ჯარისკაცი დახტუნაობდა.

— გეყოფა ცეკვა, ამოდი, ცვლა მოვიდა! — უბრძანა მას ათმეთაურმა და პროსკურინს მიუბრუნდა. — შენ კი მისი ადგილი დაიკავე!

ჯარისკაცს გაუჩინო ხელთათმანები, თითებს რომ ვეღარ უთბობდა, დამუშტულ ხელებზე ჩვრებივით ჩამოკონწალებოდა. ამიტომ შაშხანა ხელში კი არ აიღო, მკლავები მოხვია, მკერდზე მიიკრა, ორმოდან ძლივს ამოფოხებდა და იქით გაიქცა, საცა ათმეთაურმა ორი ჯარისკაცი დატოვა.

პროსკურინმა მისი ადგილი დაიკავა. ათმეთაურმა მორჩილადქს ხელით ანიშნა, მომეყვით, და მთავრე საგუზავოზე გასწია.

აქც ასეთივე ორმო იყო. ფარაჯში ჩაბუნდული ჯარისკაცი, თოვლისათვის ხელები რომ შემოგვინა, გულურსასვით კედელზე მიყრდნობილი იდგა.

— შენ რა, ხომ არ გძინავს! — ჩასძახა მას ათმეთაურმა.

— კი არ მძინავს, ზეზეულა იცავიჩხე! — უპასუხა ჯარისკაცმა და მეთაურის ბრძანებას არც დალოდებოდა, ისე ამოფოხებდა ორმოდან. მორჩილადქს კი ორმოში ჩაბტა.

ორმოს წინ კვადრატებად მოჭრილი თოვლის ბეღტებით ნახევარ მტრის სიმაღლის მორკალული ბრუსტერი აეყვანათ. შიგ სათოფურები დაიტანებოთ.

იმედამ მიწურში ჩასვლისას თქვის ფეხსაცმელებიდან თოვლი კარგად ვერ გაიკვალა. სითბოში თოვლი იგადა და ფეხსაცმლის ძირები დაუსხველდა, ამიტომ ფეხებზე უცებ შესცივდა. ფეხის თითებს შლიდა და კუმშავდა, ადგილზე ხტუნაობდა. ნელ-ნელა სიცივე ტანშიც იკაჟდა. თოვლი ორმოს კედელზე მიიყვანდა, ორმო ვიწრო იყო და მკლავს ვანზე იკაშლა უჭირდა. სათვალთვალე ზვრელში ნაკლებად იხედებოდა, რადგან საშინელი ქარბუქი მძვინვარებდა და ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა.

უცებ ჩამოხტებოდა. ყინვამ უფრო უმატა. სანამ სინათლე იყო, მტრის პოზიციებიდან დროდარო შორსმაროული ქვეშებები გრუსუნებდნენ, დაბნელებისთანავე კი აკვანდნენ ტყევა-



მგრკვევები. მანათობელი ტყვიების მრავალწერ-
ტული ვარდივარდო სტრავდა სიხნელს. ზედისედე
აიქრენ ცაში შუშხუნები და ირგვლივ ყველაფე-
რი განათდა.

რა ახლო ყოფილა მტრის პოზიციები! ორასიო-
დე ნაბიჯიც არ იქნება, ჭერ ნახევარი საათიც არ
გასულა, რაც საფუშაგოზე და მეტის ატანა აღარ
შეუძლია. ოთხ საათს როგორ გასძლებს?! თუ უფ-
რო მეტ ხანს მოუწია აქ დგომა, კიდევაც რომ არ
გაიყინოს, კვლავ შეიშლება. ეჰ, ნეტავი როდის
გავა დარჩენილი დრო! ბრძოლაში სხვაზე ნაკლებ
არ გამოიჩინს თავს, არაფრისა შეეშინდება, სი-
ცოცხლეს გასწირავს, მაგრამ ამ საშინელ ყინვას
როგორ გაუძლოს. სიცვივე აგერ, ძვალ-რბილში
გაუჭდა, ხელ-ფეხი შეებოძა, სუნთქვა ეკვრის,
ფეხის თითებს ვეღარცა გრძნობს, ვინ იცის, იქნებ
მოეყინა კიდეც?!

შეზობელ ორმოციდან პროსკურინის სიმღერა შე-
მოესმა.

აღმათ სიცვიით ძაგაძებებს, ორმოში დახტუ-
ნაობს და ნეტავი რა ეძებება?! საწყალს, მერე რა
დღივი ტანჯვა-წვალება აქვს გამოვლილი. ომის და-
წყებას პირველ დღიდანვე ფრონტზეა, ორჯერ და-
ჭრილა, ერთხელ მსუბუქად ფეხში, მეორედ კი
კურვის ნახსხვრევი თავში მოხვედრია და გონება-
დაკარგული წაუყვანია ჰოსპიტალში. სამი თვე
უმკურნალიათ და ძლივს გაჯანსაღებულა. ადრე
თურმე იგულწარმობილი, მოწყენილი ხასიათისა
ყოფილა. სათადარიგო პოლკში კი პროსკურინი
სიმხარულით ეველასაგან გამოიჩინებოდა: ხუმრობ-
და, იცინოდა, გაუთავებელი მღეროდა.

ერთხელ მათი ქვეგანყოფი სასადლოში რომ
მიდიოდა, პროსკურინმა ხმადობა სიმღერა წა-
მოიწყო. შემდეგმა უბრძანა, შესწყვიტე სიმღერა,
როცა ბრძანება იქნება, სხვებთან ერთად იმღერო.
პროსკურინი გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე
თითქოს შემდეგის გამოსაჯერებლად ისევ ამ-
ღერდა.

— სასადლოში მიგხარია და იმღერებ, მამ
რა იქნება, ზოგი მამინ შუმოსახე ფრონტზე რომ
წახვალთ, — დაუყვირა შემდეგმა.

მოწინავეზე რომ მიდიოდნენ, პროსკურინი მა-
შინაც მღეროდა, მხიარულ ხასიათზე იყო, უმნიშ-
ველო რამეზე იცინოდა. ქალიშვილებს ხელით კოც-
ნას უგზავნიდა, თავისი გრძნობის გულწრფელობა
რომ დაემტკიცებინა, გადაჭვარტინებულ მკლავებს
მკერდზე იკრავდა, ვითომდა ნეტარების გამოსახა-
ტავად თვალებს ხუჭავდა, სახეს მანკავდა. ტრახა-
ხობდა, რაც ქვეყანაზე ღამაში ქალიშვილია, ყვე-
ლას იგულში ვუჭვარო. ეს ჩემმა ცოლმაც იცის,
ეკვიანობს, და ამიტომ გაგაუებით ვუყვარვარ, შინ
რომ ვიყავ; გვერდებიდან არ მციოდებოდა, მარტო
არსად მიშვებდა, ნაბიჯს არ მდგმევიანებდა. სამუ-
შაოდან რომ გზარუნდებოდი, აივანზე მიგებებოდა,
მომიადრებდა, მომეფერებოდა. პალატოს გამ-
ხდია, კარგ სუფარას გამოიშობდა. მერე რა გემრი-
ელი საჭმელების კეთება იცოდა. ახლაც მახსოვს
მათი გემო. ნასადღევს ცოლი პიანინოს მიუჭდ-
ებოდა, მე კი ვიწვიქი საწოლზე, გემრიელიად პაპი-
როსს ვაბოლებდი და მუსიკას ვუსმენდი.

მთლად ჩამოხნულა. ცა მოიწმინდა, აქა-იქლა
ჩანდნენ სიფრიფანა ღრუბლები. თვალში დამარ-
ხული ყინულის ლაღვით ამოცურდა მთვარე. მის-
მა მტრთაღმა, ცივმა სხივებმა თითქოს ყინვას უფ-
რო მოუშატა სუსხი.

იმედს თვლის ხრამხარში შემოვსმა, აღ-
მათ, ცვლა მოდისო, გაიფიქრა და წამოყეუყეულავ-
და. შორაბლო პროსკურინის შეასწრო თვალი: იგი
მისკენ მოაბიჯებდა.

— შენ, ძმობილო, რას იყინები მაგ ორმოში,
ამოღო, გაიარ-გამოიარე, გახურდები! — დაუძახა
პროსკურინმა.

— მერე შეიძლება?
— ვითომ რატომ არ უნდა შეიძლებოდეს?
ჩვენს ზღუდეზე ვდგავართ. სულ ერთი არ არის,
ორმოში ვისხდები, თუ ბილიკზე ვირბენთ?!

იმედა ორმოდან ამოფოფხდა, თოფი მკლავზე
ჩამოიკონწიალა, რადგან გაყინული თითებით ხელ-
ში ვერ აიღო.

— აბა, ფეხი ამოწყვიტე! — უთხრა პროსკურინმა.
იმედა ამხანავს აედევნა.

როგორც კი გერმანელები მანათობელ შუშხუ-
ნებს გაისრადნენ, ორივენი მიწას ეკვროდნენ. სიბ-
ნელე რომ ჩამოწვებოდა, კვლავ ფეხზე დგებოდნენ
და სიარულს განაგრძობდნენ.

— ეს რა კარგი რამ მოლოქრე! იცი რა, ცოტა
გავხურდი, ფეხებიც ჭამითბა! — ამბობდა იმედა.
ისინი თითქმის ორი საათი მწყობრი ნაბიჯით
მიდი-მოდიოდნენ ორმოდან ორმომდე. არაქათი
გამოეცალათ, ფეხები ჩამოწყვდათ, მაგრამ ამას არა-
ფრად აგლებდნენ, რადგან მათ სძლიეს შემზარავ
ყინვას.

გაისმა თვლის ხრამხარში და ხმელი ტოტე-
ბის მსხვრევის ხმა.

სიბნელეში ნელი ნაბიჯით მომავალი ჭარისკა-
ციები გამოჩნდნენ.

პროსკურინი და იმედა უმაღლ თავთავიანთ ორ-
მოებში ჩახტნენ.

როცა ისინი შესცვალეს, ათმეთაურმა ორივე
შეაქო, ყოჩად, ბიჭებო, სიცვივს ვერაფერი დაუკ-
ლია, ზოგიერთივით არ მობუზუნობართ, მხნედ გა-
მოიყურებთო.

მიწურში ღუმელს ერთი ჭარისკაცი უჭდა,
ციცხლს ხმელ ფიჩხს უმარჯვებდა, თან ნება-ნება
წიკოს აბოლებდა... ლეიტენანტი და სამი ჭარისკა-
ცი ტახტზე იყვნენ.

ათმეთაურმა ღუმელთან მჭლომ ჭარისკაცს
უთხრა, გეყოფა წიკოს ბოლება, ისედაც მიწური
კვამლითაა სავსე, დაწყვიტე და დაიბინეო.

საგუშაგოდან მოსულები კი გააფრთხილა, თქვენ
ოთხი საათი უნდა იფიხლოთ, ღუმელს ფიჩხი
შეუკეთო, გათბით, თუ გინდა წიკოც გააბოლოეო.
ილონდ ნუ ილაპარაკებ, თორემ ბიჭები ისვენე-
ბენ და ძილს დაუფრთხობთო. მერე კუთხეში მიდ-
გმული ქვაბუნები უჩვენა. ულუფაა, შეათბეთ და
გემრიელად ივამშემთო.

ათმეთაური ტახტზე დაწვა.

ჭარისკაცებმა ჩაფხტები შეისხნეს, ხელ-ფეხი
ციცხლს მიუფიციცეს და კერძი ღუმელზე შეათბეს.

კარტოფლით შეზავებული მუხუნდოს წვენი შე-
თბა თუ არა, მიწურში მადის აღმძვრელი სამაშო
სუნე დატარებდა.

ჭარისკაცებმა სწრაფად მოუღეს საჭმელს ბო-
ლო, მერე აქეთ-იქით ჩამოსხდნენ.

სათითაოდ აცქერდებოდა იმედა ამხანავებს და
მათდამი სიბრალულითა და სიყვარულით იმსჯე-
ლებოდა. აღმათ, რომელიმე მათგანს, ან იქნებ
სამივეს დღეს-ხვალ სიცივლით უწერიათ?! ნეტავ
როგორმე შეეძლოს შეუშლუქოს ამხანავებს ხვე-
დრი, ანუგემოს, რამე სიცივტი მოუტანოს მათ...
მანაც უნდა აფიხლოს და მოდი ფანქრით დახა-
ტავს; მერე ვის რად უნდა ეს?! იმათ ხომ ჭერ არ
უბრძოლიათ, თოფიც არ გაუსროლიათ, არავითარ
იგმირობა არ ჩაუდენიათ?!

იმედამ საველე ჩანთიდან სახატავი რკვეული და
ფანქარი ამოიღო და ღუმელის კართან ახლო მიი-
წია.

ჭერ პროსკურინის დახატვა განიზარა; მაგრამ

მის მახვილ თვალს ხომ არაფერი გამოეპარებოდა,
და ამჭერადაც პირველმა შენიშნა, იმედს მუხ-
ლებზე გაშლილი რკვეული და ხელში მომარჯვე-
ბული ფანქარი.

— შენ რა, მორჩილად, სატრფოს წერილსა
სწერ? — შეეკითხა იგი.

— ჰო, მინდა პატარა ბარათი გაგუგზავნო.
— ეტყობა ძალიან გიყვარს! მისწერე, ამხანავი
პროსკურინიც გითვლის მოციონეს-თქო.

— ეჰ, შემოგანატრით, ბიჭებო, რომ კიდევ ასეთ
რამეებზე ფიქრობთ! — თქვა პეტროვმა და ისე
ჩაიციხა, თითქოს ისინი მართლაც რაღაც დიდ სი-
სულღეზე ბკობდნენ.

საგუშაგოდან მოსულმა ჭარისკაცებმა გაფიხსუ-
ლი ძვლები რომ გათბეს, უმაღლ ძილი მოერიათ.

ორლოვს ერთხელ მოსწულდა კისერი და ტყბი-
ლი ხვრინვა ამოუშვა, მუხლის თავებზე დაურდნო-
ბილ პროსკურინს ხელეში თავი ჩაერგო და მო-
გვიგოზე ცუცხლს მისჩერებოდა. მშვიდად, თანა-
ბრად სუნთქავდა, იტყოდით თვალდასა სძინავსო.
იქნებ ეძინა კიდეც?!

იმედს ძილი გაუფრთხა. მთელი მონღოლებით
ცდილობდა, როგორმე სწრაფად და ოსტატურად
გადაეტანა ტილოზე პროსკურინის სახე, მარტო
ისეთი კი არა, ახლა რომ ხედავდა, არამედ ისე-
თიც, როგორიც ტანკებთან მომავალ ბრძოლაში
ოცნების თვლით წარმოედგინა.

ღუმელის გარშემო მსხლომებმა განზე გაიწიეს,
რომ წარიღან ამდგარ ამხანავებისათვის გზა მიე-
ცათ.

როგორც დაშენატეს, დადლილ-დაქანცულ ადა-
მიანებს ჩვევით, დაწოლისთანავე ყველამ უცებ
ჩაიძინა. იმედაც ტყბილ ბურანში წავიდა, მაგრამ
თავიდან ვერ იცილებდა ფიქრს, რაც პროსკურინ-
ის ნათქვამზე აეკვიტა: რაც იქნება, იყოს, მოდი
და ირინეს წერილს მართლა გაგუგზავნო. სოფ-
ლიდან წამოსვლის უამს ირინე თვალს არიდებდა,
თითქოს ფრცხვინებოდა, მაგრამ გრძობდა, რომ
მთელი ფულისყური მისკენ ჰქონდა მოპყრობილი,
გამომშვიდობებისას ერთმანეთს შეხედეს. ახლაც
არ იცის, ასე იყო თუ მოეჩვენა, ქალიშვილის თვა-
ლებში რაღაც ნაღველი და ცრემლი აცოცხდა; იქ-
ნებ ირინემ იწინა კიდეც, თავდაპირველად ასე
მკაცრად რომ მოქეცა, კარგად ახსოვს, მანქანა
რომ დაიძრა, ქალიშვილი ერთავად მას მისჩერე-
ბოდა. მერე, როცა მანქანა დიდი სისწრაფით მი-
ქროდა, იმედს ისე მოეჩვენა, რომ შუა გზაზე გა-
ჩერებულად ირინე ხელს მხოლოდ მას უჩვენებდა.
ერთი სიტყვით, ირინეს წერილი უნდა მისწეროს.
მერე როდის გამოსახავს დროს?! ვაითუ, დილაზე
უთინა მტერმა შეტევა დაიწყო. ხომ შეიძლება
პირველსავე ბრძოლაში დაეცეს!

მეტისმეტად მტანჯველი, სულისამაფორიაქებე-
ლი ფიქრები ესტოდნენ. მანაც რაღაც იმედი ჰქონ-
და. თავი სასიცივდილოდ არავის ემტებდა და ყვე-
ლას ხანია გადავჩრებო. ბრძოლის ველზე ადა-
მიანებს ეს ამხნევებს, ანუგემებს, ასულდგმულებს.

* * *

იმედა და მისი ამხანავები ვათენებისას ხელმე-
ორედ იგვიდნენ საგუშაგოზე. მსუსხავ ყინვას ყვე-
ლაფერი შეებოძა, გაესუღრა.

აღარც ქვეშეშები გრუხუნებდნენ, აღარც ტყვია-
მგრკვევების კაქანი და თოფების ბათაბუთქი ის-
მოდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა.

იმედს სავშობოდანვე უყვარდა დილა. აი ახ-
ლაც, ირგვლივ ყველაფერი თოვლის დაუფარავს,
ყინვა მძინვარებს, მაგრამ მანაც რა საოცარი დი-
ლია. საცაა მშვე ამოვა, თუმცა მისი სხივებიც
თოვლილ მიწას ვერ გაათბობს, მაგრამ ქვეყანას გაა-
ბრწყინებს, ოჰ, ნეტავ არ სციოდეს, ხელში ფუნჯი
ქვირის და თუ ღამაში სურათი ქალღელზე გადა-
ქონდეს.

უცებ მოახლოებულმა ფეხის ხმამ იმედს ფიქ-
რის ძაფი შეუწყვიტა. გვერდით მიხედვაც ვერ
მოასწრო, რომ პროსკურინის ხმა გაიგონა:

— ამოღო, გუშინდელივით ცოტა კიდევ გავი-
ართო...

— საშინია, ვაითუ გერმანელებმა დაგვიანონ
— ამოღო, თორემ ზეზეული გავიყინებო.

იმედა ორმოდან ამოფოფხდა, თოფი მხარზე
მოთვლო და ის იყო ამხანავს უნდა ამოეცალა, რომ
მტრის მხარეს ორი მიწუვარაქიანი ჭარისკაცი დაინა-
ხა, ყურებზე პილოტურები ჩამოეფხატათ.

— პროსკურინ, გერმანელები, დაწყვიტე — შეს-
ძახა შემკრთალი ხმით იმედამ და მიწას გაეკრა.
პროსკურინი წილში კი მოხარა, მაგრამ არ
დაწოლილა.

— სად ზედავ გერმანელები?
— აგერ, აი ბურქებთან! — და იმედამ ხელით
ანიშნა. ისინიც ორნი იყვნენ, გერმანელებმა თით-
ქოს იგრძნეს, რომ უთვალთვალდნენ და უცებ
შეჩრდნენ. ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებო-
დნენ, ხელებს შლიდნენ, მტრის იჩქინდნენ, ბოლოს
წახრილებმა თავთავიანთ ორმოებს მიამურეს.

ერთი ფიგნის გედი

ასორმოკლდათი წელი, მთელი საუკუნუნახევარი, ეს უზარმაზარი ფოლიანტი — ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი ხელუბლებლად იღო მუხუდუმის დამტვერილ თაროზე, და მხოლოდ ახლა, მიმდინარე წელს იხილა მან მზის სინათლე; გამოსაცემად იგი მოამზადა ცნობილმა ქართველმა ფილოლოგმა და ენათმეცნიერმა ალექსანდრე ლლონტმა, გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

საინტერესოა ბედი ამ წიგნისა და უფრო მეტად მისი ავტორისა; 1824-1825 წლები... პეტერბურგში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, აზიის დეპარტამენტის მთარგმნელები სჭირდებოდა. მათ ავროპელები იმპერიის ყველა კუთხეში. დეპარტამენტში ცნობილი ხდება, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად მუშაობს ერთი ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელმაც კარგად იცის არაბული, სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური, ძველ სლავური, რუსული, ქართული, სომხური, აგრეთვე ევროპული ენები... თბილისში სასწავლოდ ჩამოიღის ფელდეგერი, და ნიკო (ნიკოლოზ დავითის-ძე) ჩუბინაშვილი პეტერბურგში მიჰყავს... ამ დროისათვის ჩუბინაშვილს შედგენილი აქვს რუსული ენის გრამატიკა (1820 წ.), რომელსაც თავისი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს, და დაწყებული აქვს ფუნდამენტური შრომა, რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელზეც მან ოცი წელი იმუშავა.

პეტერბურგში ნიკო ჩუბინაშვილი მუშაობას იწყებს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტში მთარგმნელად; ამასთან, გულმოდგი-

ნერ განაგრძობს მუშაობას ლექსიკონზე, რომელშიც აისახა პუშკინამდელი რუსული ენის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. 1845 წლის მაისში ჩუბინაშვილი ახლო აღმოსავლეთში მიემგზავრება სამეცნიერო მივლინებით, აღწერს იერუსალიმსა და ჯგერის მონასტერს. ამ ნაშრომსაც უცნაური ბედი შეხვდება. 1889 წელს თბილისში იგი გამოქვეყნდა, მხოლოდ მის ავტორად მიჩნეული იყო არა ნ. ჩუბინაშვილი, არამედ ვინმე ბერი ალექსანდრე ლორთქიფანიძე; 1893 წელს ისტორიკოსმა თ. ყორღანიამ ვითომ „გაასწორა“ გამომცემლის შეცდომა და აღნიშნა, რომ წიგნი ალ. ლორთქიფანიძეს კი არა, პლატონ იოსელიანს ეკუთვნისო. და ბოლოს, სიმართლე მართლაც გაირკვა.

უცნაური ბედი ჰქონდათ ნ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო აღმოჩენებსაც. 1902 წელს აკად. ნ. მარმა იერუსალიმში იპოვნა და გამოსცა X საუკუნის შესანიშნავი ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის თხზულება; მაგრამ ეს ძეგლის მეორედ აღმოჩენა იყო — ნიკო ჩუბინაშვილი პირველი იყო, ვინც აუწყა ქართველ მკითხველს ამ შესანიშნავი ნაწარმოების — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობა.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ისტორიის უსამართლობაზე, ბოლოს, სანთელ-საქმელი თავის გზას მიანიჭა არ დაპყრობავს ხოლმე. ახლა ყველაფერი გაირკვა და ჩუბინაშვილის ღვაწლიც გამოჩნდა. კერძოდ მის ლექსიკონ-გრაფიულ მოღვაწეობის გამომხეურებას ფასდაუდებელი ამაგი დასდო ალექსანდრე ლლონტმა, რომელმაც გამოაქვეყნა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. უფრო ადრე მან გამოსცა მისივე ქართულ-რუსული ლექსიკონი. მკვლევარს განზრახული აქვს გამოსცეს მისივე რუსული ენის გრამატიკაც...

გიორგი ნატროშვილი

— გვევცრიან, დაწევი! — წამოიძახა იმედამ და ორმოსაკენ გადახვდა. პრემიური წილში მოხრილი გაიქცა და საფარში ჩაბნა.

თოფმომარჯვებული იმედა ორმოსი მოხრილი იდგა, ეგონა გერმანელები გამოთოფავდნენ, მაგრამ არავის უსრლოდა.

უცებ მუხუდუმში წიფილით გადაიქროლეს პოზიციების თავზე.

ერთი მუხუდი იმედას შორიანლოც დაეცა. მართო ჯარისკაცმა კი არა, თითქოს მიწამაც ამოიხვეწა ამ საშინელი აფეთქებისაგან. „გადავრჩი!“ ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო იმედამ, რომ მეორე მუხუდი უფრო ახლო დაეცა. თავზე მიწა და თოვლი გადაეყარა. „ისევე გადავრჩი!“ — გაიფიქრა, მაგრამ იმის მოლოდინში, რომ ვაითუ ყუმბარა ახლა ზედ თავზე დაემტკნოს, სუნთქვა შეეკრა, მთელი სხეული აუკანკალდა. ნუთუ ასე ერთბაშად, ასე ერთ წუთში უნდა გამოეთხოვოს სიცოცხლე.

ამ საშინელ გზიასში იმედას ვიღაცის ყვირილი შემოესმა:

— ტანკები, ტანკები!

იმედამ მტრის პოზიციების იქით, თხელ ბუჩქებში ოცამდე ტანკი დაინახა. ნელა და დინჯად მოიჩქარებოდნენ. თავიანთ პოზიციებს რომ გამოსცდნენ, ერთბაშად მოუმატეს სიჩქარეს და ცეცხლი გახსნეს.

ტყვიების ჭერმა იმედას ყურის ძირში მიწა ამოთხარა. პირველად გაიგონა შათი წივილი, მაგრამ იყოფონე უკვირდა, რომ ეს არც ისე შემშარავი იყო. შორიანლო ორკერ ზედიზედ აფეთქდა ყუმბარა.

იმედა ორმოსი ჩაიკეტა. იგი ცდილობდა გუგუნით გამოეცნო რა მანძილზე მოახლოვდნენ მტრის ტანკები.

უცებ ხელმარჯვენი, იქ, სადაც პროსკურინის ორმო იყო, ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. იმედა მაშინვე წამოხტა. პროსკურინის ორმოდან ზუთი-ოდე ნაბიჯზე, ცეცხლის აღში გახვეული ვეებერთელა ტანკი, სრულიად და სხენით ადგილზე ტრიალებდა. ორმოდან გახურებული თონესავით ცეცხლის ალი ამოდიოდა. პროსკურინი კი არსად ჩანდა.

თეთრჯვრიანი ურჩხული, მისკენ რომ მიბობდა, შეჩერდა. ისე მოჩვენა, თითქოს ფანის-ტებმა იგი შენიშნეს, მაგრამ მის თავზე არც ტყვიას გაუწივლია, არც შორიანლო ყუმბარა აფეთქებულა.

„ისინი, ეტყობა ვერ მხედვენ“, — გაიფიქრა იმედამ, უშაღ ფეხზე წამოიჭრა, ორმოდან გადმოწოდული ტოტები მიყარ-მოყარა, ბოლოები ბრუსტერზე დააწყო, ერთი კი ხელში მოიპარჯა, თვითონვე უკვირდა: იმის უბრალო წარმოდგენა, რომ ტანკის პირისპირ აღმოჩნდებოდა, უფრო მეტ შიშს ბგვრიდა, ვიდრე ახლა, როცა მისკენ გრუხუნითა

და ცეცხლის ფრქვევით თეთრჯვრიანი ურჩხული მოექანებოდა.

რა ცეცხლი აღანთებს და აღფრთოვანებს მის სულს, ასე გაბედულად, უდრეკად რომ დგას? შინ ხომ ცოდვით ქათამსაც ვერ დაკლავდა, ახლა კი მთელი არსებით სწავლია, რაც შეიძლება მარჯვე გაუჩინოს ტანკს ცეცხლი, რომ შოგ მსხლდომი ფაშისტები, თვალთაც რომ არ უნახავს, დასწვას, დაბუგოს, დაანახშიროს.

ძლიერი შერის ტალღამ, ტანკის ქროლვა რომ აჩენდა, სახეში დასცხო, კიდევ ორი-სამი წამიც და, ალბათ, იმედა მაღლა აშვერილ მუხუდუმების ქვეშ მოექცეოდა.

„დროა!“ — თითქოს ვიღაცამ შესძახა იმედას გულში, ბოთლის სასხლეტი გამოსწია, მთელი ტანით წამოიმართა და ტანკს ესროლა.

„ვოილე, ავაციონი!“ — გაიფიქრა იმედამ, მეორე ბოთლს სწავა, მაგრამ ტანკი, მუხუდუმებს შუა ავარდნილ ცეცხლის აღში გაეხვია, უსუსვე შედგა და, თითქოს უკანასკნელად გაიბრძოლა, მოწყვეტილ მიწას დაეხარცა. მაშინვე კოშკურის სარკველი აიხადა და ზვრელიდან ერთბაშად ამოვარდნილ ცეცხლის აღში ტანკისტი ამოიპარა და ძირს გადახტა. წინა ბაქანიდანაც ამოდგრა ცუტხე-წყადებული გერმანელი. ისინი დაფეთებული გარბოდნენ, მაგრამ რაღაც ტანზე ცეცხლი უფრო შემოეგუნათ, რაღაც ათიოდე ნახიჯი გაიბრძინეს და მიწაზე დაეხსნენ. თხუნულებივით ცდილობდნენ თოვლში ღრმად ჩაეკრომას.

იმედამ შენიშნა როგორ ერთბაშად შემობრუნდა მისკენ მეორე ტანკი, ზღაპრული ვეშაპივით ცეცხლის მდინარე გადამოანთხია, მერე ერთი შემშარავად დაიბლილა და უჩვეულო სისწრაფით წინ გამოიჭრა.

ბოლომომარჯვებული იმედა ისე იდგა ორმოსი, თითქოს მაღლა ამოფრენას აპირებდა. ფოლადის ურჩხული კი იმ მტაცებელი ფრანველივით უხლოვდებოდა, ბასრი ბრჭყალებით ყელში რომ უნდა ჩააფრინდეს მსხვერპლს და მოახრჩოს.

იმედამ მარცხენა მხარეს მეორე ტანკსაც შეასწრო თვალი, ისიც სწრაფად მოექანებოდა მისკენ, თითქოს იმას ცდილობს, პირველმა არ მიმასწროსო.

რაღაც წამებში იმედამ თვალთ ორივე ტანკამდე მამოსწია სასხლეტი და მხოლოდ ისროლა. ამჯერად ტანკს წინა ბაქანზე მოახვედრა. ცეცხლი უცებ შემოენთო ჯავშანს. ტანკი გაჩერდა. მაშინვე კოშკურის ზვრელიდან გერმანელი ამოძვრა, ძირს გადახტა, წახრილმა ოციოდე ნახიჯი გაიბრძინა, თოვლში წაწვა და იმედას პისტოლეტით სროლა აუტეხა.

„დროა!“ — ცვლავ შემოესმა ეს სიტყვა. მარჯვედ მამოსწია სასხლეტი და მხოლოდ ისროლა. ამჯერად ტანკს წინა ბაქანზე მოახვედრა. ცეცხლი უცებ შემოენთო ჯავშანს. ტანკი გაჩერდა. მაშინვე კოშკურის ზვრელიდან გერმანელი ამოძვრა, ძირს გადახტა, წახრილმა ოციოდე ნახიჯი გაიბრძინა, თოვლში წაწვა და იმედას პისტოლეტით სროლა აუტეხა.

იმედას ტყვიამ ზედიზედ ყურის ძირში გაუწივლია; მაგრამ ის ახლა აღარაფერს ერიდებოდა. ბოლომომარჯვებული კვლავ ტანკის მოახლოვება ელოდა.

იმედა სასხლეტის გამოწვევას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, რადგან უცებ ორმოსი ჩაიკეტა და ბოთლი ხელიდან გაუვარდა. მკერდში სისველე და სიმხურვალე იგრძნო. ნეტავი რას ნიშნავს ეს? თუ დაჭრილია, რატომ არ გრძობს ტყვილს? თუ კვდება, რატომ არ ეშინია, ნუთუ სიკვდილი მხოლოდ სიბნელე და წყვედია?

... უცებ გონება დაუბრუნდა, თვალში სინათლე ჩაუდგა, გაიგონა რაღაც უცხო შედახილები, აჩქარებული ნაბიჯების ხმა. გული უკვდებოდა, რომ ასე ახლი იყვნენ მისგან აღმანები. მას კი არ შეეძლო მათთვის დაეძახა, შეეღა ეთხოვა. წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო, რადგან მიწაში იყო ღრმად ჩაფლული.

„იქნებ საფლავში ვწევარ?“ — ამის გაფიქრებისთანავე მთელი სხეული აუტაცდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეტვივრა:

— მიშველეთ, ძებო, მიშველეთ! ქვემტეხის გრუხუნში ინთქმებოდა მისი ხმა. რაიღა არავინ გამოეხმაურა. ტანიდან მიწა მოიცილა, ძალ-ღონე მოიკრბა და ორმოდან ძლივს ამოფოცდა.

მოსისინე მსუსხავი ქარი უბრადა. აღარც ლაპარაკი ისმოდა, აღარც ფეხის ხმა. ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს რაღაც ყრუ, შემშარავი წივილი არღვევდა. იმედა სმენად იქცა და მიხვდა, რომ ყურები უწიოდნენ, თვალბებს ვერ ახეულა, მაგრამ ქუთუთოები გამჭვირვალე გახდომოდნენ. ვერც გარკვეულიყო, ხედავდა თუ ეჩვენებოდა: მანქანა უამრავი ცეცხლოვანი ბურთოლები ირტოდნენ. ისინი ნელ-ნელა შეერთდნენ და ბოლოს ერთ მთლიან დისკოდ იქცნენ. ძლივდმოვივით გაახილა თვალი: ღრუბლებსა და ნისლში გახვეული მწვე გავარვარებულ ლითონივით რომ დვიოდა, სხივებსა და სიბნელეს როდღაც გამოსცემდა, თან თითქოს რაღაც დიდი მწუხარებითა და ნალღიანად გადმო-სცქეროდა სისხლით შეღებილ არე-მარეს.

იმედამ უფურა, უფურა მწეს და მასში ირინე დაინახა. სხეულში თბილმა ქრუანტელმა დაუარა, ძალ-ღონე შეემატა, გონება გაუთათდა. მისკენ გაფოცდა, თან თავისთვის ლულულულებდა: „ირინე, ირინე! მაინც შენ ვხედავ, შენსკენ მოვისწრაფ“.

ერთბაშად წამოიწია, თითქოს იმას ცდილობს, სატროფს უფრო უკეთ შეავლოს თვალიო, ხელებზე სანახევროდ აიკითხა, თავიც ასწია, და რაღაც მწარედ გაეღიმა. უცებ მკლავი მოუღულდა, მიწას დაენარცხა. მის გაფიქრებულ სახეზე მარტო იყო ცუტებას ამოიკითხავდა კაცი. დიმილი კი მხოლოდ ტუჩებზე შერჩა. ეს დიმილი თითქოს ვიღაცას უსაყვედურებდა, ვიღაცას სძრახავდა!



უშგული (ტემპერა).



ძველი თბილისი (აკვარელი, ტუში).

ოთარ ჭიშკარიანი

ნინო (ზეთი).



ოთარ ჭიშკარიანმა ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება ამ ათიოდე წლის წინ მიიქცია. ამ ხნის მანძილზე მხატვარი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა, მონაწილეობს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებზე. მისი პორტრეტების, ნატურმორტების და პლაკატების თემა — მშობლიური ხალხის ცხოვრებაა.

ოთარ ჭიშკარიანი აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალ-გაზეთებში, გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი. მხატვარი ამჟამად გამომცემლობა „მერანში“ მუშაობს. მისი თაოსნობით დაიწყო „მერანის“ საგამოფენო დარბაზში პერსონალური გამოფენების მოწყობა.


უურნალის ამ ნომრის ჩანართში იბეჭდება ოთარ ჭიშკარიანის ნაწარმოებების რეპროდუქციები.

მთის სოფელი (ტემპერა).






შემოდგომა (ლინოგრაფიურა)



სვანეთი (ტუში).



უკვილები (ლინოგრაფიურა)



უშგული (ტუში).



ქველი თბილისი (ლინოგრაფიურა).



სვანეთი. სოფ. ხალდე (ტუში)



პლაკატი.



რუსთავი (ტუში, აკვარელი)

ქველი თბილისი (ტუში, აკვარელი)



რაკა (გუაში).

შემოდგომა (მონოტიპია).





ე რ თ ი

ფოტოსურათის

ბ ა ე რ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1967 წელს გამოაქვეყნა ალბომი: „როგორ ვიზრდებოდით“. მასში, სხვათაშორის, მოთავსებულია აქ წარმოდგენილი ფოტოსურათი წარწერით: „წითელრაზმელების ერთი ჯგუფი, 1905 წ. (ქართლი).“

გასულ წელს, გამომცემლობა „მერანში“ „ქართულ ლენინიანაში“ დაბეჭდა იგივე სურათი წარწერით: „პარტიზან-წითელრაზმელების ჯგუფი დასავლეთ საქართველოდან, 1905 წ.“

ეს წარწერები სწორი არ არის. სინამდვილეში ამ ფოტოსურათზე აღ-

ბეჭდილი არიან თელავის მაზრის წითელრაზმელები. ამ რაზმს გიორგი ბერძენიშვილი და ზალიყო სვიმონიშვილი ხელმძღვანელობდნენ. ფოტო გადაღებულია წინანდალსა და კისისხევის შუა მდებარე მიდამოებში, 1912 წელს; სურათი გადაიღო თელაველმა ფოტოგრაფმა ვასილ როინიშვილმა, ნეგატივიც მის არქივში ინახება.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ მებრძოლებს იარაღი არ დაუყრიათ. ისინი თავდადებით ებრძოდნენ რეაქციის ძალებს. მათ ტყვეს შეაფარეს თავი. „გასული ბიჭები“,

როგორც მათ კახელები სიყვარულით უწოდებდნენ, სულ უფრო შორდებოდნენ დასახლებულ ადგილებს... პოლიციაც ტყეში და ჭალებში დაეძებდა მათ; ხშირად მოდიოდა ღებულები თელავიდან თბილისისაკენ: „პოლიცია ეძებდა ყაჩაღებს აკურასა და წინანდალის ბალებში. სტრატეგიები თავს წააწყდნენ ყაჩაღებს, მათ მოჰკლეს უფროსი ურიადნიკი და მიიმალნენ“. „პეტროგრადი. პოლიციის დეპარტამენტს, 1911 წელი, ათი აგვისტო. თელავის მაზრაში მდგომარეობა ფრიად სერიოზულია... მი-

ღებულია ცნობა ყაჩაღების ორი ჯგუფის გაერთიანებისა. ჭალაში დახოცეს... პოლიციის მოხელეები... საჭიროა ძალების გაძლიერება“. მეფის მოხელეთა პატაკებში იყო ასეთი სტრიქონებიც: „მთელი კახეთის გლეხობა ინახავს ყაჩაღებს, ამიტომ ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს, სამწუხაროდ, არავითარი შედეგი არ მოაქვს ჩვენს სასარგებლოდ“.

ასეთ ვითარებაშია გადაღებული ეს სურათი.

გიორგი მგელაშვილი

გაგა მგელაშვილი

მთვლივარ თქვენთან

ერთადერთ ფერით
იხატება სოფლის ბუნება,
მთებზე ფეხს იდგამს
წამთრის თეთრი უდაბურება.
უბერავს ქარი,
ასტნობთ ღრუბლებს წრიალი,
წარსულს ხელები
გაუშლია ალერსიანი,
წინანდებური სათნოებით
რომ დამიყვანოს,
რომ შენი სითბო
მაგრძნობინოს, ჩემო ბუხარო!

გიახლოვდები ჩემი კერის
ღველფო — ნაცარო,
ბავშვობის ცაო,
ომის ზანძრით სახედამწვარო!
აქ ფეხშიშველა
დავდიოდი ძალიან დიდხანს,
მიტოვაც მიყვარს
მიწა მწირი,
დიხაშხო, თიხა.
ორმოცდა ერთის,
ორის,
სამის,
ოთხის

და ხუთის
შეცივწულ მზეებს
სტრიქონებში ვმაღავ და ვფუთნი.

გიახლოვდები
საკუთარო თავო და თავო —
აქ სათავგებთან
უწმინდესო მთის წყაროს თვალო,
გიახლოვდები აქამეთის
ტყეო უღრანო,
მამის დუმილო,
დედის ფიქრო დაუდუღარო.
მოვდივარ თქვენთან
ღამებო გასათევარო,
შენი ზმუილი
მომენატრა, ხარო ყვეგარო!
თქვენი პირში თქმა
მომენატრა სახლი-კაცებო
და ცაცხვის გობზე
შენი თოვა, ძლის საცერო!

მიწის ძალ-ღონით
და სიმთვარისით
ამივსეთ თასი,
გაუბზარავი ერთგულებით
ჩამხედეთ თვალში.
სიცილ-ხუმრობით

შემახსენეთ ყრმობის ანცობა.
კარგი კაცობის
შემახარბეთ კაი-კაცობა.
წინანდებურად
მიმეგობრეთ და მიარიფეთ,
ოცი წლის წინათ
ნაფიქრალი ფიქრი მაფიქრეთ.
მე რომ გავჩუმდე,
დაამუხჯოს რიღმა და ხათრმა,
თქვენ მომანატრეთ
ოცი წლის წინ ნანატრი ნატვრა.
მომასმენინეთ სიბრძნით სავსე
თქვენი იგავი
და საუბარი
მიუკიბავ-მოუკიბავი.

იშას ნუ მკითხავთ,
სად მიჯობდა,
სად არ მიჯობდა...
მოვდივარ თქვენთან,
თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ.
მოვდივარ,
გჩქარობ.
სივრცე მღვრიე ნისლით ბრუვდება,
მთებზე ფეხს იდგამს
წამთრის თეთრი უდაბურება.



„დამიეტაში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში“, — ამას სწერდა საქართველოს მეფე რუსულადნი რომის პაპს. იგივეს იმეორებდა ივანე მხარგრძელი.

მათი წერილები 1224 წელს მიიღეს რომში. თურმე რა ახლოს იყო საქართველოდან მომავალი დახმარება! ორმოცი ათასი მხედარი, უკვე იარაღ-ასხმული, საომრად გამზადებული, ახალგაზრდა ქართველი მეფის ღმრთი-გვირგვის წინამძღოლობით უნდა დაძრულიყო პალესტინისაკენ და ჯვაროსნებთან ერთად მიეტანა იერიში საერთო მტერზე. უზარმაზარ მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული დახმარების ხელს უწყვედიდა ამ მრისხანე ზღვის ტალღებთან შესაბამისობადად დასაველეთიდან შემოჭრილ ქრისტიანულ ხომალდებს.

„არდაიწყება მოყვრისა არადეს გვიხამს ზიანსა“, — ყოველთვის ასე ფიქრობდნენ საქართველოში. მანამდეც, ვიდრე ეს სტრიქონი დაიწერებოდა და მერეც, როცა ზეპირად ისწავლეს „ვეფხისტყაოსანი“. მოყვარე ყველა ქრისტიანს ერქვა, მეზობელსაც და შორეულსაც, რადგან ერთი და იგივე ღმერთი სწამდათ, მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდნენ ერთსა და იმავე ლოცვებს ეკლესიაში თუ ბრძოლის ველზე, ჭირში და ლხინში, დაბადებიდან სიკვდილამდე.

ამიტომაც იყო, რომ ძლიერების ქაშის საქართველოში მზად იყვნენ ერთმორწმუნის დასახმარებლად, ხოლო გასაჭირში იმავე ერთმორწმუნეთაგან ელოდნენ შევლას და მფარველობას.

თამარის საქართველოს ახლო-მახლო არაგინ ეგულებოდა სერიოზული მეტოქე და მტერი. არაბი ხალიფები ვეღარ ხალიფობდნენ, სელჩუკთა მიერ შეკრწმუნებული იმპერია უკვე ჩაბარდა წარსულს, მონღოლებსა და ხვარაზმელებს ჯერ არ დაუდგათ ფეხი ჩვენს მიწაზე, ავეჯნში იწვა ოსმალეთი, დაბადებულიც არ იყო სეფიანთა დინასტია.

საქართველოს ძლიერი სახელმწიფო აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად თვლიდა თავს. სხვებსაც სჯეროდათ მისი, რადგან სიტყვას ადასტურებდა საქმე. როდესაც არდებილის სულტანმა ანდის ააოხრა და ქრისტიანთა სისხლით მორწყო ეკლესიები, საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია არდებილისაკენ და ანდის ჯაფრი იყარა. სომეხი ისტორიკოსი ვარდანე წერდა, თამარის მეფობის ქაშის ქრისტიანები გაძლიერდნენ.

საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ყოველმხრივ შემორტყმული მაჰმადიანური ზღვა წალეკვას უქადა და ქვეყნის მომავალს. ახალი დამპყრობლის ხელში, დღეს თუ ხვალ ისევ გაერთიანდებოდნენ დაქუცმაცებული სამთავროები ქრისტიანული კუნძულის მოსასპობად, რადგან ქართველ ხალხს სხვა ენა ჰქონდა, სხვა ღმერთს ლოცულობდა, სხვა ზნე-ჩვეულებანი გააჩნდა, ნგრევას შენება ერჩია, მონობას — თავისუფლებას.

მაჰმადიანთა ღმერთმა ერთადერთი ენა იცოდა — არაბული და თავისი მოციქულის ბიოთი მოუწოდებდა ყველა მაჰმადიანს: ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ალაჰი! ფეხზე დააყენეთ მთელი ჯარები, რომ შეამინოთ ალაჰის მტრები. დახოცეთ ისინი, სადაც კი მპოვოთ! თუ ალაჰი თქვენს შემწედ მოვიდა, ვისღა უნდა შეეძლოს თქვენი ძლიერება? თქვენ კი არა, ალაჰი ხოცავს მათ! მოციქულო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად, ოცმა მათ შორის ორასი ურჯულო დაამარცხოს, ასმა — ათასი, რადგანაც არა სწამთ ალაჰი და არაფერი გაეგებათ. ვინც ალაჰის სასწაულები არ იწამოს, საშინელი სასჯელი მოელის, ალაჰი ყოვლის შემძლეა და შურისმგებელი! მორწმუნენო, ებრძოლეთ ურჯულოებს, რომელნიც გმეზობლობენ თქვენ: ნუ ეძებთ მათ შორის ნურც მფარველსა, ნურც მეგობარსა! ალაჰისა არის აღმოსავლეთი და დასავლეთი...

ეს სიტყვები ყურანიდან არის ამოწერილი. კარლ მარქსი აღნიშნავს, რომ ყურანსა და მასზე დაფუძნებულ მუსლიმანურ კანონმდებელ მთელი მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს მარტაც და ხელსაყრელ ფორმულამდე: ორ ნაწილად ყოფს ყველას — მართლმორწმუნეებად და ურჯულოებად. ურჯულო, ეს არის „გიაჟური“, ეს არის მტერი. ისლამი წყველის ურჯულო ხალხებს და წარმოქმნის უწყვეტი მტრობის მდგომარეობას მუსლიმანებსა და ურჯულოებს შორის.

სხვადასხვა სარწმუნოება თიშავდა ხალხებს, მაგრამ მაჰმადიანურ მახვილთან ერთად არსებობდა მაჰმადიანური კულტურა, რომლის გავლენა ევროპასაც კი გადასწვდა. „ზიზისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო, — წერდა ივანე ჯავახიშვილი, — აღმოსავლეთის და დასავლეთის, ქრისტიანული

ზ. ჯაფარაშვილი

და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემართებელი იყო“.

მოხდა საოცარი. ფერისცვალება და ორსიტყვიანი ზღაპრიდან დაიბადა გენიალური პოემა. იგი გადაიქცა ფიქრებად კეთილსა და ბოროტზე, საწუთროსა და საიჭიოზე, გმირობასა და მოყვრისათვის თავდადებაზე, რაინდულ სიყვარულზე, რომელმაც არ იცოდა არავითარი დაბრკოლება, იღებდა აუღებელ ციხეს და ამარცხებდა დაუმარცხებელ მტერს. ზღაპრის ორი წვეთიდან გაჩნდა „საბრძნის ტბა“, სადაც იმ ორი წვეთის აღმოჩენა მიერთსკობით შეიარაღებულ თვალსაც კი გაუჭირდება.

ქართველი კაცი თვალწალოც ცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში თავის მეფეს, მეზობელს, სატრფოს. ინგეროდა სასახლეები და ციხეები, ინებებოდა ბაღი და ვენახი, ხანძარი ნთქავედა ტყეს, წითლად იღებებოდა მდინარე, მაგრამ სიცოცხლე მაინც სძლედა სიკვდილს და ხალხის გულში საღვთო წიგნის გვერდით მუდამ ეღერდა უკვდავი პოემა. ქრისტიანული მცენება („მეყვარო მოყვასი შენი“...) დაჩრდილა ლექსმა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდალ“.

...1220 წელი — საბედისწერო მიჯნა საქართველოს ისტორიაში. არაგინ უწყის მომავალი და გულშეშვიდად ემზადებოდა ჯვაროსანთა დასახმარებლად.

მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა მიზნად ისახავდა იერუსალიმის განთავისუფლებას მაჰმადიანთა ბატონობისაგან. 1187 წელს, ეგვიპტის სახელგანთქმულმა სულტანმა, ჯვაროსანთა წინააღმდეგ „საღვთო ომის“ სულსჩამდგმელმა სალადინმა აიღო იერუსალიმი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე ქრისტიანთა ხელში იყო. მანვე დაიპყრო მრავალი ციხე-ქალაქი სირია-პალესტინაში და უიოდურესად შეაეიწროვა ფრანკები. ევროპამ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, მაგრამ რჩირად ლომგულის მხედართმთავრობამაც კი ვერ გადაწონა გამარჯვების სასწორი ჯვაროსანთა მხარეზე. იერუსალიმი სალადინს დარჩა. XIII საუკუნის დამდეგს — მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელმაც იერუსალიმის მაგივრად რატომღაც კონსტანტინოპოლში ამოყო თავი და ბიზანტიის იმპერია დაამხო! იერუსალიმში ისევ მაჰმადიანები ბატონობდნენ. გავიდა კიდევ ათიოდე წელი და დაიწყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.

1218 წლის მაისში ჯვაროსანთა მხედრობა მიაღწია დამიეტას (ნაქსადგურია ეგვიპტეში).

პალესტინის ებისკოპოსი ქაქ დე ვიტრი იმავე წლის სექტემბერში წერილობით უხსნიდა რომის პაპს, თუ რატომ აღმოჩნდნენ ჯვაროსნები ეგვიპტეში. ქაქ დე ვიტრი სიტყვით, საშინლად ცხელი ზაფხული არ იყო ხელსაყრელი დრო იერუსალიმზე შეტევისა, ხოლო ეგვიპტე, იერუსალიმის ხრაიეებისგან განსხვავებით, ნაყოფიერსა და წყალუბზე მხარეს წარმოადგენდა. ძლიერი ციხე-სიმაგრეები მხოლოდ სამ ქალაქს გააჩნდა, მათ შორის დამიეტასაც, რომელსაც „ეგვიპტის გასაღებს“ უწოდებდნენ და მისი აღება გზას გახსნიდა დანარჩენებისაკენ.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ფურათი იმოწმებს ჯვაროსან წინამძღოლთა ნათქვამს: „სწორედ ამ მდიდარი ქვეყნის (ე. ი. ეგვიპტის) რესურსების წყალობით დაიპყრო სალადინმა სირია-პალესტინა. თუ ჩვენ დაეგებატრონებით ეგვიპტეს, ადვილად შეგძლებთ დაეებრუნოთ იერუსალიმი სხვა სამფლობელოებთან ერთად“.

ჯვაროსანთა მხედრობა ეთნიკურად ჭრელი იყო: ფრანკები, იტალიელები, გერმანელები, ინგლისელები... წინამძღოლობდნენ იოანე, მეფე იერუსალიმისა და ლეონარდო, ავსტრიის ჰერცოგი. ზაფხულში ჯვაროსნებთან ჩამოვიდა რომის პაპის ლეგატი — კარდინალი პელაგიუსი, რათა ძმობა და ერთობა განემტკიცებინა სხვადასხვა კუთრის ჯვაროსანთა შორის.

დამიეტას ალყა გრძელდებოდა. 1219 წლის დამდეგს ეგვიპტის სულტანი ალ-ქამილი, ძმისწული სალადინისა, იწყებს საზავო მოლაპარაკებას. მან ჯვაროსნებს შესთავაზა იერუსალიმის სამეფოს დაბრუნება (ორიოდე ციხის გამოკლებით პალესტინა-ეგვიპტის გზაზე და გარკვეული ზარკი ამის კომპენსაციად) და ოცდაათწლიანი ზავი. სამაგიეროდ ჯვაროსნებს უნდა მიეტოვებინათ ეგვიპტე. იერუსალიმის მეფე იოანე მზად იყო მიედო ეს მოპიზლავი და ხელსაყრელი წინადადება, იგი დამიეტას ოპერაციის საბოლოო მიზნად სწო-

რეალური იერუსალიმის სამეფოს აღდგენას მიიჩნევდა. მაგრამ კარდინალმა პელაგიუსმა სასტიკი უარი განაცხადა ზაზეზე.

კარდინალი აქტიურად ერეოდა სამხედრო საქმეებში. მისი შეხედულებით, ჯვაროსნები რომის ეკლესიის ქვეშევრდომნი იყვნენ და არა იერუსალიმის სამეფოსი. მწიფდებოდა კონფლიქტი ლაშქრობის წინამძღოლებთან. იტალიიდან დიდი რაოდენობით ჩამოსული დამხმარე ძალები თავის ლიდერად აღიარებდნენ კარდინალს. მასვე უჭერდნენ მხარს ტამპლიერთა და ჰოსპიტალიერთა ორდენის ბერი რაინდები. კარდინალ პელაგიუსის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაზარდა მას შემდეგ, რაც „აღმოჩენილ“ იქნა არაბული ენაზე დაწერილი წიგნი, რომელიც წინასწარმეტყველებდა დამიეტას დაცემას.

ალ-ქამილმა დახმარებისთვის იხმო თავისი ძმა, დამასკოს სულტანი ალ-მუჰამადი. ამ უკანასკნელმა, სანამ ეგვიპტის გზას გაუღებოდა, დაანგრია იერუსალიმის კედლები და სირიის საუკეთესო ციხეები. მათი დაცვა მაინც შეუძლებელი იყო, ვინაიდან სირიაში ძალიან ცოტა რჩებოდა ჯარი. გარდა ამისა, დამასკოს სულტანის ვარაუდით, ქრისტიანებს თუნდაც ხელთ ევდოთ ეს ციხეები, დანგრეულს უტყვიან ვერ აღადგენდნენ და მაჰმადიანებს ხელსაყრელი პოზიციები ექნებოდათ სირია-პალესტინაში.

ეს მოხდა 1219 წლის მარტში. ახალმა ამბავმა მალე ჩააღწია დამიეტას და შეტევით გათულ ჯვაროსანთა შორის ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. გაზაფხულზე წინასწარ გასწია აესტრიის პერკოგმა. მას სხვებმაც მიჰბაძეს. კარდინალი პელაგიუსი ევედრებოდა აბარებულ ჯვაროსნებს, შემოდგომამდე მაინც გაეძლოთ და გულუხვად პირადებოდა ინდულგენციებს არა მარტო მათი საკუთარი ცოდვებისათვის, არამედ იმ ცოდვებისთვისაც. მათი უახლოესი ნათესავები რომ ჩადიდებდნენ მომავალში.

მაგრამ მაჰმადიანთა საქმეც ვერ იყო რიგზე. ეგვიპტის სულტანი ვერაფრით დაეხმარა ალყაშემორტყმულ დამიეტას, სადაც უკვე ირინა თავი შიშოილმა. ეგვიპტის მოსახლეობის გასამხნეველად კაიროს ქუჩებში ჩაატარეს შებოროტი ტყვე ქრისტიანები. შემდეგ ორი კაცი ამოარჩიეს მათგან და ელჩებად გაგზავნეს ჯვაროსანთა ბანაკში.

ალ-ქამილი, აღრინდელ საზავო პირობებთან ერთად, ჯვაროსნებს პირადებოდა იერუსალიმისა და სხვა ციხეთა აღსადგენი ხარჯების გადახდას, ოცი ექვთიმობილი წარმოშობის მაჰმადიანის მიხედვად გადაეცემს ციხეების აღდგენამდე და ყველა ტყვე ქრისტიანის განთავისუფლებას, ვინც კი ცოცხალი მოიქნებოდა ეგვიპტე-სირიაში.

კარდინალი პელაგიუსი კვლავ უარზე იყო. იგი უმტიციებდა თავის ოპონენტებს, რომ ზავი მაჰმადიანთა ხრიკია, ისინი გავითიშავენ და იოლად დაიბრუნებენ იერუსალიმს, რომლის მთავარი ციხეები უკვე დაანგრის.

შორსმხედრულმა კარდინალმა თავისი გაიტანა და ჯვაროსნებმა გაორკეცებული ენერგიით შეუტრის მტერს. 1219 წლის ნოემბერში დამიეტა აღებულ იქნა. დადგა კაიროს ჯარი.

სწორედ ამ დროს ჩავიდნენ დამიეტაში ლაშა-გიორგის ელჩები. კარდინალმა პელაგიუსმა რომის პაპის სახელით მოუწოდა საქართველოს, ჯვაროსანთა დასახმარებლად მხედრობა გამოეგზავნა სირია-პალესტინაში.

ზემოხსენებული ესა და ვიტრი, რომელიც დამიეტაში გაიკონბდა ლაშა-გიორგის ელჩებს, თავის წიგნში „იერუსალიმის ისტორია“ ასე ახასიათებს ქართველებს:

„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცი ბრძოლაში, ძლიერნი სხეულით და ძლიერადილინი მხედრობა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებული ჰყავთ სარკინოზები, თავისი თავდასხმებით ხშირად აყენებენ ზიანს სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს, რომელთაც ესაზღვრებიან მთლიანად გარშემორტყმულნი ურჯულო ხალხებით. მათ ეწოდებთ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თავყანს სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც თვლიან თავის მფარველად და მედროშედ ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მეტად. ყოველთვის, როცა კი წვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდინა წმინდა ქალაქში გამოიღობენ დროებით და არაგის უხდინა ხარკს. სარკინოზები ვერანაირად ბედავენ მათს შეწყუბებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე. მათი კეთილშობილი ქალები, ამორძალთა დარად, შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდების მხარდადარად“...

შემდეგ ესა და ვიტრი მოგვითხრობს, რომ ქართველები აღშფოთდნენ იერუსალიმის დანგრევის გამო და სასტიკი მუქარა შეუთვალეს დამასკოს სულტანს.

იერუსალიმში ქართული მონასტრები იყო...

ქართველმა ელჩებმა რომის პაპის მოწოდება აუწყეს საქართველოს მეფეს. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ლაშა-გიორგის რაინდულ სულისკვეთებას ასეთი გეგმა კარგად ეგუებოდა და მანაც სიამოვნებით განაცხადა თანხმობა.

ვენეციელი ისტორიკოსი მარკო პოლოსი აღწერს, რომ ქართველები აღფრთოვანა ჯვაროსანთა მიერ დამიეტას აღებამ და გადაწყვიტეს, რაც შეიძლება დიდი წილილი შეეტანათ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, სახელდობრ — აეღოთ დამასკო. ეს საბედისწერო დარტყმა იქნებოდა სალადინის შემევიდრეთათვის. ალ-ქამილის დასახმარებლად ეგვიპტეში ჩასულ დამასკოს სულტანს უკან გაბრუნება მოუწევდა და ამით მკვეთრად შესუსტდებოდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ დარჩენილი ძალები. სხვა გზას არჩევდა და უარესი კატასტროფა იყო მოსალოდნელი.

„ლომი ძალითა და უმანკო გონებითა“ — ლაშა-გიორგი გეგმავდა გაბედულ სამხედრო ოპერაციას. შორი გზა სერიოზულ სამზადისს მოითხოვდა. თუმცა შორეული ლაშქრობის გამოცდილება უკვე ჰქონდა მიღებული ქართულ

მხედრობას. სულ ათიოდ წლის წინათ ჩატარდა ძლიერადილი რევილი ხორასნის შუაგულამდე, სადაც ქართველი ისტორიკოსის სიტყვით „ქართველთა ნათესავი ვერაგინ მიწვენილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი, და ვერაგინ წინააღმდეგ სპარსეთს შესულთა, ვერ ხვარასნისა სულტანი, ვერ ერასისა და ვერა რომელი თემი“. მხოლოდ ნადავლის სიმძიმემ შეაწყვეტინა ქართულ მხედრობას ეს გასაოცარი და ტრიუმფალური სვლა, რომელიც მონაგონი იქნებოდა ლაშა-გიორგის ლაშქრობასთან. მაშინ გენახათ ქართველი ისტორიკოსის აღტაცება!

ამასობაში ალ-ქამილმა ეგვიპტის გადასარჩენად მოუწოდა თავის მეორე ძმას, ალ-აშრაფს, დიარბექირისა და ხლათის ბატონს, საქართველოს მეზობელს. ალ-აშრაფი ყოყმანობდა. მისი წასვლა მთლიანად უხსნიდა გზას დამასკოსაკენ ქართულ მხედრობას.

ალ-ქამილმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ზავი ჯვაროსნებს და კიდევ ერთხელ გაუშვეს ხელიდან ჯვაროსნებმა მარჯვე შემთხვევა, უომრად დაპატრონებოდნენ იმ ტერიტორიას, რომლის განთავისუფლება იყო საბოლოო მიზანი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობისა.

კარდინალი პელაგიუსი ჯიუტობდა. ელოდა დამხმარე ძალებს და ალბათ მთელი მაჰმადიანური სამყაროს დამარცხება ეზმნებოდა. ვინ იცის, ეგებ მხედრობითაგად იყო დაბადებული და არა ღვთისმსახურად. მხედრობითაგარობდა კიდევ, ვინაიდან იერუსალიმის მეფემ მიატოვა ლაშქრობა დამიეტას აღების შემდეგ.

1220 წლის დამლევს რომის პაპმა შეატყობინა პელაგიუსს: გერმანიის იმპერატორი საზეიმო პირობას სდებს, რომ მომავალი წლის მარტში გაგზავნის ჯარს ჯვაროსანთა დასახმარებლად და აგვისტოში თვითონაც გაემშურებაო.

თავის მხრივ, კარდინალი ამცნობდა რომის პაპს, რომ ქართველები, ქრისტიანნი და სამხედრო საქმეში გამოცდილნი, ემზადებიან სარკინოზთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.

ესა და ვიტრის წიგნში მოტანილი ქართველთა დახასიათება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როდენ დიდ იმედებს ამყარებდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის თავიკები ქრისტიანული საქართველოს სამხედრო ძალებზე.

ყველაფერი ჩაშალა მონღოლთა შემოსევამ.

კარდინალი პელაგიუსი მოუთმენლად ელოდა დახმარებას დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. მაგრამ გერმანიის იმპერატორი იგვიანებდა, ხოლო ლაშა-გიორგის მხედრობამ მონღოლებთან ომში დაღვარა სისხლი.

1221 წლის ზაფხულის დამლევს ალ-ქამილმა თავისი ძმების ალ-მუჰამადისა და ალ-აშრაფის ენერგიული მხარდაჭერით დაამარცხა ლონგემოლეთული მტერი და სექტემბერში ჯვაროსნებმა დაცალეს დამიეტა.

„ალაჰმა უწყალობა მუსლიმებს მოულოდნელი გამოარჩევა“, — წერს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი. მათი იმედების მწვერვლი იყო დამიეტას დაბრუნება სირია-პალესტინის დეკარგვის ფასად, მაგრამ ალაჰის წყალობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა.

ასე დამთავრდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.


ჯვაროსნებმა თავისი მარცხი კარდინალ პელაგიუსს გადააბრალებს. საყვედურდნენ მას, რომ არ ისარგებლა დამიეტას აღებით, რომ იხეზებდა მხედრობითაგარობას, რომ იერუსალიმის სამეფოს აღდგენას კი არ ფიქრობდა, არამედ ეგვიპტის დაპყრობას და ა. შ.

მაგრამ ვინ იცის, რაღას იტყოდნენ კარდინალის კრიტიკოსები, ორმოცათასიანი ქართული მხედრობა რომ ჩამბულიყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მაშინ მართლაც გაუსწორებდა თვალს ლაშა-გიორგი თავის სახელოვან პაპის პაპს — დავით აღმაშენებელს, და დაიმკვიდრებდა უპირველეს ადგილს ყველაზე რჩეულთა შორის საქართველოს ისტორიაში.

და ჩვენც აღარ მოგვეჩვენებოდა გზავიადებად გულწრფელი პანეგირიკი ერთი ფრანგი რაინდისა, ამ ამბებამდე ცოტა ხნით აღრე ალექსანდრე მაკედონელის ბადალი რომ უწოდა ლაშა-გიორგის.

მაგრამ უეტრად მოვარდნად გრივალს, რომელსაც მონღოლები დაარქვეს, ალბათ ალექსანდრეც ვერ გაუმკლავდებოდა...

რუსულდანისა და ივანე მხარგრძელის წერილებში კვლავ არის წამოკრილი ჯვაროსანთა დასახმარებლად წასვლის საკითხი, მაგრამ თვით ევროპაში გაჭიანურდა ლაშქრობის ორგანიზაცია და ამასობაში ზვარაზმშაპი ჯალალედინი გამოჩნდა, შემდეგ ისევ მონღოლები და საქართველოს ბედი უკუღმა შეტრიალდა. რუსულდანი უკვე შეელას ითხოვს რომის პაპისგან და ბასუხად ლოცვები მოსდის. საქართველოსათვის არაგის სცხელოდა. სინთელივით დნებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქა.



თელავიდან ჩამოსულმა მანქანამ კარგა ხანს უტრიალა ნავთვლის მიყრუებულ ქუჩებს, ბოლოს, ერთი განმარტოებით მდგარი სახლის წინ გაჩერდა. რეზო გელაშვილს, საჭესთან აქამდე რომ მდუმარედ იჯდა, სახე გაუბადრა.

— მგონი ეს არის, აბა ჭრთი შეამოწმე!
მისამდვილმა არაფერი უპასუხა, ფრთხილად ამოიღო უბის ჯიბიდან სათვალავი შენახული ფოტოსურათი, დახედა, ჭიშკარი შეათვალა, და მანქანიდან გადმოვიდა.

უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ სურათზე ყველაფერი ნათლად ჩანდა. ობიექტივში შენობა მთლიანად მოხვედრილიყო; ფოტოზე სახლის წინ, ახალგაზრდა ქალის გვერდით უცხოვად გამოწყობილი მათე იდგა, ამაყი და კმაყოფილი.

„ღღეს დავბრუნდით სამოგზაურო ქორწილიდან“. შემდეგ აღნიშნული იყო თვე და რიცხვი, ხელს აწერდა ივეტა. მაიორს გაეღიმა. ბედნიერებით მთვრალ ივეტას ალბათ „საქორწილო მოგზაურობის“ ნაცვლად, უცნაური რამ დაეწერა.

სწორედ ამ ფოტოსურათმა გამოიყვანა მილიციის მუშაკები ქალაქის ბოლოს.

რკინის ვეებერთელა ჭიშკარი საიმედოდ იყო ჩაკეტილი. საგულდაგულად დამანულ კარებში ეშმაკიც ვერ შეიხედავდა დაუკოხავად.

რეზო გელაშვილმა შავად გაბრიალებულ ჭიშკარზე თეთრი დილაკი მოძებნა. სიჩუმეში უცნაურად გაისმა ხმაჩახლეჩილი ზარის ნაწყვეტ-ნაწყვეტი გოდება.

იმევე წუთს მეორე სართულზე ოდნავ შეიჩხა ფარდები და ვიღაც ისევე სწრაფად მიეფარა ზედას, როგორც გამოჩნდა.

ლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. ჭიშკარს იქით გასაღები გადატრიალდა და შეჭვილი კარები სრულიად უხმაუროდ გაიღო.

შესასვლელში მაღალი, მოხდენილი ქალი იდგა. გვერდით უზარმაზარი ძალი ამოსდგომოდა.

— ვინ გნებათ? — შეშფოთებული ხმა ჰქონდა მასპინძელს.

— როგორ გითხრათ, — წუთით შეყოვნდა ბონდო მისამდვილი, — ჩვენ ივეტა ნაკაიძეს ვეძებთ, — დამარცვლა გვარი და სახელი მაიორმა.

ქალს სახე აელეწა.

— ცოტა ხანს მომიტოვინეთ.

ბონდომ მეგობარს გადახედა და თვალი ჩაუკრა. მასპინძელი ორიოდე წუთში შემობრუნდა და კარები ბოლომდე გააღო.

— მობრძანდით! — ლაბარაკობდა ხმამაღლა და თან მოულოდნელ სტუმრებს ათვალა ირებდა, — ძალი შევამწყვდიე...

კარები კვლავ უხმაუროდ, მაგრამ საიმედოდ მიიკეტა და ისინი სრულიად მყუდრო ეზოში აღმოჩნდნენ.

ეზო ყვავილებით იყო სავსე. გალავანთან ლამაზი კვლები გაეკეთებინათ. და შიგ საუცხოო ჯიშის ვარდები ჩაერგათ. მზრუნველ ხელს ვაზიც არ დავიწყებოდა; შავითას ხეივანს თითქმის მთელი სივრცე დაეფარა.

ივეტა თანაბარი, გამოზომილი ნაბიჯებით მიუძლოდა სტუმრებს.

მარმარილოს კიბეები ისე აიარეს, ხმა არავის ამოუღია.

ოთახში რომ შევიდნენ, სიჩუმე ისევ მასპინძელმა დაარღვია.

— ხატზე შემოდელი დავიფიცო, რომ პირველად გხედავთ, მაგრამ დღემართა უწყის რატომ მოგენდეთ ასე უცებ... ძალიც კი შევამწყვდიე. აქ ქალაქის დასასრულია, ხომ შეიტყუებ...
— დამშვიდდით ქალბატონო, — მიუხედა ნათქვამს რეზო გელაშვილი, — ამ მხრივ თქვენ საშიშროება არ მოგვლით, ჩვენ მილიციიდან ვართ.

— მილიციიდან? — ქალი თითქმის შეკრთა, ჩანდა ხვდებოდა, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნებული არ იყო.

— უფრო ზუსტად, სისხლის სამართლის სამძებ-



ენი არსენაშვილი

მოთხრობა

რო განყოფილებიდან, — დაუმატა ბონდო მისამდვილმა და პირადობის მოწმობა გაუწოდა ქალს.

— გასაგებია, — თავისთვის ჩაილაპარაკა ივეტამ, წელში გაიმართა და სხივჩამქარალი, უძილო თვალებით მიაჩერდა მაიორს, — მივხვდი თქვენს სტუმრობის მიზეზს.

— რა თქვით? — გაოცდა გელაშვილი.

— მივხვდი-მეთქი, — გაიმეორა ქალმა და მოწყვეტილი ჩაეშვა სავარძელში, — საცოდავი მათე, — სახე ხელებით დაიფარა და ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა, — იქნებ ყველაფერი სიზმარია და სადაცაა დამთავრდება...

— თუ მათე მართლა თქვენი ახლობელი იყო... — დაიწყო გელაშვილმა.

— როგორ თუ ახლობელი, — არ აცალა სიტყვის დამთავრება ივეტამ, — მათე ჩემი ქმარი იყო...

— მით უკეთესი, — წამოიძახა ბონდომ, მაგრამ ქალის სველ თვალებს წააწყდა და აზრი გაუწყდა. ქალი მიუხედა.

— ნუ მეზობლებით, ძალიან კარგად ვიცი, ახლა ტირილის დრო არ არის.

— ჩვენ გვითხრეს მათე კენჭაძეს ცოლი არა ჰყავდაო, — განაგრძობდა ბონდო.

— გეტყვოდნენ. მათეს მეზობლები ფალიაშვილის ქუჩაზე თავის მხრივ მართალნი არიან. თუმცა, ეგ ცოტა უფრო გრძელი ამბავია.

— რითი შევიძლიათ დამტყიცოთ, რომ თქვენ მისი ცოლი იყავით? — ახლა რეზო გელაშვილი თხოულობდა პასუხს.

— იქნებ ისიც გგონიათ მისი მემკვიდრეობის სურვილი მალაპარაკებს. არა, სულაც არ მეშინიან, რომ წამართმევენ რამეს. აქ ყველაფერი, უბრალო კენჭიც კი ჩემს სახელზეა გაფორმებული. მათეს ქონებიდან კი კაპიციც არ მინდა; რაც მაქვს, ესეც მეყოფა... იქნებ გიკვიროთ, რომ ძაძები არ მაკვია... თუ გნებათ ქორწინების მოწმობასაც გიჩვენებთ.

აქ კი ველარ შეიკავა თავი, სავარძელზე დაეარდა, სახე მკლავებში ჩარგო და ხმამაღალი ტირილისაგან მხრები ნერვიულად აუცახცახდა.

ზღვისპირა კაფეში მუდამ ხალხმრავლობა იყო. ახალგაზრდა, ტანწერწერა ოფიციალტი ქალი, ივეტას რომ ეძახდნენ, ლომილით მიმოდიოდა მაგიდებს შორის და თავაზიანად ემსახურებოდა ყველას. ზღვაზე ჩამოსულ სტუმრებსა, თუ ამ პატარა ქალაქის მკვიდრთ, მოსწონდათ ეს მომხიბლავი, უღალატო მიმტანი და სულ იმას ცდილობდნენ მის მაგიდასთან მოხვედრილიყვნენ.

შეზინდებოდა თუ არა, კაფე ახალგაზრდებით ივსებოდა. ყველაზე ხშირად აქ წყვილები მოდიოდნენ, გვიანობამდე ისხდნენ ზღვის პირას, სვენებ-სვენებში წრუტავდნენ სასმელს და როცა ძარღვებში სისხლი შეუთებებოდათ, ხელგადახვეულები, ბანცალ-ბანცალით მიუყვებოდნენ სანაპიროს.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე და ივეტამ ვერც შენიშნა როგორ გაეპარა წლები თვლსა და ხელს შუა, როგორ განელდა ძველებური ცეცხლი გულში და მიინავლა.

იმ წელიწადს წვიმიანი სეზონი იდგა. ზოგჯერ ისე ჩამოთავდებოდა დღე, რომ კაფეში მხოლოდ შემთხვევით გავლილი მგზავრი თუ შემოიხედავდა.

იმ ხანებში კაფეს ერთი უცნაური სტუმარი შენიოეჩვია. დაუდევრად ეცვა და ტანსაცმელი ისე დაკუმუჭვნილი ჰქონდა, იფიქრებდი გაუხდელად ეძინაო. შეუკეთავდა კონიასა და მსუბუქ საუზმეს, და იჯდა გაუნძრევლად. როცა ზღვას ბინდი გადაეკეროდა, მამინ ადგებოდა მხოლოდ და წყნარი ნაბიჯით გაუყვებოდა ქუჩას.

ივეტას ძველი მეზღვაური ეგონა, მაგრამ ერთმა რამემ გააოცა. იმ კაცს რამდენიც უნდა დაეხარჯა, ოცდახუთმანეთიანს ამოიღებდა ჯიბიდან და ხურდაზე უარს ამბობდა.

„ნეტავ ვინ არის“, ფიქრობდა ქალი და სურვილი ახრჩობდა ჩქარა ამოეტეო ეს საიდუმლო.

დაბარებულვიით ელოდა ხოლმე ყოველდღე ივეტა ამ კაცს.

მაგრამ მთელი კვირა გავიდა და უცნობი აღარ გამოჩენილა, ივეტამ იფიქრა: ალბათ საბოლოოდ წავიდა ამ ქალაქიდანო და თვითონაც ვერ მიხვდა რატომ დასწყდა გული. როცა მისგან ამოჩემებულ მაგიდას ჩაუვლიდა, უნებურად გაახსენდებოდა ხოლმე იგი და ანგარიშიუცემლად, უაზროდ გაეღიმებოდა.

ერთ საღამოს კაფეში ივეტამ კვლავ შენიშნა ის კაცი. უცნაურად შეუქანდა გული, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია და უმალ მასთან გაჩნდა.

უცნობმა ჩვეულებრივ შეკვეთა მისცა და თავის ფიქრებში ჩაიძირა.

დიდხანს იჯდა. როდის-როდის იგრძნო უცნობმა, რომ კაფეში მის მეტი აღარავინ იყო. წამოდგა. უღაზთოდ და უგემოვნოდ ეცვა. ფეხსაცმელსა და შარვლის ტრეტებზე ტალახი შეხმობოდა, რაც იმას მოწმობდა, რომ მარტოხელა კაცი უღარდელა და უნიათო იყო.

როგორც იყო, წამოდგა, და მიმტანს კვლავ ოცდახუთიანი გაუწოდა. ხურდაზე ისევ უარი თქვა.

— ერთი ასეთი მდიდარი ნათესავი რომ მყოლოდა, — გაუთამამდა ქალი; კაფეში მათს ვარდა, არავინ იყო.

— რა გქვიათ? — თითქმის ქალის ნათქვამი არ გაუგონიაო, ისე ჰკითხა უცნობმა.

— ივეტა...

— მე კი მათე ვარ, მათე კენჭაძე, — და ხელი გაუწოდა...

მათემ ქალი სახლამდე მიაცილა.

სულ მალე ივეტამ კაფე მიატოვა, ერთი პატარა ოთახი და ყველაფერი რაც კი ებადა, ფულად აქცია და მათე კენჭაძეს თბილისში გამოჰყვა.

ივეტას მათე გაუკვირდა, როცა თბილისში ჩამოსული მათე სასტუმროში გაჩერდა. ერთ წამს უცნაურმა შიშვად გაუკენწლა გული.

მათემ ადგილად შეატყო ქალს დაბნევა.

— ცოტა ხანს მომიტოვინე და ყველაფერი კარგად იქნება.

ვიდრე სასტუმროს ნომრიდან გამოვიდოდნენ, მათემ დიდხანს ილაპარაკა ტელეფონით. ქალი მიხვდა, რომ ფულზე იყო დავა. მათე ვიღაცას არწმუნებდა: სახლი ქალაქიდან შორს არის, ბინა შეკეთებას მოითხოვს და ალბათ ამაზე კარგ ფასს არავინ მოგცემსო.

მერე ყურმილი დადო და ივეტას მიუბრუნდა.

— ახლა ქალაქში გავიაროთ, იქნებ მუქთად არიგებენ რამეს — და თავის წიტიყვებზე თვითონვე გაეცინა.

...სულ მალე მათემ გარეუბანში ავტორით ნაგები ორსართულიანი სახლი იყიდა, ივეტას სახელზე გააფორმა და ძვირფასი ავეჯით მოაწყო.

პირველ ხანებში ქალს გულში უცნაური შიში შეეპარებოდა ხოლმე — ვერ ხვდებოდა საიდან უნ-

* იხ. „დროშა“, № 11, 12, 2.

ქაქ. სსრ კ. მარქსის
სა. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

და ჰქონდა მათეს ამდენი ფული. მერე მიხვდა რაღაცას, უფრო იმის შემდეგ, როცა გაიგო, რომ მათეს ერთოთხიანი ღარიბული ბინა ჰქონდა ფალიაშვილის ქუჩაზე. თუმცა ქალმა კარგად იცოდა, მათე იშვიათად ათევდა ღამეს იმ ჭურღმულში, სადაც პარკში იყო ვაფორმებული უბრალო მებღელე, მაგრამ ვის მოუვიდოდა ახრად, რომ ეს წყნარი კაცი, მუდამ ჩამოძონძილ-ჩამოფლეთილი რომ დააბოტებდა, ესოდენ დიდძალი სიმდიდრის პატრონი იყო.

პარკი მარტოოდნე თვეშესაფარი იყო მათესათვის. მისი ნამდვილი ცხოვრება გარეუბანში მიმდინარეობდა.

შაბათ-კვირას მისი კარმიდამო მხიარული მამაკაცებით ივსებოდა; ივეტა პირველად შიშითა და მოკრძალებით ხედებოდა მათ, მერე კი ყველას მიეჩევა და გამარჯვებულად დასასხლისის როლი იტარა.

სუფრის მერე კარტის თამაში იწყებოდა. მაგიდასთან მსხდომი ადამიანები, წელან მხიარულად რომ იყვნენ, ახლა შიშით შესტკერონდნენ ერთმანეთს. სახეები ნერვიულად უთრთოდნენ. შუაში ფულის გროვა იდგა.

მათე კენჭაძე ყველას მბრძანებელი იყო, და ყველაზე ხშირად ის იგებდა ფულს.

ივეტა გაჩუმდა, სიბნელეშემოპარულ ფანჯრებს გახედა და მიხვდა რა დიდი დრო გასულიყო. მშვიდად წამოიღო, ელექტროჩამრთველი გადაატრიალა და სინათლემ ერთბაშად გაანათა ოთახი.

— ახლა ის გვითხარით ქალბატონო, — დაიწყო მისაშვილმა, — იმ თქვენი სტუმრებიდან ვკვირხომ არავისზე გაქვთ, ვის შეიძლება და მოეკლა მათე?

— როგორ ვითხარით, მე მათ წესიერადაც არ ვიცნობ. ბევრისა არც სახელი ვიცი და არც გვარი. ისინი ჩემთვის ერთი ღამის სტუმრები იყვნენ...

— არც ერთი მათგანი არ გახსოვთ? — შეეკითხა მათე.

ქალი უეცრად წამოწითლდა. — იცით, რა? — რაღაც მღელვარებით დაიწყო მან, — ერთი მათგანი, როსტომს ეძახოდნენ სახელად, მუდამ უცნაური თვლით მიჰქეცოდა. როგორც კი შეამჩნევდა, მათე ახლოს არ არისო, ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ვუყვარვარ, რომ უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლია. მე ვაგონებაც არ მინდოდა. ქმრისთვის არც გამომხეცია ეს ამბავი.

— გვარი არ გახსოვთ?
— არ უთქვამს. აქ ასე საიდუმლოდ ინახავდნენ ყველაფერს.

მათე მიხვდა, რომ ქალი გულწრფელად ლაპარაკობდა.

— ახლა რას აპირებთ, — მოულოდნელად შეუბრუნა კითხვა მისაშვილმა.

— სიმართლე ვითხარით, მეც არ ვიცი, ნაცნობი კი არა ვინ ვიყავი, — მერე ცოტახანს ჩაფიქრდა და განაგრძო, — გავყიდი აქაურობას, ქალაქის ცენტრში ერთოთხიანი ბინას შევიძინე, სამუშაოსაც მოვიძებნი და ასე ვიქნები სიკვდილამდე.

— რატომ ხართ ასე დაწმუნებული, რომ მთელი ეს სიმდიდრე შეგარჩებათ? — ვერ მოითმინა გელაშვილმა.

— როგორ თუ რატომ? ამ ბინაში მათესი არაფერია.

— თქვენივე ნაშობი მანც ვაგონებთ? ჩაურთო მისაშვილმა.

— არა, მათე, ვაგონებდა არაფერს შეცვლის: მე და მათეს ხელი არ გვაქვს მოწერილი. უფრო მეტიც, ოფიციალურ ცოლ-ქმრად, კანონისათვის რომ გამოვადგინო, არსად ვაგონებულვართ და საერთოდ მისი სახელი ამ ბინაში უბრალოდაც არ არის სადმე ნახსენები. იმ კაცმა ყველაფერი საჩუქრად დამიტოვა და კარგად ვიცი ამ საჩუქრის ვერაფერს წამართმევს.

— ახლა კი მივხვდი.
— მიხვდით, არა? — წამოიძახა ქალმა, — აი,

მე ძაბებიც კი არ მაკვია... — ამ სიტყვებზე კვლავ ქეთინი აუტყდა.

— ძლივს არ გამოჩნდით! — გახარებული შეგება გაბო შარაშიძე ბონდო მისაშვილსა და რეზო გელაშვილს, — გუშინდელს აქეთ თავქუდმოვლელი დავიძებო.

— მოხდა რამე? — დინჯათ ჩაეკითხა მათი.

— შარაშიძემ აქეთ-იქით მიმოიხედა.

— კინტი არავისთან დამიძრავს, პირველად თქვენ გუვებნებით...

— გამაგებინე რა მოხდა? — მათე მოუთმენლობამ შეიპყრა.

— ვაქის პარკში მკვლელობის მცდელობა იყო, — დაიწყო გაბომ, — მერე იცით, ვის ესროლეს? კენჭის განუყრელ ძმაცაქს. ამას წინათ ვითხარით კიდეც, წინ რომ შემხვდეს, ვიცნობ ამ მებღელეს, მაგრამ სახელი და გვარი არ ვიცი-მეთქი. მათესთან ის ხშირად მინახავს.

— გამახსენდა. მერე?
— ვერ მოკვლეს, მაგრამ საცოდავი მძიმედ კი დაიჭრა. საავადმყოფოში წაიყვანეს. მოგახსენებ, სახელი და გვარი ვაგიგე... იქნებ ახლა მანც გამოჩნდეს მკვლელის ასავალ-დასავალი!

— თავდასხმელი რა იქნა? — ვერ მოითმინა რეზო გელაშვილმა.

— გაიქცა, მაგრამ ამბობენ სამსონს უცნიაო. იმ მებღელს სამსონი ჰქვია. გვარად ჭილაშვილია. ისიც მათესავით მარტოხელა კაცა ყოფილა. მილციში ყველაფერს გეტყვიან...

მილიციის განყოფილებაში ბონდოს უკვე შინაურულად შეხვდნენ და ყველაფერი უამბეს. დაზარალებული, როგორც გაბომაც თქვა, ვაქის პარკის მებღელ აღმოჩნდა. ვინმე სამსონ ჭილაშვილი. ხალხი ბევრი იყო, მაგრამ ვერავინ ვიპოვეთ რომ ჩვენება მოეცათ, ყველა უარზე იყო, არავერი

დაინახავს. საავადმყოფოს მივამურეთ, ექიმებს დაპირისპირების მკერდიდან ნაგანის ტყვია ამოვლოთ, სიკვდილს კი ვადაარჩინეს, მაგრამ ჭრჭერობით მისი დაკითხვა არ შეიძლება. ეს კი არის, როცა გონს მოვიდა, თურმე მარტო ეს თქვა: „მანც ვადაინახე, ძალო, არა? თუ ვადავრჩი, მერე სად წახვალ, ჩაჩანო!“ — და ტირილი დაიწყო.

— ეს ჩაჩანო, ალბათ, მკვლელის სახელია ან მეტსახელი!

— ჩანს ასე. მერე ხმა აღარ ამოუღია.

— მაშ ასე, — თქვა მისაშვილმა, — შუბლიდან ოვლი მოიწმინდა და ფეხზე წამოიღო, — პირველად კენჭაძე მოკვლეს, იატაკქვეშელი მილიონერი,

ვალუტით მოვაჭრე და გაქნილი კომბინატორი. ახლა თავს დაუსხნენ სამსონ ჭილაშვილს, მოკვლელის უახლოეს მეგობარს, ბედზე იგი ვადაჩა. მკვლელობა ორივე შემთხვევაში ნაგანის სისტემის რევოლვერი იხმარა. ესეც რაღაცას ნიშნავს. მთავარი კი ისაა, რომ კენჭაძის ჯიბეში აღმოჩნდა ბარათი, რომელსაც ვინმე ჩაჩანო აწერს ხელს. ბარათი პატიოსანი კაცის დაწერილი არა ჩანს. ახლა სწორედ ეს სახელი უხსენებია ჭილაშვილს. მე მგონი, ანგარიშგასაწევი დეტალებია.

სიხუმრე ჩამოვარდა. ბოლოს ისევ მისაშვილმა იკითხა:

— როგორ ფიქრობთ, როდის შეძლებს ჭილაშვილი ჩვენების მიცემას?

— ამას ალბათ ექიმები გეტყვიან, მაგრამ გასაუბრება შეიძლება ხვალაც მოვაწყვით, — უპასუხა თბილისელმა კოლეგამ.

— კარგია, — თქვა მისაშვილმა — იცით, რას გეტყვიან? მოდი, მანამდე კიდევ ერთხელ წავიდეთ პარკში, მებღელთა საყუქნაოები დავათვალიეროთ.

— კეთილი, — დაეთანხმა თბილისელი კაპიტანი. გარეთ კარგი ამინდი იდგა და მეგობრებმა ფეხით არჩიეს გავლა. პარკისკენ უკვე დაძრულიყო ხალხი.

მათე კენჭაძესა და სამსონ ჭილაშვილს საერთო საყუქნაო აღმოაჩნდათ. უფანჯრო სათავსოში დახუთული პაერი იდგა. ბნელია. რეზომ, როგორც იყო, მთავრო ელექტროჩამრთველს და როცა იქაურობა განათდა, ყველანი ერთად მიაწყნდნენ უცნაურ ბუდრუგანას.

გაზეთგადაფარებულ ფიცარზე კონსერვის დაცლილი ყუთები, ცარიელი ბოთლები და შორიანი ჩამ-ჭურჭელი ელავა. აქეთ-იქიდან მოზრდილი ქვეები იყო ჩამწყვრივებული. თითოეულ მათგანზე თავისუფლად ჩამოვდებოდა ადამიანი.

— პატიოსანი კაცი აქ პურის საჭმელად არ შემოვა, — სიხუმრე დაარღვია თბილისელმა კაპიტანმა.

— კაცს თითქმის მილიონი ჯიბეში ედოს, ზღაპრულ ბანკეტებს აწყობდეს და მეორე დღეს ამ სორში მიძვრებოდეს, ეს მარტოაც ძნელი ასახსენელია! — უპასუხა მისაშვილმა.

— იმათაც თავისი კონსპირაცია აქვთ, — ჩაურთო გელაშვილმა.

ბონდომ ერთხელ კიდევ შეათვალიერა პაპირისისაგან გამურულ-გაჭვარტული კედლები და კუთხეში მივლებულ ძველებურ სკივრს დააღა თვალი. მაიორმა იგი გამოსწია და იატაკზე პირქვე მოაქცია.

რეზო გელაშვილმა ფრთხილად ასწია ყუთი და ვალმოყრილი ხარახურისა და ნივთების გადარჩევას შეუდგა. ყუთში ნახმარი ტანსაცმლის ქვეშ მორფისა და ანაშას საკმაოდ დიდი მარაგი იყო ვადა-მალული.

იქვე თბილისის ტელეფონების წიგნიც ეგდო. მისაშვილმა ყველაზე ადრე მას დასტაცა ხელი. თბილისელი კაპიტანი ვერ მიხვდა, რათ უნდოდა მაიორს ნახევარდახეული წიგნი, მაგრამ არაფერი უთქვამს. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამ წიგნს ის 215-ე გვერდი აკლდა, რომელიც მოკვლულ მათე კენჭაძეს აღმოაჩნდა ჯიბეში.

ექიმი-ქალი დიდხანს ყოყმანობდა, მილიციის მუშაების დაინებულ თხოვნაზე იგი გაკვირვებით შლიდა ხელებს და ვერაფერი გადაწყვიტა.

— არ შემიძლია, ბატონო, არა! — ვინ იცის მერამდნელ ეუბნებოდა ცისფერფალაბა ახალგაზრდა ქალი ბონდო მისაშვილს, — თქვენ, კანონის დამცველებს, თვითონ გინდათ დაარღვიოთ კანონი? ავადმყოფი კაცის დაკითხვა და ისიც ახლად ოპერაციავადატანისისა... ვანა ეს შეიძლება?

— დაკითხვას არ ვაპირებთ, ქალბატონო, მარტო ორ სიტყვას გეტყვით ჭილაშვილს.

— ოპერაცია ძალიან მძიმე იყო, — დაიწყო ქალმა...

— არც ჩვენი ოპერაციები გახლავთ იოლი, ქალ-



ბერიონ ვოლოკოვიჩი
იუგოსლავია

საიდუმლო მღვმური

ცნობილი თეატრის ასევე ცნობილი რეჟისორმა გრანჩმა, რომელიც მანქანისათვის ფულს აგროვებდა, გადაწყვიტა თავისი ფართო ბინიდან ერთი ოთახი გაეჭირებინა და გაუთიხა განცხადება მოათავსა.

მეორე დღეს რეჟისორის ბინაზე დარეკეს.
— ოთახს აჭირავებთ?
— დიახ.
— ქირა რამდენი გნებავთ?
— ოთახსი დინარი. ამაში შედის აბაჯანი, სინათლე, კანალიზაცია...

— აბაჯანი, სინათლე და კანალიზაცია მე არ მინტერესებს. თვეში ხუთას დინარს გადაგიხდით, მხოლოდ ერთი პირობით: არცერთი თქვენგანი, ჩემი აქ არ უფუნის დროს, იმ ოთახში არ უნდა შევიდეს.

თვენახევრის შემდეგ რეჟისორს ცოლმა უთხრა:
— იცი, ის ჩვენი მღვმური ვიღაც ხაჭაპოვი კაცი უნდა იყოს. ხუთასი დინარი ჩამოთვალა, მერე რაღაც ქაღალდები შეიტანა ოთახში. მალევე გამოტრიალდა. დაჯექდა და მერე აღარ გამოჩენილა. ორი კვირის წინ ისევე მოვიდა, ფული გადაიხადა და ისე, რომ ოთახში არცკი შეუხებდავს, სადღაც გააქრა...

— ცხადია, უცნაური ამბავია.
...გავიდა კიდევ ერთი თვე. რეჟისორმა და მისმა ცოლმა გადაწყვიტეს შეეჭვივებინათ მინც საიდუმლო მღვმურის ოთახის ჭურჭურჭანში.

— ეს დაწყველილი ჭურჭურჭანა ისე ვიწრო... მოიცა, მოიცა, შუა ოთახში იატაკზე მუყაოს უდაში რაღაც ქაღალდებია, — წარმოსთვია ცოლმა.

— მერე არაფერი? — მეზობელთან მიდი, ზენკალი რომ არის და სთხოვე კარის გაღებაში მოგვეხმაროს.

— მაგრამ, ჩვენ ხომ შეგვირდით, ოთახში არ შევალთო.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! სულაც არ მინდა, რაღაც ხათბალაში გავებო...

ნახევარ საათში კლიტი გატეხეს. ცოლმა ზენკალი გააცილა და თითქმის ერთ საათს შეაგვიანდა მეზობლებთან. როდესაც დაბრუნდა, რეჟისორის ხმადავან ხარხარი შემოესმა. ოგი რაღაც ხელნაწერს კითხულობდა.

— რა მოხდა?

— შენ ვერ წარმოიდგენ, რა შესანიშნავი კომედია აღმოვაჩინე იმ საქაღალდეში. ახლა კი ეშველა ჩვენს თეატრს. რაღაც სისულელეებს რომ ვდგამდით, მაყურებელი სულ ჩამოვცვალა. კაცი აღარ დაიარებოდა ჩვენს იდიოტურ სპექტაკლებზე. ახლა კი ბედმა გავვიდინა... მოიცა, მოიცა... ეს რა კონვერტი გამოვიარდა ხელნაწერისა?

„იღვალე პატრიარქის რეჟისორი მე ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ვერ შეიკავებდით თავს, რომ ჩემს ოთახში არ შეგხედდით. დარწმუნებული ვარ, ჩემი კომედია მოგეწონებოდა. მაგრამ მე სხვა საშუალება არ გამაჩნდა, შეიძლებინეთ, ეს ნაწარმოები წაგვეთხათ. თანახმა ვარ, დაიდგას ჩემი კომედია თქვენს თეატრში, მხოლოდ ერთი პირობით, თუ მომცემთ ჰონორარს 1000 დინარის რაოდენობით; ეს ის თანხაა, რომელიც ოთახისათვის გადაგიხადებოდა.“

თარგმანი შ. ამირხანაშვილმა

ბატონო, — ჩაუტრა სიტყვა მისაშვილმა, — ჩვენთანაც წამებდაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს... თორემ გასხლტება მკვლელები და მერე, მშვიდობით...

— ყველას მინც ვერ შეგიშვებთ პალატაში, ექთანს გამოვავხანვი და ერთ ხალათს გამოვატან, — როგორც იყო გადაწყვიტა ქალმა.

მისაშვილმა ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო, ექიმმა კარები მოხურა და მეგობრები დერეფანში დატოვა.

...წინა დღეს, საავადმყოფოში დილაღრიან მისულ თბილისელ კაპიტანს ექიმმა ჰილაშვილის ჯიბეში აღმოჩენილი ფული და საბუთები გადასცა. თანხა საკმაოდ დიდი იყო, ათას ორას ორმოცდაათი მანეთი, და ცხადია, იგი სამართლიან ექვს ბადებდა. საიდან უნდა ჰქონოდა მებღალეს ამდენი თანხა? რატომ დაატარებდა ჯიბით, ვის უმაღავდა, თუ უნახავდა ამდენ ფულს? ამის შესახებ რვეულის გაცვეთილ ფურცელზე მიჯღანებული აბდაუბდა მინაწერებიდან ვერაფერი ამოიკითხეს. ერთი რამ კი მინც იყო საინტერესო ამ ფურცელში. ტელეფონის ნომრის გასწვრივ კვლავ ნაცნობი სახელი იყო მიწერილი — ჩაჩანო.

— ისევ ჩაჩანო! — ხმაძალა სთქვა რეზო გელაშვილმა და მაიორს შეხედა. ბონდოს ხმა არ ამოუღია. უფრო სწორედ არაფერი გაუგია. იგი ყურადღებით ათვალეირებდა ჰილაშვილის ჯიბეში აღმოჩენილ გასაღებებს.

— აქედან ერთმა შეიძლება მათე კენჭაძის ბინაც კი გააღოს. აი, ეს გასაღები ძალიან მენიშნება, — როგორც იყო გაბუდა მაიორმა.

— მიიხვები რის თქმაც გინდა, — რეზო გაფართოებული თვალებით მიაჩერდა მაიორს, — მაშ ალბათ სამსონი იყო იმ ღამეს შესული მათეს ბინაში, — მერე ხელები იტაცა თავზე, — მაკალეთ, ერთი, თუ ხალხი ხართ, მაკალეთ დავიჭრება. რა გამოდის? ნუთუ ნამდვილად მივაგენით კვალს? ახლაც გავიქცევი ფალიაშვილის ქუჩაზე, მე თვითონ უნდა შევამოწმო, ალბათ თუ არა ეს გასაღები მათეს ოთახს.

გასაღები ნამდვილად მოერგო კენჭაძის ბინას. ახლა კი დაეტყო მოუთმენლობა ბონდო მისაშვილსაც და ჰილაშვილთან შეხვედრა გადაწყვიტა.

და აი, უკვე დერეფანში იცლიან. როგორც იყო, ექთანიც გამოჩნდა.

ბონდომ თეთრი ხალათი მოიხურა და ექიმს პალატაში შეჰყვა. ქათქათა საწოლზე თვალბამოღამებული კაცი იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ნატანჯი სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული, პირი უშრებოდა, ხშირად ისველებდა ტუჩებს.

— მთელი ოპერაცია ისე გადაიტანა, ერთხელაც არ დაუკენესია, — ღიმილით შეაქო ექიმმა ავადმყოფი.

— ეს რა არის, ექიმო, — ავადმყოფს ყვიანახველიანივით ხრინწიანი ხმა ჰქონდა, — ომში სამკერდავიც ვიყავი. ერთხელ ოპერაცია უნარკოზოდ გამიკეთეს... ქირურგი გაცოცხლები იყო, კაცი კი არა, რკინა ყოფილხარო! — გაიღმა, ჩაშავებული კბილები გამოაჩინა და ამაყად გადახედა იქ მყოფებს.

— ოპო, თქვენ უკვე კარგად ლაპარაკობთ, შეიძლება არც გამინაწყენდეთ, სტუმარი რომ მოგეყვანეთ.

— სტუმარი? — გაცოცხლები შეხედა ჰილაშვილმა, — მოსული ვერ იცნო.

ექიმმა ბოდიში მოიხადა და პალატიდან გავიდა.

— დამნაშავე უკვე დავაპატიმრეთ, — ავადმყოფისათვის სრულიად მოულოდნელად თქვა ბონდომ და ჰილაშვილს მიაჩერდა.

— დააპატიმრეთ? — აენთო ავადმყოფი და წამოჭლოდა სცალა.

— დაწყნარდით, — წამოდგა ფეხზე მისაშვილი. ავადმყოფი მიხვდა: ეს წარმოსადგევი კაცი, თეთრი ხალათი დაუდევრად რომ წამოვგდო მხრებზე, მილიციიდან იყო მოსული. მიხვდა და სახე აუჭარხლდა.

— პირველად უარობდა ჩაჩანო, მაგრამ მალე გამოტყდა, — განაცხობდა ბონდო და თან ავადმყოფს უცქეროდა.

— უარობდა?! — ნერვიულად შეტოკდა ჰილაშვილი. ცოტახანს გაჩუმდა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო და მისაშვილს შეხედა; — მერე, ვინ ადანაშაულებს ჩაჩანოს?

მაიორი შეაკრთო ბოლო სიტყვებმა, ცუდის მომასწავებლად ეჩვენა.

— მე თქვენ არაფერს არ გიმალავთ, — ბონდო გრძნობდა როგორ იძაბებოდა ავადმყოფის გონება, როგორ თრთოლდნენ ფერდაკარგული მისი ტუჩები, — იცოდეთ, რომ გამოძიებისათვის ყველაფერი ცნობილია. ახლა ალბათ მოვლენ თქვენთან დამნაშავეს მოციქულები, ათას რამეს დაგპირდებიან... აღარ გირჩევ მაგათ ამქარში გაერიო, — განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბონდომ ბოლო სიტყვებს, — გეყოფა რა ხათბალაშიაც გაგხვიოს. ამ საქმეს მე ვიკვლევ და კაცურ სიტყვას გაძღვე, თუ გულახდილი იქნები, ბევრ რამეში დაგეხმარები.

— არ ვიცი რით შემიძლია დაგეხმაროთ. ერთი საწყალი, უბედური კაცი ვარ, ვილაცხს ჩემი მოკვლა უნდოდა და ბედს მქონია, გადავრჩი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლულულუღებდა ავადმყოფი და მისაშვილი ხედებოდა, რომ იგი გულწრფელი არ იყო.

— როგორც გინდა, მაგრამ იცოდეთ, ჩვენ უკვე ყველაფერი ვიცით, ჩაჩანო პირველსავე დაკითხვაზე გამოტყდა. ჰკვიანი ყოფილა, იცის, რომ გულწრფელი აღიარება სასჯელს ამსუბუქებს.

— გამოტყდა? რაში გამოტყდა? — მოუთმენლად იკითხა ავადმყოფმა.

ბონდომ სულის მოთქმა აცალა.

— ყველაფერში... ზოგი რამ შენც გადმოგაბრალა. მათეს სიკვდილშიც ურევია მაგისი ხელიო.

— იმ უბედურს მინც დაეხსნას ეგ უნამუსო! — ვეღარ მოითმინა ჰილაშვილმა.

— გასაღებიც სამსონს აქვს და ღამ-ღამე მათეს ბინაში დაძვრებაო, — არ ეშვებოდა ბონდო.

— ოხ, ეგ ძაღლისშვილი, — შეიგინა ავადმყოფმა და მუქარასაც აღარ მოერიდა, — მაკალოს ერთი ფეხზე წამოდგომა!

მისაშვილი მიხვდა, რომ საიდუმლოს ოდნავ აეხადა ფარდა, მერე ლაპარაკი აღარაფერს მოიტანდა.

— ახლა კი დაწყნარდით... გამოჯანმრთელებით და ყველაფერი გაირკვევა. მე მარტო იმისათვის მოვედი თქვენთვის რჩევა მომიცა. როგორც კი წამოდგები, ყველაფერი გულახდილად უნდა გვითხრა. ეგებ შესძლო და ამ დღეებში ნელნელა ჩვენებაც დაწერო. ვეტყვი ექიმს და რვეულს შემოგიტანენ. მხოლოდ არ დაგაფიყდეს, გულწრფელი აღიარება ძალიან მოგეხმარება.



ავადმყოფს ხმა აღარ ამოუღია. ეს კარგად ენიშნა ბონდოს და თავისთვის გაიფიქრა: „ამ კაცმა ბევრი რამ იცის. თუ ავალაპარაკე, დანაშაული სულ ადვილად გაიხსნება“.

ვიდრე პალატას დატოვებდა საწოლთან დაიხარა და ავადმყოფს ჩურჩულით უთხრა.

— იცოდეთ, ჩვენი შეხვედრა საიდუმლოდ უნდა დარჩეს! ესეც შენთვისაა საჭირო.

მაიორი კმაყოფილი გამოვიდა საავადმყოფოდან არც ელოდა საქმის ამგვარ შემობრუნებას და გახარებული იყო. მეგობრები ქუჩაში უცდიდნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



მხიარული განწყობილება.

ლია ხორბალაძე.



კონცერტი დაიწყო.



მარტო ერთი ბიჭი...

ერთი საინტერესო ორკესტრი ჰყავდათ თბილისის პიონერთა სასახლეში; ორკესტრში ერთთავად პატარა ბიჭები იყვნენ გაერთიანებულნი, გოგონებს მარტო სოლისტებად იწვევდნენ. ერთხელ, შესვენების დროს ბიჭებმა ინსტრუმენტები თავთავის ადგილებზე დააწყეს და გარეთ გავიდნენ. გოგონებმა ცელქობა დაიწყეს, მიუსხდნენ ინსტრუმენტებს, ერთმა გიტარას ჩასტაცა ხელი, მეორემ — დასარტყმელ ინსტრუმენტს, მესამემ — ელექტროკლავიშებიანი იონიკას, მეოთხე — ფორტეპიანოს მიუჭდა, აქაო და განა ჩვენ კი არ შეგვიძლიაო, ხუმრობა-ხუმრობაში ეშხში შევიდნენ, მოეწონათ ეს საქმე, მოეწონათ მასწავლებლებსაც, ამ ამბის უნებური მოწმენი რომ შეიქმნენ; აი ასე დაიბადა ორკესტრი, რომელიც მთლიანად პატარა გოგონებისაგან შედგება.

გულისხმიერად მოჰკიდეს ამ ახალ წამოწყებას ხელი სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილება. გამგემ ერნა თოდუამ, მუსიკალურმა ხელმძღვანელმა კომპოზიტორმა გ. ბზვანელმა, ამ ორკესტრის უშუალო ხელმძღვანელმა მუსიკოსმა რაფაელ კაზარაძემ. რაფაელმა ჯულდასმით შეარჩია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული გოგონები, ზაფხულში დუშეთს წაიყვანა, პიონერთა ბანაკში... მეცადინეობას განაგრძობდნენ იქაც. ახლა გოგონები უკრავენ, თვითონვე ცეკვავენ, ინსტრუმენტებზე ერთიმეორეს სცვლიან.

ასე წარმატებით მუშაობს პიონერული ორკესტრი „მზიური“.

ვუსურგლოთ ამ ნორჩ კოლექტივს ახალი შემოქმედებითი წარმატებანი!



მამე ტვირთი.


ასე იზაფიან მრავალსწრაფი

თამარიკო ხორავა.

ფოტო
გ. კიკვიძისა
და
ა. რუხაძისა



მარინე მასხუღია
და
ხათუნა დონდუა



უკანასკნელი, შარშანდელი სეზონი თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართათვის კარგ სათავგადასავლო ფილმს ჰგავდა. თბილისელები ისე თამაშობდნენ, რომ მათი მატჩების შედეგების წინასწარ გამოცნობა ყოვლად შეუძლებელი გახდა. არა, წინათაც ყოფილა დრო, როდესაც ისინი „მდიდარს ართმევდნენ, ღარიბს აძლევდნენ“. მაგრამ გულშემატკივართა ახალთაობას არც 0:4 ახსოვს თბილისში და არც 0:6 მოსკოვში. წაგებებს რომ წაგებები მოჰყოლოდა, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ჩავარდნას გუნდის აშკარა სისუსტით ახსნიდნენ. მაგრამ ამ წაგებებიან ერთად ზოგჯერ დინამოელები ისე კარგად თამაშობდნენ (ხშირ შემთხვევაში სხვის მოედნებზე), რომ გულშემატკივრებს ღრმა საგონებელში ავდებდნენ. უფრო გამოცდილებმა იცოდნენ, რომ თაობათა ცვლის პროცესი ფეხბურთში ფრიალ მტკივნეულად მიმდინარეობს. ამ რამდენიმე წლის წინ კიეველებს საბჭოთა ფეხბურთში სერიოზული მეტოქე არ ჰყავდათ. შემდეგ კი ორი სეზონის მანძილზე მეტად უფერულად თამაშობდნენ.

უკეთეს შედეგს, 1972 წლის სეზონშივე უნდა მიაღწიონ. აღრე გაზაფხული პროგნოზების დროა. მიმომხილველები ცხარედ კამათობენ და გუნდების შესაძლებლობებს აფასებენ. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ მისი პოტენციური მეტოქეები ახლა რამდენადმე გადახალისდნენ. თქმა არ უნდა. დიდი შენაძენია კიეველთათვის შევჩვევო. იგი ჩინებულ ტანდემს შექმნის მაღალი ტექნიკის მქონე ბიშოვეცთან, გაიზრდება კიეველთა შეტევითი პოტენცია და მაინც გადაჭარბებული გვეჩვენება ცნობილ მიმომხილველ ა. გალინსკის განცხადება, 1972 წლის სეზონში საკავშირო ჩემპიონატი ოქროს მედლებისათვის არავითარ ბრძოლას არ ველო, ისინი კიეველებს დარჩებით. ამ მიმომხილველს კიდევ ერთხელ უნდა გავახსენოთ ძველი ჭეშმარიტება — წიწილებს ზამთარში კი არ ითვლიან, არამედ შემოდგომაზე. ფრიალ გადაჭარბებულია კიეველთა ახლანდელი შემადგენლობის შედარება ბრაზილიელთა „დიდ გუნდთან“...

მკველებს, როგორც კელიძე და ხინჩაგაშვილი არიან. ტრავმები, ტრავმები... ახლა, მაღლობა ღმერთს, ყველაფერი წესრიგშია და ორივე მათგანს ძალა შესწევს არა მარტო დიდად გამოადგეს თბილისის „დინამოს“, არამედ თანდათანობით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრებში თამაშზეც განაცხადოს პრეტენზია. ამ ნაკრებების კარები ხომ დახშული არ არის. რაც შეეხება თბილისელებს, მათ „დინამოს“ მწვრთნელების აზრით, რამდენიმე ვარიანტი უნდა ჰქონდეთ დაცვაში! რა სჭობია, როდესაც აქ მოძუაშვილი და ხურცილავა თამაშობენ! მაგრამ მათი დროებითი „წასვლა“ არ უნდა გახდეს ფრიალ საზარალო.

ვინ იცის თბილისელი მეკარეების ამბავი სერგო კოტრიკაძეზე უკეთ. უკანასკნელ წლებში ჩვენი მეკარეები მაინცდამაინც არ ბრწყინავდნენ. ურუშაძემ დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა, სტეფანის კი, ცხადია, აკლდა გამოცდილება; ახლა მდგომარეობა გამოსწორდა. სტეფანია თავგამოდებით ვარჯიშობდა და კარში საიმედოდ დგას. დიდ იმედებს იძლევა კოტრიკაძის მოწაფე, ჭაბუკი გაგოშიძე. დიას, მეკარეთა კრიზისის საკითხი მოიხსნა. გუნდს გარკვეული სამსახური უნდა გაუწიოს ახალგაზრდა გოგამ, რომელიც უკანასკნელ წლებში ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა. თბილისის „დინამოს“ ყოველთვის ჩინებული მეკარეები ჰყავდა, ჰყავს და, უნდა ვიფიქროთ, ეყოლება კიდევ.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ასათიანის თამაში ქებას იმსახურებდა სტამბოლიდან მეხიკომდე; და აი მოულოდნელი, ერთწლიანი პაუზა. ახლა თითქოს ისე ხდება, რომ ასათიანის სპორტული კარიერა თავიდან იწყება. მოხდა ისე, რომ ნახევარდაცვაში თითოეულ ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტია. კარგად ცნობილ ოსტატებზე არაფერს ვიტყვით. გაიზარდა უმცროსი მაჩიძე — გოჩა. შარშან ჩინებულად თამაშა მისმა ძმამ მანუჩარმა. ახლა გოჩას რიგი დადგა. ჩვენ არ გვახსოვს, რომ ბორის პაიჭაძის პროგნოზი არ ამხდარიყოს — იგი ხომ ბევრს მოელოს გოჩასთან.

თბილისელს თავდასხმით აზასხეპან

„უნდა გითხრათ, რომ თავდასხმაში მძაფრი კონკურენციაა. ითამაშებს ის, ვინც სხვებზე უკეთესი იქნება. ახლა ჩვენ სულ მცირე, ხუთი კარგი თავდასხმელი მაინც გვყავს“ — ამბობს კაჩალინი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ (1970 წ. სეზონში) თბილისელებს ოთხი თავდასხმელი ჰყავდათ: მეტრეველი, ძმები ნოდიები და გავაშელი. ამასთან, ის სეზონი თავისი გუნდის წინაშე პირნათლად ვალმოხილ მეტრეველისათვის ფაქტიურად უკანასკნელი აღმოჩნდა. შარშან 35 წლის ვეტერანი უკვე გამოეთხოვა ფეხბურთს. თქმა არ უნდა, ცოტა თავდასხმელი დავგერია. ამასთან გავაშელს, რომელსაც ოდესღაც უმარავი ბურთი ვაჰქონდა, აშკარად დაავიწყდა გზა მეტოქის კარისაკენ. მალე მწვრთნელებმა იგი უკვე ნახევარმცველად გამოიყვანეს. ამ ახალ ამბულაში გავაშელი კარგი გამოდგა, თანაც გარკვეული „აკლიმატიზაციის“ შემდეგ, კაჩალინის რწმენით, ისევ უნდა მოარგოს გასაღები მეტოქეთა კარის კლიტეს. მთელი შარშანდელი წლის მანძილზე ლევან ნოდია ვერ იყო ჩვეულ ფორმაში. არის ასეთი გამოთქმა: „უბედურება, ისე, როგორც შეცდომა, მარტო არ მოდის“. და აი, ყველაფერი დამთავრდა გუნდის უძლიერესი თავდასხმელის, გივი ნოდის მძიმე ტრავმითა და შესაბამისი „პაუზით“.

და სწორედ იმ დროს, როდესაც გუნდის ნახევარდაცვა დაზარალდა და თავდასხმაც, მდგომარეობა იხსნა ახალგაზრდებმა. ძნელი დასასახელებელია ისეთი შემთხვევა, რომ გუნდს მთლიანად შეეცვალოს თავდასხმა. თუ სეზონი დაიწყეს გავაშელმა და ძმებმა ნოდიებმა, სეზონის დასასრულს თამაშობდნენ გუცაევი, ყიფიანი და რეხვიანიშვილი.

სეზონი დასაბუღი იქნება

და აი, სათავგადასავლო ფილმი თბილისელ გულშემატკივართათვის ბედნიერად დამთავრდა. ის, რასაც კიეველებმა ორი სეზონი შესწირეს, თბილისელებმა გაცილებით უფრო იოლად დასძლიეს. მართლაც, მოსკოვში ცსკა-სთან მატჩის შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ ოქტომბერში თბილისელებს ვერცხლოს მედლების პრეტენზია ექნებოდათ, და ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოს საკმაოდ თავისუფლად დაეუფლებოდნენ! „უპ, რატომ დამთავრდა ასე მალე სეზონი, ვერცხლი ხომ სწორედ ჩვენ დაგვრჩებოდა“ — შეეძლოთ ეთქვათ თბილისელებს. ახლა ყველას ახსოვს დიდებული მოგება მოსკოვში ადგილობრივ დინამოელებთან. ეს მხოლოდ ორი ქულის მოპოვება როდი იყო, არამედ დიდი, პრინციპული გამარჯვება. როგორ გინდათ ახსნათ ისეთი მოვლენა, როდესაც ორი, დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდის შეხვედრები ყოველთვის ერთი მხარის გამარჯვებით მთავრდება. ხომ გაცილებით ალემანტიან თაყიანთი ძალით კიეველები ლენინგრადის „ზენიტს“! მაშ რატომ აგებენ მათთან თითქმის ყველა შეხვედრას? განა ისეთი რა განსხვავება იყო წლების განმავლობაში იმავე კიევის დინამოელებსა და როსტოვის არმიელებს შორის, მაგრამ ეს უკანასკნელი თითქმის უბრძოლველად თმობდნენ ყველა შეხვედრას. „ზარია“ ვისთანაც გნებავთ იგებს, თბილისის „დინამოს“ კი ვერაფერს უხერხებს. თვით თბილისელები წლების განმავლობაში ფრიალ „შემკრთალნი“ გამოიყურებიან მოსკოვის „დინამოსთან“ და როდესაც ამ მრისხანე გუნდს ჩინებული სტილით მოსკოვში სძლიეს, გულშემატკივარს საბოლოოდ მოუღება გული.

დღეს ჩვენს გუნდს არც კოტრიკაძე და ჩოხელი ჰყავს, არც იამანიძე და ბარქაია, არც მეტრეველი და მესხი. ეს ასეა, მაგრამ გუნდში მოვიდა ჩინებული ახალგაზრდობა, რომელსაც ვეტერანებთან ერთად ძალა შესწევს დაიცვას მისი სპორტული ღირსება, თამაშად იბრძოლოს მედლებისა და პრიზებისათვის.

სპორტის დამსახურებული ოსტატი კაჩალინი აცხადებს, რომ მესამე ადგილი ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ პირადად მას გუნდის ტრიუმფად არ მიაჩნია. თბილისელებს მეტი მოეთხოვებათ და ამ,

უდავოდ გაძლიერდა მოსკოვის „დინამოს“. გუნდის ერთადერთი, მაგრამ არსებითი სისუსტე ნახევარდაცვა იყო, ახლა კი ენერგიული დოლმატოვი ურიგო შენაძენი როდია. არც სწრაფ და ტექნიკურ თავდამსხმელ გერშოვიჩის უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა.

„სპარტაკი“ მოთამაშეთა დიდ ჯგუფს გამოუთხოვა. სიმონიანი მაინცდამაინც არ მისტირის მათ, თუმცა საკითხავია, შეცვლის კი კიევიდან გადაყვანილი პროხოროვი კავსაშვილს? 1970 წელს მეხიკოში ანზორი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე იყო. 1971 წელს საკმაოდ უფერულად თამაშობდა, მაგრამ განა ამის გამო საბოლოო განაჩენის დრო დადგა?! ცსკა-სა და „არარატში“ რაიმე არსებითი ცვლილება არ არის, დანარჩენ გუნდებში ბევრი სიახლეა, მაგრამ ჩვენ ხომ ახლა თბილისელთა უშუალო კონკურენტები გვიანტირესებს.

„კანონი მაცრიბა, მაგრამ მაინც კანონია“

ეს ლათინური ანდაზაც თბილისელებთან დაკავშირებით მოვიყვანეთ; საკავშირო ჩემპიონატის ახალ დებულებაში აღნიშნულია, რომ თუ გუნდი ნაკრებში ორ მოთამაშეზე მეტს მიავლენს, მისი კალენდარული მატჩი გადაიდება. ისე, რომ კიეველებს არას ავნებს ნაკრებში რუდაკოვის, ბიშოვეცის, შევჩენკოსა და მუნტიანის თამაში. როდესაც ისინი დაბრუნდებიან, კიეველებიც სწორედ მაშინ „დაიწყვიან“ სხვა გუნდებს.

დიას, მაგრამ თუ გუნდი ნაკრებში ორ ან ერთ მოთამაშეს მიავლენს, იგი ვალდებულია საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ჩაატაროს. ისე, რომ თბილისელები ხშირად ითამაშებენ მოძუაშვილისა და ხურცილავას გარეშე. რას ამბობს ამის შესახებ კაჩალინი? იგი აცხადებს, რომ გასულ სეზონში ფრიალ კმაყოფილი დარჩა ებრალიძის ფორმით, მას ძირითად მოთამაშედ მიიჩნევს და დიდი იმედებიც აქვს.

მწვრთნელის აზრით, უნდა გააუმჯობესოს თამაში ახალგაზრდა კანთელაძემაც. ცოტა არ იყოს, სპორტული ბედი არ წყალობდათ ისეთ ჩინებულ

მათ შორის ყველაზე მეტი მატრი ჩაატარა დათო ყიფიანმა. მან უკვე კარგა ხანია მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. რამდენიმე წლის წინ სოკში შედგა მატრი მოსკოვისა და თბილისის ქაბუკთა ნაკრებებს შორის. აქ დათო ყიფიანი თავისი ასაკისათვის საოცარი ოსტატობით თამაშობდა. სულ რამდენიმე დღის შემდეგ კი თბილისში საბჭოთა კავშირის ქაბუკთა ნაკრებმა ითამაშა. მას ჩინებულ მცველები ჰყავდა, მაგრამ ყიფიანის უნებებულყოფა მაინც ვერავინ შეძლო. ცხადი გახდა, ქართულ ფეხბურთს ფრიალ ნიჭიერი ქაბუკი შეემატა. ცხადი გახდა, მაგრამ მომდევნო წელს დათომ რთული ოპერაცია გადაიტანა და ხანგრძლივი შესვენებაც მოუხდა. 1970 წელს თბილისის „ლოკომოტივიში“ გატარებული სეზონის შემდეგ ყიფიანი „დინამოში“ მიიღეს და შარშანდელი გაზაფხულიდანვე ძირითად შემადგენლობაში გამოვიდა.

„გერ ყიფიანის ფიზიკური მომზადების დონე მაინცდამაინც არ გვაკმაყოფილებდა. ქაბუკი ვერ უძლებდა დატვირთვებს, მაგრამ სეზონის მეორე ნახევრისათვის დათომ ძალიან კარგად დაიწყო თამაში“, — ამბობს კაჩალინი. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყიფიანი კარგა ხანს მისთვის უჩვეულო ადგილზეც თამაშობდა, გარემარბად. ეს მაშინ, როდესაც ყიფიანი ჩინებულად ასრულებს უკანდახეული ცენტრალური თავდასხმების ფუნქციებს. იგი ხომ ჩინებულ ტაქტიკოსი გახლავთ.

ვლ. გუცაეც უკვე უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. „ეს მზამზარეული მეტრეველი სად იშოვეთო“, — გვიტყობს მოსკოველმა ქურნალისტებმა. „მზამზარეული მეტრეველისა“ რა მოგახსენოთ და, გუცაევისა უკვე ბევრ ცნობილ მცველს ეშინია. ხომ დიდი გამოცდილება აქვს მოსკოვის დინამოელ ზიკოვს. მას უთამაშია ევროპისა თუ ლათინური ამერიკის არაერთი გამოჩენილი გარემარბის წინააღმდეგ და გვარანადაც; არც იმის თქმა შეიძლება, თითქმის შარშანდელ სეზონში ზიკოვი ფორმაში არ იყო. ბირიჭით, მას ნაკრებშიც იწვევდნენ. და აი, ასეთმა ოსტატმა ვერაფერი ვააწყო ჩვენს სწრაფ და ტექნიკურ გარემარბთან, რომლის არტისტიკული მანერა მოწონებას იმსახურებს.

ფირუზ რეზიაშვილი გუნდში 1970 წლის მიწურულში მოვიდა. მოვიდა და მაშინვე გამოიჩინა თავი ახალგაზრდა ფეხბურთელთა შესარჩევ შეჯიბრებაში. შემდეგ იგი რუსთავის „მეტალურგში“ აღმოჩნდა და „დინამოში“ მაშინ დაბრუნეს, როდესაც გუნდს უკიდურესი გაკორების დრო დაუდგა. მატრი „ნეფტჩისთან“ ბაქოში ბევრს უიმედოდ წაგებულად მიაჩნდა... აი სწორედ ამ შეხვედრაში

ისახელა თავი ფირუზ რეზიაშვილმა, რომელსაც ახლა ხუმრობით „ზეელერს“ ეძახიან.

„რეზიაშვილის უდავო ღირსება გახლავთ კარში ძლიერი და ზუსტი დარტყმა, ორივე ფეხით, ყოველგვარი მომზადების გარეშე. 30 მეტრიანი დისტანცია მისთვის სრულიად რეალური „საკეცხლე“ მანძილია, — ამბობს კაჩალინი. ამასთან მწვრთნელი თვლის, რომ რეზიაშვილი მართო „კანონიერი“ არ გახლავთ. მას შეუძლია პარტნიორებთან კავშირის დამყარება და კომბინაციური თამაშის წარმოება.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა თბილისელ თავდასხმელებს, ღირსებებთან ერთად, ნაკლებ აქვთ. მწვრთნელიცა და მოთამაშეებიც ყველაფერს აკეთებენ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. კაჩალინი მიიჩნევს, რომ 1972 წლის სეზონში თავი უნდა გამოიჩინოს გ. ნოლიამ. მწვრთნელმა გარკვეული „ავანსი“ გასცა — გვი საბჭოთა კავშირის №1 ცენტრალურ თავდასხმელად დაასახელა.

სამ ფრონტზე

სექტემბრიდან ქართველი ფეხბურთელები ჩაებმებიან უმნიშვნელოვანეს ევროპულ საერთაშორისო ტურნირში, ე. წ. „უეფას თასის გათამაშებაში“. ვინ მონაწილეობს ამ ტურნირში? ის პირველხარისხოვანი გუნდები, რომლებიც ამ წლის მანძილზე არც თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები არიან და არც თასის მფლობელები. თუ შედარებაზე მივდგა საქმე, ვიტყვი, რომ უეფას თასი თავისი შემადგენლობით მხოლოდ მცირედით ჩამოუვარდება ჩემპიონთა თასს, ხოლო თასების მფლობელთა თასს სჭარბობს კიდევ. ერთი დეტალიც: თუ ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასებზე თითო ქვეყნიდან მხოლოდ თითო გუნდი გამოდის, აქ „დაკომპლექტების“ სხვაანირი პრინციპია: უძლიერეს ქვეყნებს 4-4 გუნდიც კი გამოჰყავთ, სუსტებს და იმათ, ვინც თასის გათამაშებაში პირველად მონაწილეობენ, თითო. რამდენადაც საბჭოთა კავშირი ამ გათამაშებაში მეორედ მონაწილეობს, მას ორი გუნდი გამოჰყავს (თბილისის „დინამო“ და ერევნის „არარატი“).

ახლა გადავხედოთ იმ გუნდებს, რომლებიც დღეისათვის შემორჩენენ უეფას თასის გათამაშებას. გადავხედოთ მაგალითისათვის, რადგანაც გაისადაც დაახლოებით ასეთივე შემადგენლობა (ძალის მიხედვით) იქნება. ხომ ვერაფერს დავუწუნებთ იტალიის მრავალგზის ჩემპიონებს „მილანს“ (რივერა, პრატი, გერმანელი შნელინგერი) და „უივენტუსს“



(ანასტაზი, გერმანელი ჰალერი), ახლა ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ (ალბერტი), იუგოსლავიის ვიციჩემპიონი „ველენიჩარი“ (მას ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი ვუილინ ბოშკოვი უდგას სათავეში), ინგლისის ცნობილი გუნდები „ტოტენჰემ ჰოტსპური“, „რულერჰემპტონ უონდერერსი“ („მგლები“), ბელგიის „ლირს სკ“ და რუმინეთის „უტ არადი“.

როგორც ვხედავთ, თბილისელებს მართლაც რომ „მგლებთან“ ექნებათ საქმე. ერთი ამბავიც — ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც ეროვნულ ჩემპიონატის ზოგ მატჩში არაერთი გუნდი თავს ნებას აძლევს „მოშვებულად“, სხვათაშორის ითამაშოს. ეს განსაკუთრებით შემოღობილი შემჩნევა ხოლმე. არაფერი ამის მსგავსი არ ხდება ევროპულ საერთაშორისო ტურნირებში. ყველა ფეხბურთელი მთლიანად მოზილინებულია, უდიდესი ენით და საბრძოლო სულისკვეთებით თამაშობს, საბჭოთა გუნდებს ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვთ, მაგრამ ჯერჯერობით თითქმის არც კი ხვდებიან წილად გამარჯვება. ბრძოლა კი ყოველწლიურად მწვავედება.

ერთი სიტყვით, თბილისელებს ეწყებათ მეტად დაძაბული და ამდენადვე საინტერესო სეზონი, შინ და გარეთ, ჩვეულ სტადიონებსა თუ უცხოეთის მოედნებზე. მათ უკვე იციან საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის „გემო“, მაგრამ 1964 წელს სულ უფრო და უფრო გვმორდება, თასის სახალგავეს მრავალგზის ვიყავით, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ფეხი დაგვიცდა.

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა იმედიაანად იწყებს ახალ სეზონს, ოპტიმისტურად არიან განწყობილი ფეხბურთელებიც.

გივი გამრეკელი.

ს ა ფ ე ხ ბ უ რ თ ო მ ო ზ ა ი კ ა

დაბნეული და გულმავიწყი ფეხბურთელი ყველა ქვეყნის მაყურებელს ახსოვს. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია ამერიკელი კიმი მარშალი. თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე მან ყველაზე გადამწვეტ მატჩში ხუთჯერ (!) გაიტანა ბურთი... თავის კარში და ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ მარშალი მინდორზე ჰკარგავდა ორიენტაციას.

ყოველ მორიგ შეცდომას ფეხბურთელი ისე ძლიერად განიცდიდა და ისე ემოციურად გამოხატავდა, რომ კინომუშაგთა ყურადღება მიიქცია და თამაშის შემდეგ, როცა იგი გუნდიდან დაითხოვეს, პოლიციულის წარ-

მომადგენელმა მარშალს კონტრაქტი შესთავაზა.

მარშალმა კონტრაქტს ხელი მოაწერა და მეორე დღეს დანიშნულების ადგილისაკენ გაემგზავრა იმ მატარებლით, რომელიც პოლიციულის საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა.

მარშალმა დათქმულ ვადას გადააცილა და როლს, რა თქმა უნდა, სხვა დაეპატრონა...

მთელი მსოფლიოსთვის კარგად არის ცნობილი სამხრეთ ამერიკელ გულშემატკივართა ტემპერამენტი და

მსაჩუბისადმი მათი განწყობილება. ყველა მსაჯი ცდილობს თავიდან აიცილოს გულშემატკივართა რისხვა, მაგრამ ხშირად უშედეგოდ.


კოლუმბიელმა მსაჯმა სულდხიმმა მონახა ყველაზე საიმედო საშუალება მაყურებელთან სამშვიდობო კონტაქტის დასამყარებლად. მან ყურადღება მიიპყრო არა მარტო როგორც კეთილსინდისიერმა მსაჯმა, არამედ იმიტომაც, რომ ყოველი თამაშის წინ, მინდორზე, დემონსტრაციულად ამოწმებს კოლტს, ერთხელ ჰაერში გაისვრის და მხოლოდ შემდეგ ჩაბერავს სასტვენს. მას ფეხბურთელიებიც კი აღარ ეკამათებია.

შვეციის ერთ პატარა ქალაქში, წიგის დროს პასტორმა ურიკ ჩელსტერსონმა ასე მიმართა მრევლს:

„მე ვხედავ თქვენს სივალდებულებას, რომელიც დასაფიქრებელია. მამაშვეციერის წყალობით დღეს ჩვენები საფინანსო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე იგებენ ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს მთავრულსა და პასტორსონმა“.

მლოცველებმა გადაწყვიტეს, რომ პასტორს პირდაპირ ღმერთთან აქვს კავშირი და ის-ის იყო მსულმოდრეკით თავყვანისცემას აპირებდნენ, რომ პასტორმა ანაფორას ქვეყიდან ტრანზისტორი გამოაჩინა.

ჭრელ-ჭრელი ამბავი



დესანტი კლანეტა მარსიდან

ქ. ბუფალოს (ნიუ-იორკის შტატი) ერთმა რადიოსადგურმა მოულოდნელად გადმოსცა, რომ ამ ქალაქის მახლობლად მარსის მცხოვრებთა დესანტი გადმოსხდა. შემდეგ დიქტორმა აღელვებული ხმით დაიწყო პერბერტ უელსის რომანის „სამყართა ბრძოლის“ ნაწყვეტების კითხვა, რომლებიც იმგვარად იყო გადაკეთებული, რომ გამხეცებულ მარსელთა ნამდვილი თავდასხმის შთაბეჭდილება შეექმნა.

ის, რასაც დიქტორი კითხულობდა, იყო გამორეხა ძველი რადიოინსტრუმენტების, რომელთაც 1938 წელს გადასცეს ნიუ-იორკში. მაშინ ამ რადიოგადმცემამ ისეთი პანიკა გამოიწვია, რომ ზოგიერთმა თავზარდაცემულმა მსმენელმა თავი მოიკლა. ამაჟამად მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ბევრმა ნამდვილად დაიჭერეს „მარსის მცხოვრებთა შემოსევა“. დამფრთხალმა მოქალაქეებმა განგაში ასტეხეს. ზოგმა პოლიციაში დარეკა, რათა გავგოთ, რა ზომებს იღებდნენ საშიშროების თავიდან ასაცილებლად; ზოგიერთებმა კი სხვა რადიოსადგურებს დაუწყეს ლანძღვა-გინება, ასეთი მნიშვნელოვანი ცნობის გადმოცემა რატომ დაავიანეთო.

მათოთხმეტი ყორწილი

რეკორდის დამყარება შეიძლება სირბილში, წყალში ხტომაში, ბალროს ტყორცნაში, ცხენოსნობაში... დასავლეთის სამყაროს ჰყავს ჭამის, ცეკვის ხანგრძლივობის, თავდაყირა სიარულის რეკორდისმცემები... ამერიკის ზეგნულად მჭეტელები მცხოვრებმა ქალბატონმა ბევერი ნინა ეივერიმ ორიგინალური რეკორდი დამყარა: იგი ოფიციალურად თოთხმეტჯერ გათხოვდა... ნაცნობ-ნათესავები დაიღალნენ მის ქორწილებში სიარულითა და საჩუქრების ყიდვით.



ფეხბურთი და ციხე

სამმა ინგლისელმა, რომლებიც შვეიცარიაში იმყოფებოდნენ, ქალაქ ბაზელში საიუველირო მაღაზია გაძარცვა. ოპერაცია ისე მოუფიქრებლად და უხეშად ჩატარდა, რომ ადგილობრივმა პოლიციამ ორი დამნაშავე იქ-

ვე დააპატიმრა. გადარჩენილი მესამე დამნაშავე მაშინვე ინგლისში გაიქცა. სამშობლოში დაბრუნებულმა მძარცველმა შეიტყო, რომ ფეხბურთის გუნდი „არსენალი“, რომლის გულშემატივარიც იყო იგი, რამდენიმე დღის შემდეგ ციურხის გუნდს უნდა შეხვედროდა. მძარცველმა რისკი გასწია და ინგლისის „არსენალთან“ ერთად ისევ შვეიცარიაში დაბრუნდა. მატჩი საუკეთესო იყო, მძარცველმა დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიიღო, მაგრამ ინგლისში გამგზავრების დროს, აეროდრომზე დააპატიმრეს და ციხეში მიაბრძანეს, სადაც ის შეხვდა თავის კოლეგებს.



როცა კოლიციელი მწიარალი ხდებდა

საფრანგეთის აკადემიამ გასული წლის პრემია საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის მიანიჭა ანდრე ფრიდრიხს, რომელმაც დაწერა რომანი „ხუთასი აგურით აგებული კედელი“. ეთურის გადაწყვეტილებამ მწერალთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ანდრე ფრიდრიხმა თავისი „არაეთიკური“ საქციელისათვის მრავალი საპროტესტო ბარათი მიიღო. მთელი ეს აღშფოთება იმით იყო გამოწვეული, რომ ავტორმა თავის ნაწარმოებს საფუძვლად დაუდო არა გამოგონილი ამბავი, არამედ მისთვის კარგად ცნობილი ნამდვილი ფაქტები და მოვლენები. ანდრე ფრიდრიხი წლების მანძილზე პარიზის პოლიციის კომისარი იყო. მის რომანში ბევრმა იცნო თავისი თავი.

კითხვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ელერს, მაგრამ დღევანდელ შფოთითა და აურზაურით სავსე მსოფლიოში კაცს აღარაფერი უნდა გაუკვირდეს. ინგლისში დაამზადეს ორიგინალური კონსტრუქციის ფანჯრები, რომლებიც რეაქტული თვითმფრინავის ხმაურის გავრეხისთანავე ავტომატურად იხურება და ასევე ავტომატურად იღება სიჩუმის დამყარებისთანავე. ასეთი ფანჯრების პირველი მყიდველები იყვნენ ლონდონის ის სკოლები, რომლებიც აეროდრომების მახლობლად არიან განლაგებულნი.

„შენ ხარ მე, თუ მე ვარ შენ“...

როგორც ფრანგული ჟურნალი „ექსპრესი“ იუწყება, ამერიკაში მთელი ამბავი ატყდა იმის გამო, რომ გამოჩნდა მეორე... რიჩარდ ნიქსონი, ე. ი. კაცი, რომელიც ისე ჰგავს ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტს, რომ ერთს მეორისაგან ვერ გაარჩევენ. ნიქსონის ორეული გახლავთ პოლიველური ახალგაზრდა კომედიური მსახიობი ჯეიმ ლეროუ. იმისათვის, რომ მსგავსება ყოველმხრივ სრული ყოფილიყო, ჯეიმ ლეროუმ ახალი სახელი და გვარი — რიჩარდ დიქსონი დაირქვა. პრეზიდენტთან მსგავსება ახალგაზრდა მსახიობის პოპულარობის სწრაფი ზრდის საბაბი გახდა. რიჩარდ დიქსონის შესახებ წერენ ჟურნალები, პერიოდული პრესა, აქამდე უცნობ მსახიობს ზედინზედ იღებენ კინოფილმებში. ლეროუს ასეთი პოპულარობა, ცოტა არ იყოს, აშფოთებს თეთრ სახლს. შეშფოთებას ისიც ზრდის, რომ ახალგაზრდა მსახიობს გადაწყვეტილი აქვს 1972 წლის აგვისტოს გაემგზავროს რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო კონფერენციაზე.

გარეკანის პირველ გვერდზე: კონცერტის შემდეგ (ცენტრში — მედეა და პეტრე ამირანაშვილები). ფოტო გ. კიკვაძისა. მეოთხე გვერდზე: ნორჩი კალათბურთელები („დინამო“), მწვრთნელი ტ. ჩერნაკიანი. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურშიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.



საბჭოთა კავშირის გამომცემლობა

ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-59

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კპპ.

გადაეცა საწყობად 9/II-72 წ. ხელმოწერილია დასახელებად 25/II-72 წ. ქალ. ზომა 70x108¹/₂, ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. მართობი ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 482. ფე 01759.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

პანტანო კუცია



საზრიანი ქმარი




— რას დგახარ? გამოართვი შვილს ყვავილი!




— მაპატიე გეთაყვა, მაგრამ არ შემეძლო დღეს შენი სად ლიგრიძლო არ დამეღოია!



— შე მართლა მხეცო, რვა მარტს მაინც დაანებე თავი მაგ ქალს!



— ხუთვარსკვლავიანი სუნამო მომეცით!



უბეჭსტო ხუმრობა.

